





„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას სომეხი ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კვიციანი

წესდებიან. კომუნალიზმ

საანდელური ექსკლუზივი

როგორ „ნაციონალიზმი“ აპირებენ საქართველოდან გაქცევას

პარიზის სერიულმა ტერაქტებმა „რუსთავი 2“-ის თემა და სხვა საშინაო საკითხები, ასე თუ ისე, გადადარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, უშიშროების თადარიგის პოლიკონიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში არცთუ დამაიმედებელ პროგნოზს აკეთებს და ეჭვობს, რომ დეკემბერში ევროკავშირი ვიზალიზირებული ზაცისას ისევ არ მოგვეცემს და ყველაფერი ეს რეალობად შეიძლება, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იქცეს.

ამასთან, ქართველი სპეცსამსახურელი აქცენტს კვლავ ქუჩის აქციებზე აკეთებს და ამ კონტექსტში რამდენიმე შეკითხვას სვამს, მაგალითად, აინტერესებს, თუ რატომ გამოჩნდა მოშიშრილითა გვერდით თემურ ხაჩიშვილი. გარდა ამისა, კონსტანტინე ფორჩხიძე არცთუ დიდი ხნის წინ, მოსკოვში, პუტინსა და იგორ გიორგაძეს შორის გამართულ შეხებასაც ეხება და ამბობს, რომ ჩვენებურ პოლიტიკაში ე.წ. რუსული ქეისი ისევ აქტუალურია.

**კონსტანტინე ფორჩხიძე:** — „რუსთავი 2“-ის თემა ნელ-ნელა დადგება. ისე არ გამოიგონო, რომ „რუსთავი 2“-ს ვიცავ, არც „ნაციონალიზმი“ აპოლოგეტი ვარ, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება აბსოლუტურად ნორმალურია, ანუ იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მოხვევა საზოგადოებისთვის შეურაცხყოფელია. დიას, მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილებას აბსოლუტურ უკანონობად ვთვლი. ყოველ შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილებით ბევრი შეკითხვა გაჩნდა. ყველაფერი ეს კი, იმან გამოიწვია, რომ სასამართლოში ხელისუფლების სხვადასხვა შტოდან ჩარევის მცდელობა იყო.

**ამას რის საფუძველზე ამბობთ?**  
— გავიხსენოთ თუნდაც პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში გაზავნილი მოსამართლეთა აცილების შუამდგომლობა, რომელიც ჯერ პრესაში გამოქვეყნდა, შემდეგ კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტა. ეს ხელისუფლების შტოებს შორის პარლამენტის დომინირების მცდელობა იყო და მეტი არაფერი, ანუ პარლამენტი შეეცადა, რომ სასამართლოს თავისი პოლიტიკური შეხედულებები მოეხვია, რისი გაკეთებაც არ შეიძლება. საერთოდ, ბოლო წუთის, ხელისუფლება დასავლეთის კრიტიკას მოერიდა და რაღაც მომენტები სასამართლომაც გაითვალისწინა.

**შეასძლოა, არც უამისობა, მაგრამ ყოფილა პრემიერმა განაცხადა, ეუთო-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს არასწორი შეფასებები სხვა დროსაც გაუკეთებიაო...**  
— კი ბატონო, გასაგებია, რომ ევროკავშირის რეკომენდაციებით ვერ ვიცხოვრებთ, რადგან განვითარების ჩვენი გზა გვაქვს, მაგრამ თუკი დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ და ნამდვილად ევროპული ფასეულობების გზით მივდივართ, ეს რეკომენდაციები აუცილებლად გასათვალისწინებელია. ჩვენი ევროპული კოლეგები ყველაფერს ჩვენს სასარგებლოდ გვეუბნებიან, თუმცა სხვა საკითხია, თუ ამას რაღაც კულტურული დინებები მოსდევს, მაგალითად, იგივე „ნაციონალიზმი“ რაღაც სემანტიკის გადარჩენის მცდელობა, თუმცა არ შეიძლება, ევროკავშირის ზოგიერთი მაღალჩინოსნის მოქმედება, რომელსაც ყოფილ რეჟიმთან პირადი კავშირი აქვს, მთლიანად ევროკავშირთან გაეაიგივოთ.

მოკლედ, ევროპული რეკომენდაციების შესრულება ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, ასოციაციის ხელშეკრულებაზე გვაქვს ხელი მოწერილი. იმ შემთხვევაში კი, თუ ევროსაბჭოს, ან ევროკავშირის რეკომენდაციების იგნორირებას მოვახდენთ, ისეთ სიტუაციას მივიღებთ, როგორც აზერბაიჯანშია. ეს კი, წინა ინტერვიუებშიც გითხარით, წმინდა რუსული გეგმაა!

**სხვათა შორის, გარკვეული შეტევა არასამთავრობო სექტორზეც ხორციელდება და ვიღაცები ამასაც რუსულ გეგმად მიიჩნევენ, რამეთუ თავის დროზე რუსეთში მიიღეს კანონი, რომლითაც არასამთავრობოების ქვეყნის გარედან დაფინანსება აიკრძალა...**

— ამ თემაზე ადრეც გვილაპარაკია და დღესაც იმ აზრზე ვარ, რომ ამ სფეროში ბევრი „შავი ხვრელია“. ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ნამდვილად არ ზრუნავს, ზოგსაც პირადი ინტერესები ამოძრავებს, მაგრამ ეს აბოლუტური უმრავლესობა არაა. ესენი, უბრალოდ, მედროვეები არიან, რომლებიც ყველა ხელისუფლების დროს კარგ ცხოვრებას არიან მიჩვეულნი, რასაც არასამთავრობო სექტორის ძირითად ბირთვზე ვერ ვიტყვი. საერთოდ, ხელისუფლება რომ ხარ, ის, რაც არ კეთდება, არასამთავრობო სექტორს კი არა, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დააბრალე და ისეთი ნაბიჯები გადადგა, რომელიც პოპულარული იქნება. თუკი ქვეყანაში, მაგალითად, ადამიანის უფლებები დაცული იქნება, ბუნებრივია, არასამთავრობო სექტორის ტონიც შეიცვლება, რადგან საკრიტიკო აღარაფერი დარჩება.

**კრიტიკისთვის საბაზო ყოველთვის მოიძებნება, ბატონო კოტე, მით უმეტეს, თუკი გავყვებით ვერსიას, რომ ცალკეული „წიგნი-წიგნი“ ყოფილი ხელისუფლების იდეური მკავშირეები არიან...**  
— იდეური კავშირი არაფერს ნიშნავს.  
— რა ვიცი, ერთი ამბავია ატეხილი, ეკა გიგაურს, რომელსაც ყოფილმა პრემიერმა ურჩია, პოლიტიკაში წადიო, ვანო მერაბიშვილის მოადგილედ უმუშავია...

— ეკა გიგაური მთელი არასამთავრობო სექტორი ხომ არაა?! მე რომ ვიყო, არასამთავრობოებზე უფრო მოზომილ განცხადებებს გავაკეთებდი, რადგან მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების კი არა, ექსპერტთა კრიტიკასაც ქვეყნის განვითარებისთვის უარყოფითი შედეგი მოაქვს და საერთაშორისო საზოგადოების თვალშიც ძალიან ცუდად აღიქმება. ამიტომ, ეს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რადგან ჩვენი დღეს მთავარი ამოცანა ვიზალიზირებული ზაცია და ევროპასთან მეტი ინტეგრაციაა.

**„რუსთავი 2“-ის პერიპეტიებიდან გამომდინარე, იმედი გაქვთ, რომ დეკემბერში ვიზალიზირებული ზაცისას მოგვეცემენ?**  
— არა, იმედი არ მაქვს და ეს ევროკავშირის კომისარმა, ფედერიკა მოგელინიმაც დაადასტურა, ანუ მან შეკითხვები დიპლომატიურ ჭრილში დასვა და მიანიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან, სასამართლო ხელისუფლებასა და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით პრობლ-

„ნაციონალიზმი“ „ოცნებაში“ კი არა, მიზამ დასაბარა!

ემებია. მოკლედ, ჩემი შეფასებით, ვიზალიზირებული ზაციაზე საბოლოო გადაწყვეტილება, ალბათ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მერე იქნება მიღებული.  
— **ანუ, ევროკავშირი ელოდება, თუ რომელი პოლიტიკური ძალები მოვლენ მომავალ წელს საქართველოს ხელისუფლებაში?**  
— რა თქმა უნდა. გარდა ამისა, ევროკავშირი აკვირდება, თუ რამდენად მტკიცეა დღევანდელი ხელისუფლება ევროინტეგრაციის გზაზე. „ოცნებაში“ უნდა დაამტკიცოს, რომ ამ გზიდან გადახვევას არ აპირებს.

**როგორ უნდა დაამტკიცოს?**  
— როგორ და, — პოლიტიკურ ველზე პროცესების ისეთი განვითარება არ უნდა დაუშვას, რომ საგარეო ორიენტირები შეიცვალოს და ქვეყანა ჩრდილოეთის რელსებზე გადავიდეს.  
— **ბატონო კოტე, თუკი პოლიტიკურ ბაზარზე პრორუსული ძალები გამოჩნდებიან, ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს?**  
— ისეთი ქმედებები არ უნდა განახორციელოს, რომელიც პრორუსულ ძალებს საშუალებას მისცემს, რომ ქუჩის სეგმენტი და სხვა პოლიტიკური ველი დაიკავონ.  
თუ დავაკვირდებით, „ნაციონალიზმი“

ნელ-ნელა უკან იხევს.  
— **„ნაციონალიზმი“ უკან დახვევა რაში გამოიხატება?**  
— მაგალითად, აეროპორტის ტრასაზე ოფისი გაყიდეს თუ ყიდიან. ეს შეიძლება, თავიანთი ფინანსური მდგომარეობით ახსნან, თუმცა უფრო ერთგვარი ტრიუკი მგონია. გარდა ამისა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილი „ნაციონალიზმის“ გარკვეული ფრთის უკრაინაში წაყვანას ისევ ცდილობს.  
— **მაინც, რომელი „გარკვეული ფრთის“?**  
— ჩემი ინფორმაციით, სააკაშვილი ცდილობს, უკრაინაში წაიყვანოს, მაგალითად, მიხეილ მაჭავარიანი და, საერთოდ, „ნაციონალიზმის“ ის პრორუსული ფრთა, რომლის მიმართაც ყოველთვის ნეგატიურად ვიყავი განწყობილი. „ნაციონალიზმის“ სწორედ ამ ფრთამ ითამაშა ძალიან ცუდი როლი, რომ ევროპული და ევროატლანტიკური იდეოლოგია დამახინჯებული იყო.  
— **მოკლედ, ბატონო კონსტანტინე, აცხადებთ, რომ მიხეილ მაჭავარიანი და სხვა „ნაციონალიზმი“ საქართველოდან გაქცევას**

გაბრძნობა მ-3 მ3.

სტოკპადრი

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის“ ინიციატივით, ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში გამართულ საზეიმო ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარე რიმა ბერაძე, საკრებულოს დეპუტატები, დედაქალაქის მერი, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, თბილისში არსებული ყველა დიასპორისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ღონისძიება ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარე რიმა ბერაძემ გახსნა, რომელიც მოწვეულ სტუმრებს მიესალმა და სიტყვით მიმართა.

მან თბილისის დაარსების დღიდან ქართველებსა და სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შორის არსებულ ჰარმონიულ თანაცხოვრებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საკრებულოში ფრაქცია „ქართული

თბილისის საკრებულოში ტოლერანტობის დღე აღნიშნეს

ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის“ ინიციატივით შეიქმნა და წარმატებით ფუნქციონირებს, ფრაქციასთან არსებული ეროვნული უმცირესობების საკოორდინაციო საბჭო, რომლის მიზანია ეთნიკური უმცირესობებთან კოორდინირებული თანამშრომლობა და ურთიერთობათა გაღრმავება.

მისივე თქმით, საბჭოს მუშაობის ფორმატი არაერთ მნიშვნელოვან საქმეს ჩაეყარა საფუძველი და მრავალი პროექტი განხორციელდა.

საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში 13 ეთნოსისთვის დამახასიათებელი სამეურნეო ყოფისა და ისტორიულ-მატერიალური კულტურის ნიმუშების კუთხეები იყო წარმოდგენილი.

ღონისძიებას 50-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი ესწრებოდა.

შეგახსენებთ: 1995 წლის 16 ნოემბერს, იუნესკო-მ ტოლერანტობის პრინციპების შესახებ დეკლარაცია მიიღო, ტოლერანტობის დღის აღნიშვნა კი, 1996 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის ინიციატივით დაინიშნა.



„გასაგებია, რომ ევროკავშირის რეკომენდაციებით ვერ ვიცხოვრებთ, რადგან განვითარების ჩვენი გზა გვაქვს, მაგრამ თუკი დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ და ნამდვილად ევროპული ფასეულობების გზით მივდივართ, ეს რეკომენდაციები აუცილებლად გასათვალისწინებელია. ჩვენი ევროპული კოლეგები ყველაფერს ჩვენს სასარგებლოდ გვეუბნებიან, თუმცა სხვა საკითხია, თუ ამას რაღაც კულტურული დინებები მოსდევს, მაგალითად, იგივე „ნაციონალიზმი“ რაღაც სემანტიკის გადარჩენის მცდელობა, თუმცა არ შეიძლება, ევროკავშირის ზოგიერთი მაღალჩინოსნის მოქმედება, რომელსაც ყოფილ რეჟიმთან პირადი კავშირი აქვს, მთლიანად ევროკავშირთან გაეაიგივოთ.“

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“  
კარინა ლუსინი



ლიტერატურა.  
შეშენებული. პოეტური

## სკანდალური ექსკლუზივი

**მე-2 გვირგვინი**  
**მაგმავენი?**  
– ასე ვერ ვიტყვი. უბრალოდ, მათ მიმა ეძახის და ცოტა ხანში ნახავთ, რომ უკრაინის გზას მხოლოდ მაჭავარიანი კი არა, სხვებიც გაუდგებიან.  
**– მაგალითად?**  
– ვთქვათ, სასჯელსრულების დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე კახა ბუცხრიკიძე. ასევე, გიორგი ღვინიაშვილი, რომელიც თავის დროზე უშიშროების სამინისტროს საგამომცემო სამსახურს ხელმძღვანელობდა. აქედან ჩანს, სააკაშვილი თავის დროზე „ნაცმოძრაობაში“ ვის ეყრდნობოდა. დიას, „ნაცმოძრაობაში“ მიშას საყრდენი გიგა ბოკერია, ან იგივე გიორგი კანდელაკი არასოდეს ყოფილა და იმაზეც შევთანხმდეთ, რომ „ნაცმოძრაობაში“ ასეთი დაჯგუფებები ყოველთვის არსებობდა.  
**– ამაში ახალი არაფერია. სხვათა შორის, ერთ-ერთი ბოლო საჯარო გამოსვლისას, ყოფილმა პრემიერმა ერთგვარი იერიში გიგა ბოკერიაზე მიიტანა და განაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს მდივანობისას, უცხოელ ლობისტებში მილიონებს ხარჯავდა და გაჩნდა მოსაზრება, რომ ბოკერიას წინააღმდეგ შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრას, ანუ რა გამოდის – „ნაცმოძრაობის“, როგორც თქვენ ამბობთ, პროდასავლურ ფრთას „ნაცებზე“ და „ქოცებზე“ ერთად ებრძვიან?**  
– არა. გახსოვთ, წინა ინტერვიუებში რა ვთქვი?  
**– რა?**  
– რა და, – ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებით, სააკაშვილმა „ნაცმოძრაობის“ დასავლური ფრთის, პრაქტიკულად, დისკრედიტაცია მოახდინა, ანუ ამ მიმართულებით პოლიტიკური დაძაბულობის, გენბავთ, ესკალაციის ელემენტი ყოფილმა პრეზიდენტმა შემოიტანა. დაახლოებით, იგივე მდგომარეობაში არიან სხვა პოლიტიკური ძალებიც. მაგალითად, „რესპუბლიკელები“ პროდასავლურ ძალად ითვლებიან, მაგრამ მათზე ჩემი შეხედულება მაქვს – „რესპუბლიკური პარტიის“ ზოგიერთი ლიდერი, შეიძლება, წმინდა პროდასავლური ორიენტირისაა, მაგრამ არ მგონია, რომ „რესპუბლიკელების“ ყველა შემადგენელი მთლიანად დასავლეთზე იყოს ორიენტირებული, რადგან სსრკ-ს სუკთან დაკავშირებული მათი ბეგრანდი არსებობს.  
**– ამ შემთხვევაში, ძმებ ბერძენიშვილებზე მთავარ საკვამლე გულსხმოვანი?**  
– შეიძლება...  
**– კოტე ბატონო, პროფესიონალი ხართ და ქორებით დასკვნების გაკეთება არ გეკადრებო!**  
– ქორი რა შუაშია? თუ ქორია, ბოლოს და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ, ბოლო უნდა მოელოს.  
**– ქორს ბოლო როგორ უნდა მოელოს?**  
– თავის დროზე ე.წ. თანახმობის აქტი მიიღეს. კარგი იყო თუ ცუდი, სხვა საქმეა, მაგრამ ეს აქტი იმის საშუალებას იძლეოდა, რომ მხოლოდ პოლიტიკური კი არა, საჯარო და სამოქალაქო სექტორების ლუსტრირებაც მომხდარიყო, მაგრამ აბსოლუტურად საპირისპიროს ვხედავთ: ეს კანონი არ მუშაობს. მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლომ, როგორც წინა ინტერვიუში აღვნიშნე, ამ აქტის გარკვეული მუხლები ანტიკონსტიტუციურად ცნო. ყველაფერი ეს კი, საერთო კონტექსტში, ანუ იმ გეგმაში ჯდება, რომლის განხორციელებასაც რუსეთი საქართველოში აპირებს.  
სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, პუტინი იგორ გიორგაძეს შეხვდა და ესეც გარკვეული მესიჯია.  
**– მესიჯია თუ ფსიქოლოგიური წნეხი?**  
– ერთი და მეორეც. საერთოდ, ყველაფერი ეს ერთი საერთო ჯაჭვის შემადგენელი ნაწილია, რითიც საერთო სურათი იქმნება.  
მიტყვამს და ვიმეორებ: დაძაბულობის ესკალაცია იმისთვისაა საჭირო, რომ პრორუსულმა ძალებმა ქულები მაქსიმალურად მოაგროვონ და ხალხის განწყობების შეცვლა მოახერხონ! რუსეთის მთავარი ამოცანაა ცნორედ ესაა, რადგან არჩევნების ბედს ხალხი წყვეტს.  
მოკლედ, რაკი დაიწყო, ქუჩის პროცესები აღარ შეჩერდება.  
**– „ქუჩის პროცესში“ კანცელარიასთან მიმდინარე შიმშილობის აქციას გულისხმობ?**



**ბთ?**  
– დიას. როგორც ვიცი, შიმშილობის აქციები გორსა და სხვა ქალაქებშიც იმართება. მათ, ვინც ამ პროცესის სათავეში დგანან, იციან, თუკი ყველაფერმა ამაღ შედეგი არ მოიხდინა, მაშინ კრახი გარდაუვალია, ანუ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებიდან ერთი მაინც არ შესრულდა, აქციის ორგანიზატორები ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.  
**– ბატონო კოტე, რატომ გგონიათ, რომ ქუჩის აქციები რუსული „ქეისი“?**  
– დააკვირდით, ვინ თანაუგრძობს.  
**– ვინ?**  
– მაგალითად, თემურ ხაჩიშვილი, გია ვაშაკიძე. ამ ადამიანების ბეგრანდი გავიხსენოთ, ვინ ვისი ნათესავია.  
**– ფაქტებით ლაპარაკი შეგიძლიათ?**  
– კი ბატონო... გია ვაშაკიძე პატაპოვის სიძე იყო. პატაპოვი იმ დროს, როცა რუსის ჯარი საქართველოში იდგა, საკმაოდ გავლენიანი გენერალი გახლდათ. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვაშაკიძე ყოფილი მხედრიონელია. ის, გია ყარყარაშვილი და პაატა დათუაშვილი, რომელიც მოკლეს, რუსეთის გენშტაბის აკადემიაში სწავლობდნენ, თუმცა ამ სამიდან, ერთი მოკლეს, გია ყარყარაშვილი კი, მძიმე მდგომარეობაშია. მიუხედავად იმისა, რომ ვაშაკიძეს პოლიტპატიმრის სტატუსი აქვს, მის მიმართ ბევრი შეკითხვა არსებობს.  
რაც შეეხება თემურ ხაჩიშვილს, ის შევარდნაძეზე განხორციელებული თითქმის ყველა ტერაქტის მონაწილეა.  
**– ოფიციალურად, როგორც მახსოვს, ხაჩიშვილს მხოლოდ 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტში მონაწილეობის ბრალდება ჰქონდა წაყენებული...**  
– კი ბატონო, მაგრამ მოშიშრილებების გვერდით ამ ხალხის გამოჩენა ბევრ კითხვას აჩენს, მით უმეტეს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ხაჩიშვილმა, თუ გახსოვთ, „დათვები“ შექმნა.  
**– დიას, მახსოვს და ეს ორგანიზაცია, თუ არ ვცდები, რუსეთზე იყო ორიენტირებული...**  
– ქართული გამონათქვამია, მითხარი, ვინაა შენი მეგობარი და გეტყვი, შენ ვინ ხარ.

რო. საერთოდ, როცა ამბობ, რომ ზვიადისა და მერაბის გზას აგრძელებს, ანუ პრეტენზია გაქვს, რომ 80-იანი წლების ის ეროვნული მოძრაობა ჩანაცვლო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოიტანა, მაშინ საკითხავია, შენს გვერდით იმ ადამიანებს, ვინც ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, პრაქტიკულად, პუტჩი მოუწყო, რა უნდათ?  
**– ანუ, აქცენტს ისე თემურ ხაჩიშვილზე აკეთებ?**  
– არა მარტო. ავიღოთ თუნდაც გია შერვაშიძე, რომელსაც 2001 წელს, შინაგანი ჯარით, ჩეჩენი „ბოვეიკები“, კახა თარგამაძის დავალებით, პანკისიდან გადაყვანა. დიას, გია შერვაშიძეს რუსეთთან დიდი ბეგრანდი დაკავშირებს და ძალიან კარგად იცის, რომ სამხედრო კონტრაზვერვის ყველა თანამშრომელია, რომელიც 2004 წლამდე მუშაობდა, ეს ბეგრანდი ზეპირად იცის, მიუხედავად იმისა, უშიშროების სამსახურში არა აქტივია განაღდებული და რა – დალეკილი.  
**– გასაგებია, რომ ამ ადამიანებთან შეკითხვები გაქვთ, მაგრამ არ დაგავინწყდეთ, რომ მოშიშრილები პრეზიდენტმაც მოინახულა. მაშასადამე, რა გამოდის?**  
– მოდით, ყველაფერი დავაღვიგოთ: ჩვენი 6-7 თვისწინანდელი ინტერვიუ გავიხსენოთ, როცა ვთქვით, რომ „ქართულ ოცნებაში“ რატომღაც ნინო ვუთანაშვილი გარემოცვაში გაზრდილი „ტიპების“ დანაშაულებები ხდება.  
**– პრეზიდენტი მარგველაშვილი „ქართულ ოცნებას“ ემიჯნება!**  
– გამოიყვანა სხვა თემა, მაგრამ ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ: პრეზიდენტის კანცელარიასა და პრეზიდენტს დაქვემდებარებულ შეიარაღებულ ძალებს მთლიანად რუსეთი აკონტროლებს! თინა ხიდაშელთან თუნდაც საგარეჯოს არჩევნებისა და გენშტაბში განხორციელებულ საკადრო დანიშვნების გამო, გარკვეული შეკითხვები მაქვს, მაგრამ ერთი ვუთანაშვილი, ანუ მისი თქმით, სამი მოტივი არსებობს, რის გამოც პრეზიდენტი მოშიშრილებთან მივიდა: თანაგრძობა – პრეზიდენტი საქართველოს მოქალაქეა და, ბუნებრივია, შეიძლება, თანაგრძობა გაუჩნდეს; ჰუმანური განწყობა და მესამე, სიტუაციაში გარკვევა.  
**– ჩემი აზრით, მეოთხე საბაბიც არსებობს, რის გამოც მარგველაშვილი მოშიშრილებთან მივიდა: გახსოვთ, სააკაშვილს მუდამ ვსაყვედურობდით, რომ მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ პრეზიდენტი არ უნდა ყოფილიყო?.. ეს ნაბიჯი მარგველაშვილის დემოკრატიულობაზე მეტყველებს...**  
– კი ბატონო, მაგრამ ამ აქციაზე პრეზიდენტის მისვლა მაინცდამაინც აუცილებელი არ იყო. შეეძლო, განცხადება გაეკეთებინათ... თუ თანაგრძობის მომენტს გავყვეით, ესე იგი, პრეზიდენტი მოშიშრილებს უთანაგრძობს.  
**– ანუ, საუბარი იქითკენ მიგყავთ, რომ მარგველაშვილი საგარეჯოს არჩევნებს გაყალბებულად თვლის?**  
– დიას. თუ თანაგრძობაზე ლაპარაკი, მაშინ პრეზიდენტი, ყველაფერს თავი რომ დაჰყავს, თავის თავდაცვის მინისტრს უპირისპირდება.  
**– თავდაცვის მინისტრი მხოლოდ პრეზიდენტის კი არა, მთელი ქვეყნისაა!**  
– დიას, მაგრამ თავდაცვის მინისტრი გარკვეულ საკითხებში ანგარიშვალდებული სწორედ პრეზიდენტის წინაშეა! ის სამხედრო კონტიგენტი, რომელიც, ვთქვით, არჩევნების გასაყალბებლად მართლა გამოიყენეს, გენშტაბის უფროსს არ ემორჩილებოდა? გენშტაბის ხელმძღვანელს კი, მოგეხსენებათ, პრეზიდენტი ნიშნავს!  
**– არჩევნებში სამხედრო ნაწილების გამოყენებასთან დაკავშირებით, როგორც ვიცო, შეკითხვები ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც აქვთ. მაშასადამე, თქვენი ლოგოკით, მოშიშრილებს ისინიც უთანაგრძობენ?**  
– ეს არ ვიცი, მაგრამ ასეა თუ ისე, პრეზიდენტი მოშიშრილებთან არ უნდა მისულყოფი და მის ადმინისტრაციას განცხადება უნდა გაეკრძალა, ქუჩის აქციები საჭირო არააო. ასეთი ნაქტარევი ნაბიჯები საზოგადოებაში სხვანაირად აღიქმება, მით უმეტეს, აქციაზე თემურ ხაჩიშვილი და სხვა ადამიანები არიან და რა გამოდის, შენ, როგორც პრეზიდენტი მათაც თანაუგრძობ?

**– ყველაფერ აქედან გამომდინარე, არსებობს ალბათობა, რომ პრეზიდენტმა, ვთქვათ, გენშტაბის უფროსი გაათავისუფლოს?**  
– არ ვიცი...  
მოდით, ისევ თინა ხიდაშელის ზემოხსენებთ.  
**– ან ვიცი... მოდით, ისევ თინა ხიდაშელის ზემოხსენებთ.**

**„მითქვამს და ვიმეორებ: დაძაბულობის ესკალაცია იმისთვისაა საჭირო, რომ პრორუსულმა ძალებმა ქულები მაქსიმალურად მოაგროვონ და ხალხის განწყობების შეცვლა მოახერხონ! რუსეთის მთავარი ამოცანაა ცნორედ ესაა, რადგან არჩევნების ბედს ხალხი წყვეტს.“**



საქართველო  
საქართველო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“

კონსტანტინე

სკანდალური ექსკლუზივი



მე-3 გვირგვინი

ნებულ განცხადებას დაფურცლდეთ, ჯობია, ხიდაშელმა თავდაცვის სამინისტროში იმ „ტიპებს“ მიხედოს, ვინც ამ პროცესს თანაუგრძობს.

- ვის გულისხმობთ?
- მთელ გენშტაბს.
- ეს თქვენი ეჭვია, ბატონო კოტე!
- არა, ეს ეჭვი არაა! ამ ადამიანებს, 90-იანი წლებიდან ერთობლივი ბეგრატინი აქვთ. ისინი მეგობრები არიან!
- მეგობრობა პოლიტიკური ინტერესების თანხვედრას არ ნიშნავს!
- მომისმინეთ: ჯარის მეგობრობა სხვა რამეა — როცა ადამიანები ტყვიანობა ერთად არიან „გასულელები“, მათი მეგობრობა სიკვდილამდე გრძელდება! „ოცნებამაც“ ყველაფერი ძალიან კარგად იცის, თავის მკვდარს თვითონ მიხედოს და გვარებს ნუ დაშასხელებინებს! საერთოდ, ვანო, არ გენყინოთ და, ჟურნალისტები ყველაფერს სხვანაირად უყურებთ, მაგრამ თუ სიღრმისეულად ჩანვდებით და ამ ჯაჭვებს ერთმანეთზე გადააბამთ, საბოლოოდ, მიიღებთ სურათს, რომ ყველაფერს კადრები წყვეტენ.
- კი ბატონო, გეთანხმებით, რომ ყველაფერს კადრები წყვეტენ...

- შეისწავლონ, ვინ არიან ბრიგადის მეთაურები, როგორი წარსული აქვთ და მათ ქუჩის აქციებთან რა აკავშირებთ. პირდაპირ პროგრესს ვამბობ: თუკი პროცესები ასე გაგრძელდა, 2016 წელს „ოცნება“ შეიარაღებული ძალების ადმინისტრაციულ რესურსს მთლიანად დაკარგავს! შეგიძლიათ, დღევანდელი დღე დაიბახსოვროთ და არჩევნების მერე გაიხსნოთ! ამიტომ, აუცილებელია, გენშტაბის მთელი ხელმძღვანელობა შეიცვალოს, თორემ ეს პროცესი „ქართული ოცნებისთვის“ ცუდად და მთავრდება! იცით, რამდენ ხმაზეა ლაპარაკი?

- რამდენზე?
- 25 ათასზე.
- ...წელს გიორგი-პუტინის შეხვედრა ახსენეთ. თქვენი ვერსიით, ეს შეხვედრა, რომელიც ქართულ მედიას, მგონი, არც გაუშუქებია, რას ემსახურებოდა?
- უბრალოდ, ეს პუტინისგან მესიჯი იყო, შეგიძლიათ, გიორგი-პუტინის მეშვეობით მელაპარაკოთ.
- ესე იგი, ქართული პრორუსული ძალებისა და პუტინის მთავარი მეკავშირე ისევ

იგორ გიორგაძეა? — შეიძლება... მოგეხსენებათ, პუტინიც უშიშროების კადრია და აქედან გამომდინარე, გიორგი-პუტინი, ალბათ, უფრო მეტად ენდობა. ასე რომ, არ გამოვრიცხავ, იგორ გიორგაძე ქართულ პოლიტიკაში ისევ გამოჩნდეს!

- სხვათა შორის, გიორგი-პუტინის მეკავშირე, ირინა სარიშვილი „ოცნებას“ რადიკალურად უპირისპირდება და, ნებისმიერ შემთხვევაში, „ნაციონალთა“ პოზიციებს ამყარებს...

- ძველი რალაქების გახსენება აღარ მიწინაა.

- მაინც, რისი? — ყველაფერი 2004 წლის დასაწყისამდე მიდის, როცა მიხეილ სააკაშვილს იგორ გიორგი-პუტინის დაცვა იცავდა და მისი ნაჩუქარი ბრონირებული მანქანით დადიოდა. თემურ ალასანიასა და იგორ გიორგი-პუტინის მეგობრობაზე აღარაფერს ვიტყვი. ხომ გახსოვთ, სარიშვილი სააკაშვილის 7-პროცენტის ბარიერი ჯერ კიდევ როდის „გაპარავა“...

- ბატონო კოტე, ისევ მეგობრობას უნდა დაფურცლდეთ. იმ ფონზე, როცა დედა ოჯახის წევრი არაა, ვიღაცასთან მეგობრობის გამო ვიღაცას რამეში დადანაშაულება არ შეიძლება!

- სპეცსამსახურები ამას სხვანაირად უყურებენ! თავის დროზე „კა-გე-ბე“-ს „ლრ-მა“ ბურღვის კომიტეტს“ ეძახდნენ და ამით, მგონი, ყველაფერი ნათქვამია!

- „ლრ-მა ბურღვის კომიტეტი“ დღესაც მუშაობს?

- რა თქმა უნდა და მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კი არა, დასავლეთშიც ასეა. რა, გგონიათ, რუსულ და დასავლურ სპეცსამსახურებს შორის რამე პრინციპული განსხვავებაა? ბოლოს და ბოლოს, მოსადი საბჭოთა კავშირიდან წასულმა რუსმა ებრაელებმა, ძველმა ჩეკისტებმა შექმნეს. ასე რომ, ხერხები ყველა ქვეყანაში ერთნაირია. ისიც არავინ იცის, ვინ სად და როგორაა დუბლირებული.

- ესე იგი, საშველი არაა?

- დიახ... ვიდრე ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახური ნორმალურ სიმაღლეზე არ იქნება და სხვის კი არა, საკუთარი ქვეყნის ინტერესს არ გაატარებს, არაფერი გვეშველება! მითქვამს და ახლაც ვიტყვი: არსებობს ორი მეგობარი ქვეყანა, მაგრამ არ არსებობს ორი მეგობარი სპეცსამსახური! ყველა

სპეცსამსახურელი სწორედ ამ პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს და იმის თქმა, რუსულ სპეცსამსახურთან თანამშრომლობა ცუდი ტონია, დასავლურთან კი, კარგიო, არ შეიძლება.

- თუკი ქუჩის აქციები რუსული „ქეისი-ი“, ესე იგი, აქაც მიზანს ინტერესია?

- რუსებმა მიზანს თამაშიდან გაიყვანეს!

სტოკაპარი

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს რიგით მეორე სხდომის შემდეგ, რომელიც გუშინ ბრიუსელში გაიმართა, ევროპული საბჭოს ვებგვერდზე ოფიციალური პრესრელიზი გამოქვეყნდა.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ სხდომის დასაწყისში, საბჭოს წევრებმა პარიზში მომხდარი ტერაქტები მკაცრად დაგმეს. „ორივე მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კვლავ ერთგული რჩება საქართველოს პოლიტიკური ასოცირებისა და ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის და კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ევროპული მისწრაფებები, ევროპული არჩევანი და საერთო მიზანი, ხელი შეუწყოს დემოკრატიული, სტაბილური და წარმატებული ქვეყნის მშენებლობას“, — ნათქვამია განცხადებაში.

ასოცირების საბჭო მიესალმა საქართველოს მზადყოფნას, გაამტკიცოს რეფორმების პოლიტიკური შედეგები იმ საერთო ფასეულობების შესაბამისად, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებაშია ჩამოთვლილი: ესენია დემოკრატია, სათანადო მმართველობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა. ამ კონტექსტში, ასოცირების საბჭო აღიარებს საქართველოს ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ აღმოსავლეთ აზიის რეგიონში.

განცხადების თანახმად, ორივე მხარე შეთანხმდა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ფონზე, საქართველო არჩევნების ფონზე, საქართველო-ევროკავშირმა ასევე, მოუწოდა „საქართველოში ყველა პოლიტიკურ ძალას, უზრუნველყოს თავისუფალი და პლურალისტური მედია და პოლიტიკური გარემო“, რაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარების წინაპირობაა და თავი შეიკავონ ისეთი ნაბიჯებისგან თუ განცხადებებისგან, რომელიც დაძაბულობას გაზრდის და პოლარიზებას შეუწყობს ხელს.

„ევროკავშირი გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას მისი ძალისხმევაში, გაატაროს სასამართლო სისტემის რეფორმა და გააძლიეროს კანონის უზენაესობა. ევროკავშირი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ სისხლის სამართლის გამოძიება და სისხლის სამართლის დევნა იყოს დამოუკი-

ვთქვით, მიზანს ჩანანერები რუსებმა გამოაქვეყნეს. ამის მთავარი მიზანი „ნაციონალიზმის“ პროდასავლური ფრთის საბოლოო დასამარება იყო. დიახ, „ნაციონალიზმ“ „ქართულმა ოცნებამ“ კი არა, მიზანს დაასამარა! შე მამაცხონებულო, 9 წელი ქვეყნის პრეზიდენტი იყავი და ძალიან კარგად იცოდი, რომ სახელმწიფო გადატრიალების ნიშნებზე კი არა, ტელეფონით უბრალო საუბარიც არ შეიძლება. თუ მართლაც, რამის გაკეთებას ამირებდა, კონსპირაციის შესაბამისი ნორმები რატომ არ დაიცვა?... ბიძინა ივანიშვილი მართალი იყო, როცა განაცხადა, ქუჩის პროცესების გაგრძელება არ შეიძლება, რადგან ძალიან კარგად იცის, რომ ამით ხმებს „ქართული ოცნება“ დაკარგავს. მოკლედ, ხელისუფლება ცუნგ-ცუნგშია: ერთის მხრივ, თუ მოშიშვლეთა მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, თავის მომხრეებში ქულებს დაკარგავს. თუ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს და პროცესს მიუშვებს, უფრო ცუდ შედეგს მიიღებს. ამიტომ, პირველი, რაც ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, ისაა, რომ ადმინისტრაციული რესურსი შეინარჩუნოს.

- ადმინისტრაციული რესურსის შენარჩუნება ხომ არჩევნების გაყალბებაა? — ამას, შეიძლება, პირდაპირი გაყალბება არ დავარქვათ, მაგრამ სპეცუბნებზე ხმებს ყველა ხელისუფლების დროს ხელისუფლება იღებს.

- ეს წარსულში იყო. ახლა კი, დემოკრატიის რელსებზე გადავდივართ! — რომელ დემოკრატიის რელსებზე? — ისე, იმაში ბრალი, რაც საქართველოში ხდება, დასავლეთსაც მიუძღვის, რადგან ცრუ მოლოდინი, რომელსაც შესრულება არ უნერია, არ უნდა გააჩინო.

ესაუბრა მანო პავლიაშვილი (თემის გაგრძელება იქნება)

ასოცირების საბჭო  
საპრტიველს აღმოსავლეთ  
პარტნიორობის ქვეყნებს  
შორის ერთ-ერთ ნაფხვან  
სახელმწიფოდ აღიარებს

დებელი, ფაქტებზე დაფუძნებული, გამჭვირვალე, მიუკერძოებელი, კანონით გათვალისწინებული პროცედურების მკაცრი დაცვითა და ასოცირების ხელშეკრულებით მიღებული ვალდებულებების შესაბამისად, — ნათქვამია განცხადებაში.

ასოცირების საბჭო მიესალმა საქართველოს პროგრესს ვიზა ლიბერალიზაციის გზაზე, ასევე ადამიანის უფლებების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის, ასევე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზების საკითხში.

„ევროკავშირმა კიდევ ერთხელ მტკიცე მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ასოცირების საბჭომ შეშფოთება გამოთქვა საქართველოს რეგიონებში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენების გამო, მათ შორის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ინტეგრაციის გაღრმავების შესახებ რუსეთის მიერ ე.წ. შეთანხმებების რეალიზების გამო, და იმის გამო, თუ რა გავლენას ახდენს ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ბანერების უკანონო დადგმა უსაფრთხოებაზე, არსებობის წყაროებსა და ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფლად გადაადგილებაზე“, — ნათქვამია განცხადებაში.

ევროკავშირი კიდევ ერთხელ მტკიცე მხარდაჭერას უცხადებს მშვიდობას, სტაბილურობას, კონფლიქტების მოგვარებას და არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკას საქართველოში.

„ინტერპრესნიუსი“

„როცა აზოგ, რომ ზვიადისა და მირაზის გზას აბრძობა, ანუ პრეტენზია გაქვს, რომ 80-იანი წლების ის ეროვნული მოძრაობა ჩაანაცვლო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოიტანა, გახინ საკითხავია, შენს გვირგვინს იმ ადამიანებს, ვინც ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, პრამტიკულად, პუტინი მოუხყო, რა უნდათ?“

# სტეპის ოღისა მანასი

ნესპარას თავდასხვა

მანჯურის განაგებდა ახალგაზრდა ნესკარხანი მუდამ თავით კმაყოფილი თავხედი და უტიფარი. მან იცოდა, ბურუტები, რომ დამკვიდრდნენ ალტაიში, გამრავლდნენ და გადიდდნენ, სიღარიბის არ აქვთ შიში, მათ სკივრებში ბრწყინავს ოქრო, აჭენებენ ცხენებს მარდად, უთქვამს მისანს, რომ მათ ტომში წინამძღოლი დაიბადა. ცამეტი წლის არის ახლა ყმანვილია უწვერული, და თუმც არის ახალგაზრდა უცემს გული. „სანამ თავად დაგვიპყრობდეს გაიფიქრა ნესკარ ხანმა შეეკრავ ჯარს და გავილაშქრებ, საქმე როდი დაახანა. ბული ასდის გზას და შარას გაშლილია ჯარი ველად, მიიქარის ნესკარხანი ალტაიში საბრძოლველად. ცეცხლებს აფრქევს ხანის ცხენი რა ფიცხია, რა მალია, ჯერ არ მოჩანს კერ-არალი შორს მონღოლთა ტრამალია... გოლიათი ჟაიხანი კერ-არალის მმართველია, ვაჟკაცობა, ერთგულება გულისგულზე ანერია. ნესკარ ხანმა შეუთვალა, შეეაერთოთ ჯარებიო, და მანასის დედას ცრემლით ამოვუვსოთ თავლებიო. წამოვასხათ ფარა, რემა, მოვიტაცოთ ქალებიო. მონღოლთ ხანმა უპასუხა: – გულმამაცო ერ-ნესკარო, უნდა გითხრა უარი და წყენა გულს არ გაიკარო. თუნდაც მომცენ ოქროს კვერთხი, თუნდა ძვირფასი ხალათიო, ყირგიზებთან ძმობა მაქვს და არ ეგების ღალატიო, ეს უარი, გვედრები – ღირსეულად მაპატიო. განრისხდა და გადიდგულდა ნესკარ-ხანი გულბოროტი, ჟაიხანის შიკრიც რისხვით გადუჭირა ტანზე შოლტი. დაიშხუვლა შოლტის წვერმა აიყოლა ციმციმ სისხლი. შეუთვალა ჟაიხანს ხანმა, გეშინოდეს ჩემი რისხვის. მე დღეიდან, ჟაიხანო, აღარა მაქვს შენი ნდობა, ვნახოთ ერთი, რას მოგიტანს ყირგიზებთან მეგობრობა. უღმობელმა ნესკარ-ხანმა, გულს გაივლო მტრობა რაკი ცეცხლის ალში გაახვია. უამრავი აიმაკი. ხანმა თავის ჯარისკაცებს სისასტიკის მისცა ნება დაივიწყეს მომხდურებმა დანდობა და შებრალება. ყაჩაღობდნენ, ძალადობდნენ, უცხო ჟინით, გამალებით, ცეცხლმა უცემს გადამოვა მონღოლების ტრამალები. არ ინდობდნენ ქალს თუ მოხუცს, დედის თვალნი კლავდნენ შვილებს, არ ათრობდათ რძის არაყი კაცის სისხლით გაღებულს.

ყოველ ერს აქვს თავისი მთავარი წიგნი, ქვეყნის უკვდავების ნიშანსვეტი. ყირგიზი ხალხისთვის ასეთია ებოსი „მანასი“, რომელსაც იუნესკო-მ „სტეპის ოღისა“ უწოდა. მე-11 საუკუნის შედეგრი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. „ქართული სიტყვა“ პირველად გთავაზობთ პოემის ქართულ ვარიანტს, რომელიც მავალა გონაშვილმა თარგმნა.

## მანასი – სტეპის ოღისა (გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №41, 42, 43, 44)

ნამუსს ხდიდნენ ქალწულებს და უფლის რისხვა დააწიეს. დაიჭირეს ჟაიხანიც და ორმოში დაამწყვდიეს. სწორედ იმ დროს, ალტაიში იყო ხანი აიდარი, ბრძენი, უხვი, გულმამაცი, ყაზახების ალამდარი, რა გაიგო ნესკარხანის ვერაგობა, სიბოროტე, გაცანყრა და გაგულისდა და თავისთან იხმო კოჩქე: „ჩემო ვაჟო, უნდა გითხრა, ასე უცებ გიხმე რაზე, ყირგიზებზე ახლობელი ყაზახს არ ჰყავს დუნიაზე. ჭირში ძმა ძმის მშველელია, მიეხმარე, შვილო, მანასს, წაიყვანე ჯიციტები გამიხარე გული მამას. კანონია მამის სიტყვა შვილიც სიტყვის კაცი არის, თავის რაზმთან ერთად კოჩქე მანასისკენ მიიქარება. მამაც კოჩქეს მობრძანებით გაიხარა ერ-მანასმა, ყაზახს ღვიძლ ძმად შეეფიცა, ეფირუზა, ეალმასა. ძმობის ფიცით შეკრულებმა დაუმშვენეს ერთურთს მხარი, ვიშ, რა კარგი საცქერია, რა საამოდ სანახავი. ძალა ძალას შეემატა, რას დააკლებთ ნესკარხანი, გინდა ორბის თვალი ჰქონდეს, მგლის მუხლი და ღონე ხარის. სად არა სჯობს, იქ გაცლა სჯობს, როგორც იქნა, მიხვდა ხანი, მანასს აღარ შეებრძოლა მოაბრუნა უკან ჯარი. მას მანასი გამოუდგა, მიჰქრის, როგორც ნიაკ-ქარი. შოლტი დაკრა ცხენს ნესკარამ ააჩქარა ხანმა რაში, ჩაბდარ-ატამ ცხრა მინდორი გადიფრინა სულ ერთ ნამში. შინ მობრუნდა ერ-მანასი, ტყვედწავარდნილ მხედრებს უხმო, ვის რა სასჯელს დააკისრებს ავი საქმის საპასუხოდ. თქვა მანასმა: – „ჩემო ძმებო, ძველი მტრობა დავივიწყოთ, ვისაცა გსურთ, დარჩით ჩემთან, ერთგულება შემომფიცოთ, მე მზადა ვარ შეგიფაროთ, მოგცეთ ცხენი, მოგცეთ ხმალი, სამშობლო ერთად დავიცვათ, დავუმშვენოთ ერთურთს მხარი, ჩვენს მოყვარეს გული მივცეთ, ვასროლინოთ მტრის ქვა კუდიო, ვისაცა გსურთ, წადით სახლში თქვენს ოჯახებს დაუბრუნდით. არჩევანი თქვენს ხელთაა, ეს მინდობა მხოლოდ, მე თქვა“, მონყალეა, ერ-მანასი, დღეგრძელობა მისცეს ღმერთმა. ამ ამბავმა მთა და ბარი სულ ერთ დღეში მოიარა, ერ-მანასის ბრძნულმა ქცევამ ყველა ერთობ გაახარა, იძახდნენ: – ვაშა, მანას, მანასს, მანასს დიდებო, ისეთია ჩვენი გმირი, ქება არ მოგწყინდებაო, როგორც მთავარ ვარსკვლავებში ცად რომ ამობრწყინდებო. როგორც ავსებს, აძლიერებს მდინარის წყალს მთის რუები, სწორედ ასე შეემატა მანასის ჯარს მეომრები. მისი სიტყვა საარაკო მთა და ბარში ყველგან ქუხდა ვით მდინარე გაზაფხულზე ადიდდა და განყალბდა.

ერ-მანასის მეომრებმა ერთხელ ღზინი გააჩაღეს გაუზომეს ერთურთს ძალა, სიმაძავე, სიყოჩაღე. ისრით ხოცეს ფრინველები არ დაუგეს კაკანათი, გამოუდგნენ ველურ ტახებს ძახილით და ყიჟინათი. წინ გაიგდეს თხა, არხარი, სადავე მიუშვეს ცხენებს, ბასრისკარტა შავარდნები სანადიროდ გაახელეს. ვაჟკაცებმა – ნადირობით როცა გული მოიჯერეს, ალმა-დალმა ნავარდობით, ქანცი გაუწყვიტეს ცხენებს, შეისვენეს, იჭიდავეს, ილხინეს და იხარხარეს, კოცონი რომ აბურბურეს, ველზე ხარო ამოთხარეს. სიტყვა-უხვი კუტუბაი არის ღზინის ტოლუმბაში, მას ვერავინ შეედრება ეშმაკობა-ხუმრობაში. ბიჭებს თვალი ჩაუკრა და ბრძანა: – „ყური მომაპყაროთ, ნესრიგი რომ დავაყაროთ, ავირჩიოთ ჩვენი ხანი. მამაცმა და ხელგაშლილმა დაგვიმტკიცოს ყველას ძმობა, მოგვიხარშოს ბეშბარმაკი ვისაც უნდა აკიშობა“. ყველა მანასს მიაშტერდა, რად გაუხდა სახე კუტუბი, ყირგიზ ვაჟკაცს, უცხენობას ურჩევნია იყოს კუტუბი. არ ჩერდება კუტუბაი, მანას, რატომ გაცევადიო, თუკი ჩვენი წინამძღოლი შენ იყავი აქამდით, ენა რატომ ჩაგიყლაპავს, რად ნაგსვლია ფერ-ფერიო, დაგვანახე, ერ-მანასო გულუხვობა მეფურო. თქვა მანასმა: – „ჩემო რაში თავზე მეტად მიყვარს, იცით, მაგრამ რაკი ერთგულების შეკრული ვარ თქვენთან ფიცით, თითქოს იყოთ ორსულები ვერ იოკებთ სურვილს რაკი, მზად ვარ, ცხენი შემოგანიროთ, მოგიშალოთ ბეშბარმაკი. წამოიჭრა კუტუბაი მოეხვია ძმობილს ყელზე, „მაპატიე, ერ-მანასო, გამოგცადეთ სიხარბეზე. მამაცო და გულმონყალევე, პირველობა შენ ერთს გშვენის, თავად უფლის რჩეული ხარ, მხედრონი ჩვენ ვართ შენი!“ შეძახილი, „ვაშა, მანასს“, აყრუებდა არე-მარეს. როგორც ოქროს ტახტრევანზე, ყვითელ ლოდზე დააბრძანეს.

**მანასი ხანად არჩევა**  
შეიკრიბნენ ყირგიზები ყველამ გულით გაიხარა, კოცონების ასანთებად ორმოები გაითხარა. აიმაზბოზის რემიდან შეარჩიეს ვაშარტები, ას კოცონზე ბრინჯით სავსე ათუხთუხდა კაზანები. ცხრა ფაშატი დაკლეს იმ დღეს, აქნეს ხორცი ასო-ასოდ. ჭამა უნდათ ყირგიზ სტუმრებს შეკრებილებს საბაასოდ. მოილხინეს ყირგიზებმა, ხორცს ჭამდნენ და არაყს სვამდნენ დაითვალა აკბალტ-ბრძენმა ასე ასი ათასადღე. აკბალტბაი უთხრა სტუმრებს: – „მადლი უფალს, გხედავთ ერთად,



სხვის მიწაზე გამრავლება რა ვქნათ, გვიწერია ბედად. უსამშობლოდ ბედნიერი, არის მხოლოდ სულელიო, იცით, საბაბს ეძებს მტერი, ჩვენი ავის მსურველიო. გადაივლის ჩვენ ზეცაზე მალე შავი ღრუბელიო. ნეტავ ვისი იმედი გაქვთ, არხენინად რატომ ხართო, უნდა ერთურთს მივცეთ მხარი, და ერთ მუშტად შევიკრათო. ვერ უშველის თავმოკვეთილს მკურნალი და აქიმიო, სანამ დროა, ავირჩიოთ წინამძღოლი, აკიმიო. სხვა რა გითხრათ, მხედრონი უწინამძღვროდ არის ხროვა“. ენამჭვერი კუტუბაი ადგა, სიტყვა მოითხოვა. აუნერა ყველას წვრილად მან ამბავი ნადირობის, როგორ აირჩიეს ხანი, როგორ გაეხუმრნენ ძმობილს. თქვა: – „აკიმად ავირჩიეთ, ძმებო, ერ-მანასი მაშინ, სინამდვილის მარცვლია იცით, ყველა ხუმრობაში. ერ-მანასის აკიშობა, იცით, უფლის ნებაც არის, ავირჩიოთ, გვიწინამძღვროს, ერთად დავუჭროთ მხარი“. „რის აკიმი“, – თქვა მანასმა, – „მატივია თქვენთან ძმობა, ხანად ავირჩიოთ კოჩქე, მას ეკუთვნის პირველობა. კოჩქემ უთხრა:– „ნდობისათვის მანას, უნდა გითხრა ქება, მაგრამ ჩემი პირველობა, არ ეგების, არ იქნება. შუბის ტყორცნა, ჯირითობა, არის ჩემი ხელობა, მაგრამ ვინ თქვა ჩემი სიბრძნე, ჩემი ენამჭვერობაო. სულ ტყუილი ფაფხურია, თუ არ ატანს ჭკუას ძალას“, ფეხზე წამოდგა აკბალტა, ბრძენთა-ბრძენმა ასე ბრძანა. ჭაბუკია ერ-მანასი, უხედნავი ჯერ კვიცია, აკიმად ვერ გამოდგება, ყაკიპი თუმც მოხუცია, თუმცა უკვე მოილია თავის წუთისოფელიო, მდიდარია ყაკიპ-ბაი, დიდი განძის მფლობელიო, შვილიც იმის პატრონია, რასაც ითვლის მშობელიო. მოსწევია ჭაბუკ მანასს, სანამ პირველობის ჯერი, მამა იყოს ჩვენი ხანი შვილი – მამის ყავარჯენი, ყირგიზებმა აკბალტ-ბრძენის არჩევანით გაიხარეს, და ყაკიპი შვილთან ერთად ხალიჩაზე დააბრძანეს. დობულბასს შემოჰკრეს მარდად, არე-მარე ახმინდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



## ლიტერატურა. სეკსუალური. კომპლექსი

### პროზა

სმაკ კოლახმა მაგრად ამოისუნთქა: ალბათ სასიამოვნო რამ ამოიკითხა. გაზეთი გვერდზე გადალო.

შემდეგ მინვა ნახევრად ტახტზე იწყო სხვა გაზეთის თვალეჩენა. ერთს ალაგს სათაურს მოჰკრა თვალი: „მისტერ ჯიმი“. მაკ კოლახს უყვარდა ეს სახელი. „აქ რაღაც უნდა იყოს“: გაიფიქრა. შეუდგა კითხვას. პირველ სტრიქონებთანვე იგრძნო, რომ მოთხრობილი ამბავი მეტად საყურადღებოა, და თითქო ეს ვრცელი ქრონიკა მაგრად შეკრული და დინამიურ გაშლილი ნოველა ყოფილიყო სტეფან ცვაიგის, ან მიგუელ უნამუნოსი, ან ლუიჯი პარანდელოსი — მაკ კოლახ დაბაბული თვალს აყოლებდა ჯიმის ამბავს.

ჯიმი მოკლე სახელია ჯიმის უაიტის. იგი დაიბადა ლანკაშირის პროვინციაში. ოჯახი ღარიბი იყო მეტად, მაგრამ ჯიმს ჰქონდა ბავშვობიდან უტეხი ხასიათი. ათი წლის ჯიმი უკვე დამოუკიდებელ ცხოვრობდა. ჯერ: დაპქონდა ადგილობრივი ფოსტის დეპუტეტი. იღებდა რამოდენიმე გროშს გასამრჯელოს. შემდეგ იგი შიკრიკად მოეწყო მოხეტიალე ცირკში. გავიდა ხანი. ჯიმი აგურის ქარხანაში შეაგდო ცხოვრებამ სამუშაოდ. იშოვა ფული. ცხრაშვიდი წლის ჯიმიმ ას სტერლინგად იყიდა სწორედ ის ბალაგანი, საცა იგი საგზავნ ბიჭად იყო წინათ. შექენის ნდობა მატულობდა. თანვე — უნარიც და მოხერხებაც. ჯიმი იყიდა აგურის ქარხანაც და საფოსტო განყოფილებაც. იყიდა აგრეთვე საქალაქ მანუფაქტურა ბრაიტი, საცა იგი ოდესღაც მხოლოდ ხუთ შილინგს ღებულობდა კვირაში.

მაკ კოლახ შეჩერდა გაცეცხლული: თითქო საკუთარ ბიოგრაფიას კითხულობდა. მოხსნა სიგარა და გაჰყვა ქვევით.

ჯიმი სამჯერ იყო ბანკოტი. მაგრამ მის ენერგიას ვერ ტყუბდა ეურაფერი. ყოველ საქმეს ჰკიდებდა ხელს, თუ კი მისგან რამეს მოელოდა. ერთხელ ბოქსის მატრიც გაიმართა. ყველას ახსოვს ჯექ ჯონსონისა და შოტლანდიელ ლედლის შეხვედრის სამატრო შედეგი. ახსოვს ყველას, თუ როგორ დაამარცხა ლედლმა სახელგანთქმული ზანგი, მხოლოდო ჩემპიონი. ეს მატრიც ჯიმიმ მოაწყო. ჯიმი არ ისვენებდა თუ ვერ ისვენებდა, ყიდულობდა ყველაფერს და ყიდდა ყველაფერს. ყიდულობდა და ყიდდა თერხიანი სიადვილით: ქარხნებს, ბანკებს, თეატრებს, თავლებს, საგამოყვანო შენობებს. მისი ტემპერამენტი აზარტი იყო და ჯიმი თამაშობდა ყველგან: ბორჯაზე, დოლაზე, კლუბში. ერთხელ ნახევარი საათში მან 35.000 სტერლინგი ნააგო, ნაგებებს ისე ადვილად იტანდა, როგორც მოგებებს. არავის არ შეეძლო გამოეცნო მის სახეზე თუ მის ძროხაში თუ მის ხელებზე, ნააგო თუ მოიგო. იგი ილიმებოდა მხოლოდ. შიგა და შიგ ღიმილს ამასაც დაუმატებდა: „მე ნერვები არა მაქვს“.

„ყოჩაღ ჯიმი!“ ნაიჭურჩულა თავისთვის მაკ კოლახმა. შემდეგ გულში: ბედი მართლაც მისია, ვისაც არ აქვს ნერვები, უფრო მაგრად მოხსნა სიგარა და განაგრძო.

ჯიმი პატივმოყვარე იყო. მას უყვარდა პოზა და თეატრალიზაცია. იგი ამამობდა ჩეკით (რვა მილიონი სტერლინგი), რომელიც მას მისცა ბედფორდის სერკოგის ერთ ნაჭურ მინისტრის ლონდონის შუაგულში. არ ეშინოდა ბედის და ბედიც მისი იყო. იყო დღე და მის სიციცხლეში, როცა მან ერთი დაკვირებით 750.000 სტერლინგი იშოვა. ას მილიონზე მეტი ჩაუდგია მას სხვადასხვა საქმეში. ერთხელ ჯიმი მონაკოს სამთავროს ეწვია. დააპირა კაზინოში შესვლა, არ შეუშვეს: სამზავრო ტანსაცმელი ეცვა. მაშინ ჯიმიმ მიიღო რომაული პოზა და გასძახა ყველას გასაგონად: მე თავს არ ვინუხებ ტანსაცმლის გადაცემით, ხოლო მზადა ვარ. „ვაშა ჯიმი!“ გაიძახოდა გულში მაკ კოლახს.

ქრონიკა თავდებობდა. მის ბოლოში გაკვრით იყო ნათქვამი, ვითომ ჯიმი, რამოდენიმე წელია, ყიდულობს ჩუმად ბრიტანეთის სანათაგო საზოგადოების აქციებს. ამ საქმეში, ამბობენ, ერთი ვინმე ეხმარებოდა მას: ვინმე, რომელიც ძალიან ახლო პირი უნდა იყოს სხენებული საზოგადოებისა, აბოლოვებდა ქრონიკა.

მაკ კოლახ შეჩერდა. გაზეთებს აქეთ წინასწარი ყნოსვა. ხშირად ისინი „იხეზბს“ აფრენენ, მაგრამ „იხეზბის“ კამარა ატმოსფერულ იჭერს მოახლოებულ ამბავს. გაზეთით გაფრენილი „ჭო-

## ბრიტოლ როზაქიძე

# ფაქტობრივი

(დაუმთავრებელი  
რომანი)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №41, 42, 43, 44)

რი“ ხანდახან სეისმოგრაფის როლს ასრულებს რამოდენიმე თვის შემდეგ. მაკ კოლახმა იმავე გაზეთის ფურცელით შეიტყო, თუ როგორი კატასტროფით დამთავრდა ჯიმის თამაში: სწორედ მის თანაზიარს ელაღატნა მისთვის.

უეცრად მაკ კოლახმა ხელი მოავლო მონკი; თითქო უკანასკნელი გამოვარდნა

სურდა, შეირხა მეორე ხელიც. თითებში გარჩენილი იყო დიდი ხნის მოუწვეველი სიგარა, ხელი მოხლებული დაეცა და სიგარას მოძვრა გრძელი მაგარი ფერფლი, მაკ კოლახს შეირხა; თითქო რაღაცას გამოერკვა. გაზეთი გვერდზე გადალო, ნამოდგა და იწყო იქით-აქეთ სიარული, მაკ კოლახიც ხომ ჯიმი! ერთი ვინმე ამ საქმიან ქვეყანაში. უეცრად მოაგონდა ერთი საფინანსო საქმე, ჰამბურგში დაწყებული, მაკ კოლახის ხმელი ტანი აღვიდოდა: იგზნო ტემპერამენტი, თუ რამდენიმე წუთის წინად იგი „ნება“ იყო მარტო, ნება, ასე ვთქვათ, „თავისთავად“, ესლა მისტერ განზრახულ საქმისათვის მოიმართა: ნებას მიეცა გეზი. აიღუნა მაკ კოლახ, აინვა, აცეცხლდა. მაგრამ ცეცხლშიაც ცივი დარჩა ამერიკელი. იცის: იბრძოლებს, იომებს. იბრძოლებს, იომებს საქმისათვის. არ დაზოგავს საკუთარ ძალას. არ შევს არჩევანში საშვალეების ასარჩევად, იქნება იგი სასტიკი, უღმობელი, შეუბრალებელი, ოლონდ... ოლონდ კი მიაღწიოს მიზანს. მაკ კოლახ ხომ ჯიმი! ერთი ვინმე, ან რომელიმე: ამ საქმიან სამყაროში. მაკ კოლახს აებნო ნდომით. ნდობაში ცეცხლის ელემენტი მარტო დინამიკა იყო. დააბაბა ტვინი. ტვინში მარტო ლოგიკა იყო. მოზვილდა მთელი არსი. არსში მარტო ანგარიში იყო. წინ მაკ კოლახ! დეე იყოს: ცრემლი, ტკივილი, შიმშილი, სისხლი, უბედურება ყოველგვარი, მაკ კოლახს არ უნდა შედრკეს. ერთ ნამსაც არ უნდა მოეღობოს გული. არ უნდა შეირყეს: ოდნავაც. ჯიმი მართალია: შორს ნერვები.

მაკ კოლახს მაგინდებდა შეჩერდა.

ესლა იგი მართლაც უნერვო არის. იყო: მათემატიკურ სწორი და დემონურ ლოგიკით ნაჭედი. იდგა როგორც ცივი გილიოტი. მანამს მას ნამდვილად შეეძლო მძინარე ადამიანის ყელი სამართლებრივად გადაეჭრა. მაგრამ არა ვნებით, არა ლეღვით, არა ცივად, მოზომილად, სწორედ იმ გვარად, როგორც ხარაზი ტყავს გადაჭრის ხოლმე, ფეხსაცმელისათვის. და ეს მჭლე და მჭკნარი კაცი, რომელიც გავლივებისას მხოლოდ სიბრალულს გამოიწვევდა მნახველში, ესლა, ამ ნამს, უშიშარ შემხვედრასაც შეარხედა გადაწყვეტილებით: ჰამბურგს ნასუღიყო.

დახედა საათს: 12. უეცრად შეირხა: თითქო ლითონს ჩაეშვა „რადი“. როგორც მოხდა, რომ დაავიწყდა: 11 საათზე კავასთვის უნდა დაერეკნა. მივიდა ტელეფონთან. გამოიძახა. ხმაზე იცნო მსახური ქალი. შეეკითხა: არის თუ არა „მადამზელ კავალა“ შინ, მოესმა: არ გახლავს. მაკ კოლახს მოიღუშა. შემდეგ-ბეჯითი მოსხლეტით:

„გადაეცი: საღამოს 5 საათზე — კავა ქიენ... მაკ კოლახ“...

ტელეფონს ტარი ჩამოეკიდა. ხელი კი მაკ კოლახს ჩამოეკიდა: თითქო მოტეხილი. ერთი ნაშით „გრძობას“ (ამურის?) გაურბინა სხეულს: შემდეგ — „გრძობა“ გამოძვრა და გაქრა (თუ მოკვდა). მაკ კოლახს გაიძვრა მხრებში: კვლავ მიეცა ტანს ლითონის სიმტკიცე. იდგა როგორც თუჯის მონუმენტი — მისტერ მაკ კოლახს. დაპქრა ასანთი და სიგარას ცეცხლი მოუკიდა. მოხსნა მაგრად — და ამ მოწვევაში დაინახავდით: თითქო კაცმა სამყარო მოხსნა. ბოლოს, თითქო დაეცა — ისევ ტახტს მიმართა. მისი თვალებიდან ესლა მართლაც გამოიყოფოდა რამზეს მეორე თუ პირველი.



კამარა მოთხე

ქალი შეხლტონგე იყო გაშვარებული. ტანზე კომონბო ეცვა ლანდშფტური მარმარის (rocatelle d'Espagne) ყვითელი ფერის. გვერდით პატარა მაგიდა ედგა დაბალი. მაგიდა დაფარული იყო სხვადასხვა ხატული ყურნალებით: კინოსი, სპორტის, თეატრის, მოდის. იქვე ახალი რომანი ედო ფრანგული, შუაზე გადაშლილი.

ქალს ახსოვდა, რომ მას 11 საათზე დილით მისტერ მაკ კოლახს დაურეკდა. მაგრამ აღნიშნულ დროს მან არ დარეკა. ქალს კიდევ გაეხარდა. მას არ უყვარდა მისტერის დაბუჯილი ხმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ხმა ტელეფონში ისმოდა. და ქალმა გადასცა მსახურს: „თუ ვინმემ მიხმოს — შინ არა ვარ“. მაგრამ დღეს მარტო მისტერის ხმა არ იყო მიზეზი ქალის გაჩინების.

ქალი ახლად მოსული იყო ევროპაში. მას მოსწონდა დიდი ქალაქების მაჰური. მრავალსართულიანი შენობები, უბოლოო ქუჩები, დაქსელილი მითოლოგიური ობობას მიერ, მუსიკოლოლები, კინოები, თეატრები, კაფეები, მაღაზიები, რკინის გზები, (მინაზე და მისის ქვეშ). ტრამვაები, ომნიბუსები, ტაკსები უთვალავი, ხალხის მასების დენა — დაუღვეველი. ხშირად შესცურავდა ხოლმე ქალი ამ რიტემების დენაში: ხდებოდა ერთ-ერთ მათ რგოლად, მოღვეულად. თავი თითქო ავინყდებოდა ქალს: მისი „მე“ სადღაც სულ ძირსა და ძირს იყვინებოდა. სხეულის ძროხა კი რაღაც გამძაფრებულ ხილულობას ღებულობდა: თითქო მივარეულ ხდებოდა იგი, რომელიც უფსკრულზე გადაებულ ხიდზე გაივლიდა, რომ ფეხიც არ აუცდებდა. ქალის შეცნობა შორეულში მიდინოდა, გადადიოდა ქვეშეცხეულში, თითქო თვალაღია სიზმარი ჰქრებოდა, სომნამბულუს რაღაც აღვიძებდა — და გრძობდა ქალი უეცრად, ბურუსიდან გამოსულათ, თითქო თავს დაეცა მას ნადირის ბოლმა, საშინელი როგორც გაღვსილი სამართლებელი უცბად გაეყვებულის ხელში. ქალი მაშინ შინ ბრუნდებოდა, მაგრამ აქ მას მარტოობა უცდიდა: როცა ზღვაზე ლეღვა და დანოლილის გული ირევა. მისი გუნება „ზღვის ავადობას“ ედრებოდა: უჩვევს, წუთხეს, ამღვრევს.

ესლა ამ გუნებაზე იყო ქალი. ყურნალები გადაყარა. წიგნი დაეგდო. თვითონ კი, გასურდული და თვალზე-გაგანიერებული, ატეხილ მენადასავით სივრცეს მიშტერებოდა: მენადასავით, რომელიც ნესტობით დაერს ზომავს და გამახვილებული სმენით ღიონისოს მოახლოებას გრძობს შორიდან. ქალი იწვა გასურდული: რაღაც აგონებდა

- შორეული.

იგი დაიბადა ჩრდილო-კავკასიაში. მამა მისი იყო კაზაკი კოვალიოვ, სწორედ ამ სტანციიდან, რომელიც ლეე ტოლსტოიმ თავის „კაზაკებში“ უკვდავ-ყყო, მამა მცველების უფროსი იყო, მსახურობდა გროზნოში. მალაღია. ზორბა, ნითური, მკლავ-მკავარი, რუსახრობდა, ჩასხმული, ველური, მრისხანე, სისხლით დაგეშილი, მოლხინე, მოჯირითე. კავკასიში ქალი ნახა. ქალი ქართველი მოხელის შვილი იყო (სამეგრელოს კუთხიდან). მოენონა ქალი. მოენონა ქალსაც. დაქორწინდნენ. ერთი წლის შემდეგ შვილი ეყოლა: ქალი. სახელად ელენი დაარქვეს. ქალიშვილი იზრდებოდა. იგი ქართველად უფრო გრძობდა თავს, ვიდრე კაზაკის ასულად — (თითქმის ყოველთვის ასე ხდება ხოლმე). ნამოზინარდა ელენა: აივსო, დაქალდა, სწავლობდა გროზნოში. უბელო ცხენს ისე ვერავინ გააჭენებდა, როგორც იგი. ვერც „მთიულს“ ჩამოუარდა ვინმე ისეთი ცეცხლით და იერით, როგორც იგი. იყო მხოლოდ ერთი - და ისიც, არა ქალი, არამედ ვაჟი - რომელსაც შეეძლო მასთან გაჯობობდა: როგორც უბელო ცხენის გაჭენებაში, ისე „მთიულის“ ცეცვაში, ეს იყო ვინმე ახალგაზრდა ყაზი-ბეი.

ყაზი-ბეის ვაჟკაცობა მთელს ჩრდილო-კავკასიაში იყო გავარდნილი. მოსხმულობით იგი შამილის ნაიბს ჰგავდა: ისე მაგრად და სხარტად იყო წურული ტანში. და მართლაც ნაიბს გაგონებდათ: ყოველთვის აღესილი, ყოველთვის მზა, როგორც ვეფხვის ტორი, ყოველთვის „ჩახამახამა-ყენებულნი“, მსხვილ-მხრებიანი, მაგარ-მუსლიანი, მალალ-თეძიანი. სახეზე ჰქონდა შამილის სუნთქვა. ამბობდნენ კიდევ შამილის ნაშიერი, საშინელ ცეცხლთან, რომელიც იგი ცივი. პროფილის ორბის მკაცრი იერი გადაუბრებდა. უყვარდა ცხენი და ცხენთან ხმალი. როცა იგი ცხენს მოახტებოდა და გააქანებდა, აულელებში იღვიძებდა შამილის ნაიბის ლანდი და აულელების ფერდობზე სისხარული გადაიბრებდა მინის, რომელსაც პირველად მოხვდა მენამული მზის ტორი. ხმალის მოქნევაში მას ვერავინ შეეჯობებოდა: ხანდახან კლდიდან გადმოხეთქილ ჩანჩქერს ხმალს შუილით ტიტველ ტანზე გადაჰკრავდა - დახედავდა მერე ხმალს, ერთი წვეთიც არ ჩანდა. ხოლო მისი ცეცხლი მისი ცეცვა იყო მთიულური. როცა იგი რომელიმე მთის რაგოსთან ცეცვას ააგიზგიზებდა, მაშინ რასისი შვილი. ცეცვის შემდეგ გოგო მისი იყო: თუ ხორცილთ არა, გულით, თვალე-ბით.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“  
კარინა ლუჩინა



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტი

**მოგონება**  
მიჰქროდა ეტლი, მონაბერ ნიავს  
ბანს მოსძახოდა მიდამო ვრცელი,  
მიჰქროდა ეტლი, ვით წამნი ჰქრიან –  
დროთა მრიცხველნი, ჟამთა მრიცხველნი.  
მიჰქროდა ეტლი და ფლოქვთა ქარი  
გაშლილ გზის მტვერში დათამაშობდა,  
ვით ბალახებში ჩაღვრილი ცვარი,  
შორს ციმციმებდა ჩემი ბავშვობა.  
ოცნებას ჰგავდა გზა სანეტარო,  
ცა ოცნებაზე იყო ძლიერი,  
ფოთლების შრიალს, ოქროსფერ ტაროს  
სულ შეეცვალა სოფლის იერი.  
მიჰქროდა ეტლი, ვით ცისარტყელა,  
მაცისკროვნებდა ქროლვა ქარული,  
მეგებებოდა ალერსით ყველა,  
ვით სიყმანვილე და სიყვარული.  
ხელი გაშალეს თითქოს ნერგებმაც,  
მწკრივში დგებოდნენ ხეები ჭადრის,  
მე ყველა თბილად მეგებებოდა,  
მაგრამ შენ, დედავ, აღარსად ჩანდი!  
არ ჩანდა შენი ლამაზი ხედვა  
და სადგურისკენ გავბრუნდი ისევ;  
ო, მაპატიე, ძვირფასო დედავ,  
თუ უშენობას ვერ შევეთვისე.  
ვერ გამოცილეს შენმა თვალებმა,  
გულს მისერავდა ქროლვა ძლიერი,  
ვით შეუცნობი იდუმალება,  
მოჩანდა ზეცის დასალიერი...

**ჩაგვა უფრო ვინ გიშვებოდა?**  
საქართველოვ,  
შენი ტრფობა  
განა, გულში დაილია,  
განა, ერთხელ განმიცდია  
მე აკაკი და ილია?!  
განა, ერთხელ დავეწაფე  
შენს წყაროებს სულით, გულით,  
განა, ერთხელ განვიცადე  
შენი ტურფა გაზაფხული?!  
ბევრჯერ,  
ბევრჯერ, გეფიცები  
ამ ბაღნარებს, ამ მაღალ მთებს,  
როგორც დედის ხმატკბილი ნანას,  
შევხაროდი შენს ლაყვარდებს!  
მარად შენზე ვიმღეროდი,  
ლამითა და ცისმარ დილით:  
შენს სიტურფეს შევხაროდი,  
ვით თინათინს ავთანდილი.  
შენზე ფიქრით, ეს რამდენჯერ  
გამივლია გზა სავალი,  
მე მარადუამს მიტაცებდა  
შენი ზეცის დასავალი!  
და დღეს, როცა ვხედავ, დადგა  
დრო დიდების, ჩანგის ჟღერის,  
საქართველოვ, ჩემზე უფრო  
ვის უყვარხარ, ვინ გიშვებოდა?

**დაუდებარი**  
დაუდებარი,  
მოუსვენარი,  
მიყვები ხომალდს ერთგულ დარაჯად,  
გრიანებს, ბორგავს ველური ქარი  
და მხრებზე გახვევს თოვლის ფარაჯას!  
მიხვალ, იგონებ ზვირთების ხმაში  
სხივმონარნარე მშობელ ქვეყანას,  
რომ ქარის ფრთებმა გიმღერონ ზღვაში  
ქართველი დედის ხმატკბილი ნანა!  
მიხვალ, თან მიგაქვს, როგორც ალერსი,  
ჩვენი ტრფობა და მორთოლვარე გული;  
სიტყვა „მშვიდობით“, ხმა უნაზესი,  
ლამის წყვილიადში გადაკარგული!  
ცეცხლის ენებმა ზეცა დაისრეს,  
ცეცხლში ელავ და ცეცხლით მალღებები  
და ზღვაში შეჭრილ მებრძოლ კრეისერს  
უხეთქებთან მძლავრი ტალღები!  
ირგვლივ ქარია, ჯანლი და ღელვა,  
ქარში ფითრდება მებრძოლთა ბედი  
და გამარჯვების ნათელი ელვა  
მაინც წინ გიძღვის, როგორც იმედი.  
შენ კი, მედგარი, მოუსვენარი,  
მიყვები ხომალდს ერთგულ დარაჯად;  
გრიანებს, ბორგავს ველური ქარი  
და მხრებზე გახვევს თოვლის ფარაჯას!

**ვერა შუბლაძე –  
ქველის არდავინცება**  
ხელოვნებამცოდნე და მუსიკოსმა ალექო ფურცხვანიძემ ვერა შუბლაძის ლექსების  
ნიგნი გამოსცა. ვერა შუბლაძე 1914 წელს დაიბადა და 39 წლის ასაკში გარდაიცვალა.  
ნიგნის შესავალში მოტანილია გენიალური პოეტის, გიორგი ლეონიძის სიტყვები:  
„ვერა შუბლაძე გახლავთ შესანიშნავი ქართველი პოეტი, რომლის ყოველი ლექსი,  
ყოველი სტრიქონი გაუღწეველია სამშობლოს, ახლობლების და, საერთოდ, ქართველი  
ადამიანების დიდი სიყვარულით. იგი ღრმა მიგნებით და სიმართლით ქმნის საოცარ სა-  
ხეებს. ყველა ლექსის შექმნისას ბოლომდე იხარჯება. ეს სულიერი სინდრფელე და პრო-  
ფესიონალიზმი ჩანს მის ლირიულ ლექსებში. მე მისი რამდენიმე ლექსი ვიცი ზეპირად.  
განსაკუთრებით მომწონს:  
„დღენი გაქრნენ, აფერადდა წარსული,  
ნაკვალევი გულში ჩარჩა იარად,  
შენ რად შეკრთი, რად ხარ ფერგადასული,  
დრო წავიდა, სიყვარული კი – არა“.  
გადა დრო და ვერა შუბლაძის პოეზიას კიდევ უფრო ღრმად, კიდევ უფრო ახლოს შეი-  
გრძნობს მკითხველი. იგი ხომ სამშობლოსთვის თავდადებული ადამიანია, უყვარს დედა-  
საქართველო და თავისი პიროვნებით რჩება როგორც სანიმუშო პოეტი და საუკეთესო  
ქართველი დედა“.  
„ქართული სიტყვა“ ზემოხსენებული ნიგნიდან ვერა შუბლაძის რამდენიმე ლექსს  
გთავაზობთ.



**გალაკტიონს!**  
შენ გხედავ და უმალ ქარიშხალს ვიგონებ  
ქარიშხალს ანთებულს, უცნაურ ფრთებიანს;  
ვიგონებ განვლილ გზებს, შენს მღელვარ სტრიქონებს,  
ხალხის გულს ხალხის ხმას რომ შეერთებია!..  
ვიგონებ გრიგალში ნისლეგაშლილ მწვერვალებს,  
სად ღრუბლის ნაფლეთი ირევა ქარდაქარ;  
მე ვისმენ შენს სუნთქვას, მე ვხედავ შენს თვალებს,  
და მესმის შენი ხმა: სადა ხარ, სადა ხარ!..  
მე ვხედავ ზღვის ტალღებს – მღელვარეს, ბობოქარს,  
სად ზეცის ლაყვარდებს ჰკვეთს ცეცხლის ენები,  
სად კიდით კიდემდე ხეთა რიგს, ხეთა ჯარს  
გაჰკვეთენ, მიჰქრიან ის „ლურჯა ცხენები“!  
ვიგონებ ქარცეცხლში ანთებულ სიმღერებს,  
სადაც ჰკვეთს უკუნეთს ელვარე ალი მზის;  
ვიგონებ პეტროგრადს, ვიგონებ იმ დღეებს  
და თვალწინ მიდგება მღელვარე პარიზი!  
გაგზნებდა,  
განთებდა,  
მღელვარე გულს რაც სურდა:  
ბრძოლები ფარული, ბრძოლები აშკარა  
და „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,  
ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა!“  
– შეერთდით, შეერთდით! – მომესმის შენი ხმა,  
დამდგარა დრო ხსნის და დამდგარა დრო შვების;  
სტყეს თავისუფლება: ხალხის ზრდა, ხალხის ხსნა,  
მოღელვარს, მოღელვარს ტყეები დროშების!..


**დაბრუნებისას**  
ალარ გვცილდება ნაძვანართა წყება,  
ლამაზი მთა და ლამაზი არე,  
მივდივართ, თითქოს ჩვენ თან მიგყვება  
ეგ ფიჭვნარი და ოცნების მთვარე.  
ქარი აჟღერებს უხილავ სიმებს,  
მოჩანს მანქანა მთებზე გაკრული  
და ჩვენს თვალებში ისევ ციმციმებს  
ეს ცა ზღაპრული და მოსარკული.  
ჩვენ ახლა შენი სურნელი გვახლავს,  
ჩვენ ახლა შენი სუნთქვა გვახარებს,  
თბილისისაკენ მივდივართ და თან  
ისევ გიგონებთ, ლამაზო მხარე!  
მივდივართ, ვტოვებთ მთების ლურჯ  
კიდეს,  
თან განშორებით გული ღონდება,  
მაგრამ ერთმანეთს შევხვდებით კიდევ  
და ეს დღეები მოგვაგონდება!

**შრიალს ვიხსენებ**  
შრიალს ვიხსენებ ვერხვი, შრიალს დინჯად,  
სხივებს იჭერენ ნაზი რტოები,  
მთვარე კი, ფრთხილად მიდამოს სინჯავს  
და თან კაშკაშებს განმარტოებით.  
ფრთა გაუშლია ქვეყნად სიამეს,  
ილხენს ბუნება, ხარობს ბუნება,  
გრილი ნიახი ამ წარმტაც ღამეს  
ციურ ნანინას ეჩურჩულება.  
ვერცხლის სხივები ანათებს ღიახვს,  
შხუის ღიახვი, ღიახვი მალი,  
მონაბერ ნიავს სადღაც შორს მიაქვს  
ხმა მომხიბლავი, ხმა იდუმალი.  
ვერხვის ტოტები კვლავ ფოთლებს შლიან  
და ციმციმებენ სხივთა ბადეში,  
ვინლა დაუშლის მათ ნაზად შრიალს  
ამ მარადიულ სილაყვარდეში?!

**ჰოი, სამყარო!**  
რა უსაზღვროა, დაუსაბამო,  
ცის დასავალი და სივრცე მინის,  
ეგ ლურჯი დილა და ეგ საღამო  
სად დასრულდება, არავინ იცის.  
ქვეყნად ყოველი წარმავალია,  
სიცოცხლეს არავინ განიმეორებს,  
თუ ერთი დაჭკნა, სული დალია,  
ხვალ აყვავდება ისევ მეორე.  
ასე ყოფილა განსჯა ბუნების,  
ასე გადავცემთ შთამომავლობას,  
დეკემბრის ქარიც ასე უმღერის  
გაშლილ ტრამალებს და წარმავლობას.  
ხელში ავიღოთ, მძებო, სასმისი,  
ვთქვათ სადღეგრძელო უკვდავ აზრისა:  
– ჰოი, სამყარო, სად არს სანყისი  
ან დასასრული შენი არსისა?!

**მირანდა**  
*ელენე მირანდა გამსახურდიას*  
გაგონდება? მთები ლურჯი, აზიდული გზიდან ცამდე,  
ანდა დიდი სიხარული, რაც ჩვენ ერთად განვიცადეთ!  
გაგონდება? ქამარივით განოლილი დინჯი მტკვარი,  
ან ტეზერი, ბუბულციხე, ან გაშლილი ტაშისკარი!  
გაგონდება? მზის სხივებით დაფარული ცის კიდური,  
როცა მთაზე ავდიოდით ერთად ხელ-ხელჩაკიდული!  
გაგონდება? სავსე მთვარე, რომ ამოჰყვა მთათა სიოს?  
რა ხმატკბილად ვუმღეროდით თმაჭალარა კავკასიონს!

**დიდება იმით!**  
დიდება იმით, დიდება,  
დიდება იმით მარადის,  
ვინც ერთგულება ქვეყნისა  
ატარა კუბოს კარამდის!  
დიდება, ვისაც მარადუამს  
ნანა ახსოვდა დედისა,  
მოკვდა, არ ჩაჰყვა მიწაში  
ჯავრი ოხერი მტრებისა!  
კვდებოდა, მაინც ფიქრობდა  
მშობელი ქვეყნის ბედზედა,  
სატრფოს და დედის ცრემლები  
არ ეფრქვეოდა მკერდზედა.  
კვდებოდა, არ სცილდებოდა  
მშობელი ქვეყნის ტრფილი,  
ქარი არჯალი წივილით  
მინას აყრიდა ტიალი.  
დიდება, მძებო, დიდება,  
დიდება იმით მარადის,  
ვინც ერთგულება ქვეყნისა  
ატარა კუბოს კარამდის!





საქართველო  
საქმე

13 ნოემბრის ეძო

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ 13 ნოემბრის პარიზის ტერაქტების სერია მსოფლიოს შეცვლის. საფრანგეთის პრემიერმა კი განაცხადა, რომ ტერაქტები ევროპის სხვა ქვეყნებშიცაა მოსალოდნელი. 16 ნოემბერს, ვენაში, სირიის პრობლემებთან დაკავშირებით, შეხვედრა გაიმართა, სადაც სირიის გარდამავალი მთავრობის საკითხები იხილებოდა, თუმცა ბაშარ ასადის ბედი კვლავ გაურკვეველი რჩება. საფრანგეთის მთავრობა ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგიის ახალი ფორმების შესამუშავებლად კონსტიტუციურ ცვლილებებს აპირებს, ამავდროულად, სირიის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციების ინტენსივობასაც გააგრძელებს. რის გამო ისევ ევროპა, რატომ გახდა ისლამისტების სამიზნე მაინცდამაინც საფრანგეთი, რომელსაც უსაფრთხოების „სუსტი რგოლი“ აღმოაჩნდა, საშიშია თუ არა ახლო აღმოსავლეთის საკურორტო ზონები დამსვენებლებისათვის და რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველო, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ „გურჯისტანის ვილაიეთად“ გამოცხადდა? — ამ და სხვა საკითხებზე „ქართული სიტყვა“ კავკასიის საკითხების ექსპერტ მამუკა ბრეშინძის ესაუბრა.

— ბატონო მამუკა, მსოფლიოს ყურადღება პარიზისკენაა მიმართული. მოდით, მოვლენები ჯერ ზოგადად შევაფასოთ...

— ისლამური ხალიფატისგან ტერაქტები მოსალოდნელი იყო, ოღონდ რომელ ქვეყანაში მოხდებოდა, ეს იყო საკითხავი. საფრანგეთი ისლამის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით მოწინავე რიგებში არაა, მაგრამ სუსტი წერტილია, რადგან ყველაზე ფსევდოტოლერანტულ პოლიტიკას ახორციელებს.

სხვათა შორის, საფრანგეთში მუსლიმების ყველაზე დიდი დიასპორებია, შესაბამისად, ისლამისტური ორგანიზაციების გავლენებიც ყველაზე მაღალია. მაგალითად, ქალაქ მარსელის მოსახლეობის 60%-ს ადგილობრივი ფრანგები კი არა, სხვა ერის წარმომადგენლები წარმოადგენენ.

ნიშნდობლივია, რომ 13 ნოემბერს, საფრანგეთში, პარიზში რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიება იმართებოდა, მათ შორის, ორი წამყვანი ევროპული ქვეყნის — საფრანგეთ-გერმანიის საფინანსოთა მინისტრების შეხვედრა, რომელსაც საფრანგეთის პრეზიდენტი ესწრებოდა. 14 ნოემბერს, პარიზში, სირიის პრობლემებთან დაკავშირებით, ევროპული პოლიტიკოსების შეკრება იყო დაგეგმილი. ასევე, კონკრეტული ტარდებოდა, რომელსაც სხვადასხვა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სირიაში, დამასკოში კი, ბაშარ ასადთან შესახვედრად, საფრანგეთის დელეგაცია იმყოფებოდა. სირია ფრანგულენოვანი ქვეყანაა — წლების განმავლობაში, საფრანგეთის კოლონია იყო.

მოკლედ, ბევრი ფაქტორია, რის გამოც საფრანგეთი, დაცულად თვალსაზრისით, ევროპაში სუსტი რგოლია.

— ანუ, საფრანგეთში არის ქალაქები, სადაც აბორიგენებს იმიგრანტები სჭარბობენ. მუსლიმები დიდი რაოდენობით პარიზშიც ცხოვრობენ. ნუთუ, საშიშროებას არავინ გრძობდა? მთავრობა, უსაფრთხოების სამსახურები პრევენციულ ზომებს რატომ არ მიმართავდნენ ან, სულაც, მოსალოდნელ საფრთხეებზე რატომ არ ფიქრობდნენ?

— საფრანგეთის ხელისუფლებისგან საფრთხეების პრევენცია ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა. საფრანგეთის სპეცსამსახური მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერია, მაგრამ იმიგრანტებთან, იმიგრანტულ ტალღებთან მიმართებაში თავად შიდა პოლიტიკაა მოუქნელი. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოება დაცული ვერაა.

— მოუქნელი პოლიტიკა, ემიგრანტული ტალღის შედინება — საფრანგეთი საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვას ვერ ახერხებს. ე.წ. შენგენის ზონის სხვა ქვეყნებში იგივე მდგომარეობაში არიან?

— მეტ-ნაკლებად, მათ შორის საფრანგეთი გამოირჩევა, სხვა ქვეყნებში დაცვის ხარისხი და მსგავსი ტიპის ადამიანების მიმართ მეტი კონტროლი ხორციელდება.



# გვიმუქრება თუ არა ტერაქტები — რა ინფორმაცია აქვს გამოუკაპრებოდ

„იმიგრანტთა ტალღების შედინება კალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში მიმდინარეობს და ამიტომ, მათგან უნდა იქნას დაფარული, მათგან უნდა იქნას დაფარული, მათგან უნდა იქნას დაფარული...“

## რამდენი ისლამიტი ლტოლვილია საქართველოში და რას ნიშნავს „გურჯისტანის ვილაიეთი“

— ისე, თავიდან ჩანდა, რომ უკონტროლო სირიელ ლტოლვილთა ნაკადის ყველაზე დიდი რაოდენობა თითქოს გერმანიაში მიიღო.

— გერმანელები ლტოლვილებთან ეტაპობრივ მუშაობას აწარმოებენ და იქ მათი მიღება, განსახლება და ადაპტაცია უფრო კონტროლის ქვეშაა. საფრანგეთში, ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან, რბილი პოლიტიკა აირჩია — საფრანგეთის ყოფილ კოლონიებში მაცხოვრებელი ავტომატურად ფრანგი ხდებოდა. ასეთი დამოკიდებულება იყო სირიის მიმართაც.

გარდა ამისა, 60-იან წლებში, საფრანგეთში დოქტრინა გამოაცხადა, რომლითაც ბოიკოს უხდოდა იმ ერებს, ვინც საფრანგეთის კოლონიურ რეჟიმში ცხოვრობდნენ და მათი საფრანგეთში ჩასვლა, დასაქმება, ადაპტაცია სახელმწიფოს კისერზე იყო. მთავრობა ბევრ რამეზე თვალს ხუჭავდა. პარიზში, აფრიკიდან ჩამოსული ლტოლვილების უზარმაზარი ანკლავია, რომლებიც იდეოლოგიურად თავს ვალდებულად არც თვლიან, ფრანგული ენა ისწავლონ. ისინი ყველა სოციალური სიკეთით სარგებლობენ.

ფორმალურად ამ სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, თუმცა სახელმწიფოს მიმართ აგრესიულად არიან განწყობილნი.

— ინტერნეტში გავრცელებული მასალით, გერმანიის ერთ პატარა სოფელში, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ადგილობრივი ოჯახის ბინის დაცლა მოსთხოვეს, რათა იქ ლტოლვილები დაესახლებინათ. გაოგნებული ოჯახის უფროსი რეპორტიორს ეუბნებოდა, რომ გადასახადებს აკურატულად იხდის და მიზეზს ვერ იცებს, თუ რატომ უნდა დაცალოს სახლი, სადაც შვილები დაზარდა და ახლა შვილიშვილებს ზრდის.

— იმიგრანტთა ტალღების შედინებამ კალიან ბევრ ევროპულ ქვეყნებში მიმდინარეობს და ამიტომ, მათგან უნდა იქნას დაფარული, მათგან უნდა იქნას დაფარული, მათგან უნდა იქნას დაფარული...“

სპირებაშიც გადაიზრდება. გერმანელი მოქალაქის სახლში ლტოლვილების ჩასახლების მცდელობა მუნიციპალიტეტის მიერ დაშვებული ერთეული შემთხვევა და შეცდომა იყო, მაგრამ ამ ამბავს რეზონანსი ხომ მოჰყვა?

პოლიტიკა, რომელსაც ევროპა ყოფილ კოლონიებში, წლების განმავლობაში, ახორციელებდა და პოლიტიკა, რომელსაც ახლა ატარებს, განსხვავებულია, ორივე შემთხვევაში, ამ პოლიტიკამ ევროპულ სამყაროს დიდი დარტყმა მიაყენა. ბევრი ქვეყნის შემთხვევაში, მათ შორის, საფრანგეთშიც სიმკაცრე, სახელმწიფო კონტროლი ლიკვიდირებულია. შეიძლება, გამოვყოთ შეიქცარა, რომელიც თავის იდენტურობას მაქსიმალურად უფრთხილდება და ცდილობს, წესრიგი შეინარჩუნოს — მუდმივად ფხიზლობს, რათა უკონტროლო ნაკადები ქვეყანაში არ შეუშვას და ამით სახელმწიფო ინტერესები საფრთხის ქვეშ არ დააყენოს. ასევე ცდილობს დიდი ბრიტანეთიც.

— ევროპა თვითმკვლელობამდე მიდის?

— ასე ვერ ვიტყვი... აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ემიგრანტების პირველმა ტალღამ გადაუარა, მაგრამ ისინი უფრო მკაცრად და ორგანიზებულად დახვდნენ. საერთო ჯამში კი, ევროპას ჰგონია, რომ პროცესების მართვა შეუძლია, მაგრამ ასე არაა. დასავლეთ ევროპის ლიდერები ისლამისტების თემასთან დაკავშირებით საქართველოს, აზერბაიჯანის, დაუსუსტებით ვერ გეტყვი, მაგრამ სავარაუდოდ, რუსეთის სპეციალისტების მიხედვით აპირებენ.

— სირიიდან ლტოლვილთა ნაკადი ევროპისკენ დაიძრა, რატომ ისლამურ ქვეყნებს არ მიმართეს, თავიანთ მოძებნეს, მაგალითად, არაბეთის ქვეყნებს, თურქეთს?

— ლტოლვილთა ნაწილი ამა თუ იმ ქვეყანაში ორგანიზებულად შედის, მათ გარკვეული ძალები მართავენ. მეორე ნაწილი არაორგანიზებული, მძიმე მდგომარეობაშია, თავი სად შეყოს, არ იცის. ასეთი ნაკადები შემოდინს საქართველოსა და რუსეთშიც. ლტოლვილები ორგანიზებულად იქ მიდიან, სადაც ცხოვრების მაღალი დონეა. მაგალითად, გერმანიაში. ლტოლვილ მუსლიმ მამაკაცთა 50% ევროპიკურად შექცეულ-





„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;  
დღეება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კარინე ლუცინაძე

საქართველო  
საქართველო

13 ნოემბრის ეძო

მე-8 გვერდიდან

ლია, ისინი ორგანიზებულად ჩადიან ქვეყანაში, აცხადებენ თავიანთ მოთხოვნებს და გარანტიის მიღების შემდეგ, ოჯახის წევრები გადაჰყავთ. საუდის არაბეთში მილიონ ლტოლვილზე ბანაკი გაშლილი, მაგრამ არ მიდიან. ასევეა თურქეთშიც, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შექმნება, რომ თურქეთის ხელისუფლება მათ ევროპისკენ ხელს უწყობდა კრავს. ევროპას თავის მიერვე შექმნილ-გატარებულ პოლიტიკისთვის სჯიან და ამას ევროპელი პოლიტიკოსები ახლა ხვდებიან, მაგრამ ვერაფერს უხერხებენ პრინციპებს, რომლებსაც თავად ქმნიდნენ.

– თუ იცით, სტატისტიკურად, საქართველოში რამდენი ისლამისტი ლტოლვილია შემოსული?

– მარტყოფის ბანაკში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ლტოლვილები არიან. გარდა ამისა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ აღწერილია 700-800 ადამიანამდე. აქედან ცხოვრების უფლება მხოლოდ 130-ს აქვს, ზოგისთვის საქართველო ტრანზიტული ქვეყანაა, საიდანაც სხვა ქვეყნებში გადადიან.

– ინტერნეტში ისლამისტი მამაკაცების ფოტოებიც გავრცელდა: ერთზე საომარ ტანსაცმელში გამოწყობილი, იარაღით აღჭურვილი მამაცი მეომარია აღბეჭდილი, მეორეზე, იგივე პირი ევროპის საზღვარზე ჩამოსხეული მაისურით, უმწეო სახით დგას და ქვეყანაში შეშვებას, სოციალურ დახმარებას ითხოვს.

– ზოგ შემთხვევაში, მათი ევროპის ტერიტორიაზე გადაადგილება მიზანმიმართულია, ზოგჯერ, მართლაც, სალაპარაკო აქვთ. მაგალითად, სირიის თავისუფალი არმიის ყოფილ მებრძოლს აღარ სურს იბრძოლოს, ამიტომ არაა აუცილებელი, რომელიმე დაჯგუფებაში აგრესიულად დასამარ ბიოგრაფიას. ასეთი ფოტოები მრავლადაა „კონტაქტში“, „სტიკერში“, „ოდნოკლასნიკებში“, „ფეისბუქში“. ევროპის გულში – გერმანიაში ორგანიზებულად შეყვანილი ლტოლვილების რიცხვმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, სადაც თურქეთიდან გადასული ხუთი მილიონი ემიგრანტი დახვდათ.

– რამდენად აისახება ყველაფერი ეს საქართველოზე? საფრთხისგან რამდენად დაცულები ვართ? შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, რომ საქართველოს სასაზღვრო ზოლი, აეროპორტები, ტრასები კონტროლდება.

– ჩემი მოსაზრებით, ტერორიზმთან საბრძოლველად მზად არ ვართ! კარგა ხანია, სერიოზული არაფერი მომხდარა. სპეცდანიშნულების რაზმები გვყავს, მაგრამ პრაქტიკა მაინც მნიშვნელოვანია, რაც ჩვენს პოლიციას არ აქვს, თუმცა ტერორიზმთან ბრძოლის უნარ-ჩვევები თავდაცვის სამინისტროდან ცხელ წერტილებში მივლენილ მებრძოლებს აქვთ, რომლებმაც საბრძოლო პრაქტიკა ავლანეთსა და ერაყში მიიღეს. ამ ხალხის გამოცდილება გამოსაყენებელია. ვიმეორებ: ისეთი მაღალი უსაფრთხოების მქონე ქვეყნებში, როგორცაა საფრანგეთი, აშშ, ტერორისტული აქტები მაინც ხდება. ამიტომ ამ უბედურებისგან დაცული არავინაა, მით უმეტეს, რომ საქართველო, კავკასიის ვილაიეთის შემადგენლობაში, „გურჯისტანის ვილაიეთად“ გამოცხადდა. გამორიცხული არაა, ვინც მისი დაქვემდებარება მოინდომოს, თუმცა ამ ეტაპზე ინტერესი არ იკვეთება, „ისლამური ხალიფატისთვის“ სხვა ქვეყნები უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია. წარმოიდგინეთ, ასეთი ტერაქტი სადაცა, პორტუგალიაში რომ მომხდარიყო. მსგავსი ტიპის ტერაქტები ხშირად ხდება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში – მაღალი ზიაში, ბირმაში, ინდონეზიაში, პაკისტანში. პარიზში მომხდარს სულ სხვა დამთრგუნელი რეზონანსი აქვს, მსოფლიო ბევრად უფრო ცუდ მდგომარეობაშია.

– ვილაიეთების რუკებს ვინ ადგენს?

– „ისლამური ხალიფატის“ წევრები.  
– ბატონო მამუკა, ისლამისტების ორგანიზაციები კარგა ხანია, საფრთხედ აღიქმება. ამასთან, პანკისის ხეობის, აჭარის მთიანი რეგიონებისა თუ ქვემო ქართლის მაჰმადიანი მოსახლეობის ნაწილი არცთუ იშვიათად ჯიხადს უერთდება და ისლამისტი მებრძოლი ხდება. ამ საფრთხეზე ხელისუფლებას გეგმა აქვს?



„ლტოლვილთა ნაწილი ამა თუ იმ ქვეყანაში ორგანიზებულად შედის, მათ ბარკეპული ძალები მართავენ. მეორე ნაწილი არაორგანიზებული, მიიმათ დგომარეობაშია, თავი სად შეჩუოს, არ იცის. ასეთი ნაგადავი შიმშილიან სახარტველოსა და რუსეთშიც. ლტოლვილები ორგანიზებულად იმ მიდიან, სადაც ცხოვრების მაღალი დონეა. მაგალითად, გერმანიაში. ლტოლვილ მუსლიმ მამაკაცთა 50% ეკონომიკურად შექცეულია, ისინი ორგანიზებულად ჩადიან ქვეყანაში, აცხადებენ თავიანთ მოთხოვნებს და გარანტიის მიღების შემდეგ, ოჯახის წევრები გადაჰყავთ. საუდის არაბეთში მიღიონ ლტოლვილთა ბანაკი გაშლილი, მაგრამ არ მიდიან. ასევეა თურქეთშიც, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შექმნება, რომ თურქეთის ხელისუფლება მათ ევროპისკენ ხელს უწყობდა კრავს. ევროპას თავის მიერვე შექმნილ-გატარებულ პოლიტიკისთვის სჯიან და ამას ევროპელი პოლიტიკოსები ახლა ხვდებიან, მაგრამ ვერაფერს უხერხებენ პრინციპებს, რომლებსაც თავად ქმნიდნენ.“

– თუ ეს პროცესი მიშვებული იქნა, ქართველი მუსულმანების ტრანსფორმაცია მოხდება და, პირველ რიგში, იდეოლოგიური თვალსაზრისითაა საშიში, თუკი ასეთი ტიპის ორგანიზაციების მხარეს დადგებიან.


ჩვენ სულ სხვანაირი ისტორიული გამოცდილება გვაქვს. მე-19 საუკუნეში, ქართველი მუსულმანები ისეთივე პატრიოტები იყვნენ, როგორც – ქრისტიანები, მაგრამ ახლა საქმე, სამწუხაროდ, სულ სხვა მოვლენებთან გვაქვს, ისლამიზმი სულ სხვა ტიპის მოვლენაა, იქ ისეთი იდეოლოგიური ტიპის მანქანა მუშაობს, რომელიც ადამიანს თავისი ეთნიკური თუ პოლიტიკური ბიოგრაფიისგან ათავისუფლებს. ყველა ერთ მიზანს ემსახურება: ისლამის გამარჯვებას.

ჯიხადიზმი თანამედროვე მოვლენაა, რომელიც ტერორიზმთანაა ტრანსფორმირებული და ძალიან ეფექტურია. ამიტომ აჭარიდან თუ სხვა კუთხიდან ჯიხადს შეერთებული ქართველი მუსულმანი რეალურად შეიძლება, ქართულად მეტყველებს, მაგრამ მენტალობით ქართველი არაა. საზოგადოებას ახსოვს სამი პანკისელი ახალგაზრდის ისტორია – სამივე ხომ ეროვნებით ქართველი იყო?!

– როგორ ფიქრობთ, ქართველი მაჰმადიანები რამეზე განაწყენებულნი არიან?

– განაწყენებული კი არა, ქვეყანაში მიმდინარე სოციალური მდგომარეობა და უიმედობა, რის გამოც მაჰმადიანი ქართველებიდან ზოგი ფულის საშოვარზე წასულს უფრო ჰგავს. არაერთხელ მითქვამს, რომ სპარსეთის ყურის მუსულმანურ სასწავლებლებში, ბოლო წლების განმავლობაში, ეთნიკური ქართველების რიცხვმა იმატა – მხოლოდ აჭარიდან კი არა, ქვემო ქართლის, კერძოდ, წალკის რაიონიდანაც ბევრია. მართალია, მათი უმეტესობა შესაძლოა, სულაც არაა ისლამური ხალიფატის იდეებისათვის მებრძოლი, მაგრამ ზომიერი მუსულმანები არიან, რომლებსაც ისლამიზმში ფეხი აქვთ გადადგმული. ამ პროცესს შეიძლება, მომავალი იდეოლოგიური ფრონტის რეკრუტირება ვუნდოდოთ.

მაგალითად, შუახვევიდან ზრდასრული ადამიანი „ჯიდას“ ისლამურ სასწავლებლებში მიდის, ვინ დაუშლის? როცა მსგავსი სასწავლებლებიდან უკან დაბრუნდებიან, რა პრინციპით უნდა აუკრძალო რელიგიური საქმიანობა? ამიტომაც, წლებია მოვითხოვ, რომ საქართველოში უნდა გაიხსნას



ისლამური უნივერსიტეტი, სხვადასხვა დონის ლიცენზირებული კვალიფიციური სასწავლებელი, სადაც მუსულმან ახალგაზრდებს რელიგიური განათლების მიღების საშუალება ექნებათ.

– ეს პროცესი უწყვეტია? დიდ ციფრებზე გადის საქართველოდან მუსულმანურ სასწავლებლებში წასული ახალგაზრდების რაოდენობა?

– აჭარასა და ქვემო ქართლიდან წასული ახალგაზრდების რიცხვი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – პანკისიდან, მაგრამ პანკისელები უფრო ჩანან, მათ შორის, ოთხიხუთი სავლეთ მეთაურია, მათი სახელები ყველამ იცის. ქვეყნის გარეთ გასული ქართველი მუსულმანებიდან ვინ მეომარია და ვინ – რელიგიური ფანატიკოსი, ამის მონაცემებიც გვაქვს.

– მოკლევადიან პერსპექტივაში, რა პროცესებს უნდა ველოდეთ? როგორ დავიცვათ თავი ტერორიზმისგან?

– მოკლევადიან პერსპექტივაში ლოგიკური განვითარება ასეთია: ქვეყნის უსაფრთხოება ახალ რელსებზე უნდა გადავიდეს, უნდა ვისწავლოთ მეზობლებთან, სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობა, ინფორმაციების გაცვლის საფუძველზე. მაქსიმალურად შევზღუდოთ ისლამისტური ორგანიზაციები, უფრო დინჯი, ჭკუადაძვარი შიდა პოლიტიკა ვანარმოოთ. ისეთი შეცდომები არ უნდა დავუშვათ, რასაც უშვებს ფრანგული ელიტა. საფრანგეთში მაღალი დონის სპეცსამსახურები არიან, რომლებმაც ზომიერ ისლამსა და ფანატიკუმს შორის განსხვავება იცინ, ასევე, აქვთ უნარი, ნებისმიერი დონის ტერაქტი აღკვეთონ, მაგრამ პოლიტიკური ელიტა ისეთ ხაზს ატარებს, რომ მთავრობას პროდუქტიულ მუშაობაში ხელს უშლის.

დემოკრატია, ევროპული გაგებით, მახინჯ ფორმებამდე მივიდა. დღევანდელი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, საზოგადოება საოცრად კონსოლიდირებულია, მთელმა მსოფლიომ ნახა, სტადიონზე, აფეთქების მერე, ფრანგული „მარსელიის“ მღეროდნენ! ამ ხალხს შეუძლია, თავისი ქვეყნის რეალობა შეცვალოს, მაგრამ ფსევდოდემოკრატიული ფასეულობები დღევანდელი ლიდერებისთვის კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა.

რამდენიმე დღის წინ, ქალაქ კალეში ლტოლვილთა ბანაკი გადანაცვდა. ეს პროცესები თავს თანდათან იჩენს, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობისა და ემიგრანტების რაოდენობა არ დაბალანსდება. ამ დაძაბულობამ ქვეყნები შეიძლება, ვანდალურ და საომარ მდგომარეობამდე მიიყვანოს.

– რა როლს თამაშობს ყველაფერ ამაში რუსეთი?

– კონკრეტული ტერაქტების ავტორ-შემსრულებელი ისლამური ხალიფატია, მის უკან შეიძლება, ნებისმიერი ქვეყანა იდგეს. რუსეთი ავტორიტარული ქვეყანაა, მაგრამ მუსულმანების რაოდენობით საკმაოდ მაღალია, თან განწყობებიც შესაბამისია. როცა ადამიანთა სურვილების შეზღუდვა ხდება, იქ თავს აუცილებლად იჩენს სხვადასხვა ტიპის წინააღმდეგობა. საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან მუსულმანების მიმართ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები ისლამიზმში გადაიზრდება. ასეთი შემთხვევები გვქონდა 90-იან წლებში, მაგრამ მოსკოვმა დღემდე ჭკუა ვერ ისწავლა.

– ვინ აიღო პასუხისმგებლობა ეგვიპტეში ჩამოგდებულ თვითმფრინავზე, რომელიც სანკტ-პეტერბურგი-შარ ელ შეიხის რეისს ასრულებდა?

– გამოძიება ჯერ დასკვნამდე არ მისულა, მაგრამ ახლო აღმოსავლეთი ისეთი რეგიონია, სადაც ყოველგვარი დასვენება სასიფათო ხდება. უამრავი ადამიანი გამოიყვანეს საშიშროების ზონიდან საფრანგეთში, ინგლისში, აშშ-ში, რუსეთშიც მიხედა თავის დამსვენებლებს. ყველაფერ ამის მერე, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ქვეყნებში ერთი ხელის მოსმით, შეგნებულად, ხელისუფლებას დაანგრის ეგვიპტის ინფრასტრუქტურა. რუსეთისთვის კი, ეგვიპტე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოკავშირეა ახლო აღმოსავლეთში.

თვითმფრინავის ჩამოგდება და ეგვიპტის ზონის დახურვა ხელოვნურ პროცესებად მიმაჩნია და ეს პროცესები ჯერ კიდევ შესასწავლია.




„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება სხივით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კონსტანტინე კოსტავა

საქართველო. საქართველო. საქართველო.

სამრავლესობის ტრიბუნა

# ნუკრი ქანთარიას ორი სკანდალური აღიარება



**„მეცდომები იყო საკადრო პოლიტიკაშიც, პარლამენტშიც და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც!“**

როცა შეკითხვა ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე დაგუსვი, მომიგო, საგარეო საფრთხე იმდენად დიდია, რომ მასთან შედარებით ყველაფერი წვრილმანდებო. როცა შეკითხვა კიდევ გავუშვო, მიპასუხა, პროცესებმა ხომ აჩვენა, რომ „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული ყველაფერი კერძო დაგვა და მეტი არაფერიო. როცა იმაზე შევეკითხე, თუ რატომ წავიდა რადიკალური ოპოზიციაში და რატომ დაიწყო შიმშილობა პარტიამ, რომელიც ერთ დროს „ქართული ოცნების“ ყველაზე აქტიური მხარდამჭერად ითვლებოდა, ესეც პოლიტიკააო, მითხრა, თუმცა ისიც აღიარა, რომ არა კოალიციის რესურსები, ახლა უკვე მოშიშმული ინაშვილს ნამდვილად არ გაუჭირდებოდა ხიდაშელის, ამჯერად თამარის დამარცხებო... „ქართული სიტყვა“ პარლამენტის ერთ-ერთ აქტიურ დეპუტატს, ნუკრი ქანთარიას ესაუბრა.

ეპოქალური ჰეპატივის პროგრამა დაიწყო, ეს ხომ ხელშესახებია?

— არ მიპასუხეთ წელანდელ შეკითხვაზე, „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით ვინ გამოვიდა გამარჯვებული?

— ამ შემთხვევაში, ყველამ კიდევ უფრო დაზუსტებით დაინახა, რომ ეს კერძო დაგვაა, რომელიც გრძელდება. აქ დიდი დამსახურებაა ადვოკატების, მათ შორის გამოვეყოფ სალიას, რომელმაც გაცილებით მეტი ელასტიურობა და მარიფათი გამოიჩინა, როდესაც აღსრულების სხვა მუხლი იპოვა, რომელიც შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა. ასე რომ, ბრძოლა მიდის სამართლებრივ ჩარჩოში.

— და ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად?

— ეს დრო მართლაც ხელისუფლებაზე დამოკიდებული ყოფილიყო, მოვლენები ცოტა სხვაგვარად წავიდოდა. რომ დაგვაბრალეს, ღამე ხდებოდა პროცესებიო, მართლაც ასე იქნებოდა, ასეთი მზაკვრული იდეები რომ გვქონდეს.

— ქართული პოლიტიკა რომ ორპოლუსიანი, ამაზე უკვე აღარ დავიკვირვები. ხელისუფლებას წარმოადგენთ და, პრაქტიკულად, ერთადერთ ოპოზიციურ ძალას აღიარებთ. ჯანსაღია ეს პროცესი?

— არ მგონია, რომ ასე იქნას. არიან კიდევ ახალი პარტიები და მგონი, კიდევ ახალი მოთამაშე შემოდის პოლიტიკაში — პაატა ბურჭულაძე მყავს მხედველობაში. ეს ჯანსაღი პროცესია.

— თვლით, რომ „ნაცმოძრაობა“ უნდა წავიდეს პოლიტიკური სივრციდან?

— დიან და ამას პირველად არ ვამბობ, მაგრამ ეს უნდა იყოს ლოგიკური და საზოგადოებრივ არჩევნების დროს გადაწყვიტოს.

რომ, „ნაციონალებს“ ვერაფრით დავემსგავსებო. საქმე ისაა, რომ თავისუფალი სივრცე, რომელიც ნამდვილად არის, იმის საშუალებას გვაძლევს, ყველაფერზე ვილაპარაკოთ. ამიტომ იქმნება განცდა, თითქოს გასაკეთებელი ძალიან ბევრია და შესაბამისად, პრეტენზიებიცაა. ადრე ხალხი ხმა რომ არ იღებდა, ფაქტია, თუ რამეს იტყოდა, შინ რა დახვდებოდა და ოჯახის წევრები რა დღეში იქნებოდნენ, ხომ წარმოგიდგენიათ? ეს შიში ხომ მოხსნილია. საზოგადოება საკმაოდ გაზრდილია, ილუზიების ტყვეობაში აღარ მოქმედებს და კარგად ხედავს, საითკენაა მიმართული „ქართული ოცნების“ ხელისუფლება.

— თუ ძველი ხელისუფლების შეცდომების გამოვლენას გამოიცხადებ, მაშ, რა ხდება, როცა თქვენი ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი რადიკალურ ოპოზიციაში გადავიდა და რამდენიმე დღეა, შიმშილობის აქციას მართავს?

— მათაც მეტი აქტიურობა უნდათ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ესეც „პატრიოტების“ პოლიტიკური ნაწილია, რომლებიც ჩვენთან ერთად იყვნენ და ჩვენი ელექტორატი იყო. მერე გაგვეუბნა, როცა არ მოხდა რადიკალური ჩარევა სამართლიანობის აღდგენის პროცესში, თუმცა ამასაც ჰქონდა ობიექტური მიზეზები და ამაში ცოტა, მართლაც, მოვიკოჭლე, მაგრამ რა პროკურატურაც დაგვხვდა, ესეც ვიცი. ამ პროცესების მონაწილეა ერთი ნაწილი ციხეშია, ნაწილი გაქცეულია და დიდ ნაწილს ჩვენი მოძვე ქვეყანა, უკრაინა ინახავს.

— რაც შეეხება მოშიშმულეებს, მათ უნდათ, რომ მეტი აქტიურობა გამოიჩინონ... მათი პრეტენზია საგარეჯოს არჩევნებს ეხება...

— ეს არჩევნები სამართლიანი იყო?

— ასეთ შედეგს თავისი მიზეზი ჰქონდა. „რესპუბლიკური პარტია“ არაა ხალხის უფრო პარტია, მას ხალხთან არასოდეს ჰქონია თბილი დამოკიდებულება. ის შედეგადად პროფესიონალებისაგან, რომლებმაც კარგად იციან მუშაობა. ჩვენი კანდიდატი ხიდაშელი, ამ შემთხვევაში, აბსოლუტურად გამოუცდელი იყო ხალხთან ურთიერთობაში, მას არ შეეძლო ის, რასაც აკეთებდა ინაშვილი. ამიტომ ურთიერთზე რომ გასულყვიყვიყვი, აშკარა უპირატესობა იქნებოდა ინაშვილის მხარეს, მაგრამ ამ შემთხვევაში, გადაწონა კოალიციის რესურსმა და ამან გადამწყვიტა საქმე. კანონი არ დარღვეულა და თუ დაირღვა, არის სასამართლო და ის გაარკვევს.

— ის თუ მოგეჩვენათ ნორმალურად, არჩევნებს თავდაცვის მინისტრი რომ აკვირდებოდა?

— შთაბეჭდილი არაა, თავდაცვის მინისტრი ანგარიშით რომ არის დაკავებული, თუმცა აქაც არ დარღვეულა კანონი.

— კოალიციის სია თავის დროზე ფორმალურად შეადგინეს და ბევრი ისეთი სახელი „გაიპარა“, რომლებმაც მაინცდამაინც დიდი სიკეთე ვერ მოგიტანათ. ახლა ამბობენ, რომ თუ შემაღვნილოდა არ გადახალისდა, უბრალოდ, შეუძლებელი გახდებოდა კარგი შედეგის მიღება 2016 წელს. საარჩევნოდ მუშაობა უკვე დაიწყო?

— განახლება, რა თქმა უნდა, ყველაფერს სჭირდება, სხვაწარად განვითარება შეუძლებელია. შეცვლილი იქნება კოალიცია არჩევნებისათვის, მაგრამ როგორი ფორმით, არ ვიცი. ჯერჯერობით ისეთი პირი უჩანს, რომ კოალიციურ რეჟიმში გავალთ არჩევნებზე, თუმცა იქამდე დიდი დროა და შეიძლება, რამე შეიცვალოს, არაფერია გამოცხადებული.

— გამონათქვამებით, რომლებიც თქვენი კოლეგებისგან ისმის, ამომრჩევლებს კიდევ უფრო აღიზიანებთ. კოალიცია ჭრულია და პირსაც ვერავის ამოუკერავთ, მაგრამ არ გიფიქრიათ, რომ ეს თქვენვე გაზარალებთ?

— ყველას აქვს თავისი აზრი, ყველას ჰყავს თავისი ამომრჩეველი და მან უნდა შეაფასოს. ჩვენ არ ვართ შეზღუდული, რომ ვინც რა უნდა, თქვას ის და რამდენიმე ინსტანციას შეუთანხმოს. ამ მხრივ ყველა თავ-

**„ღღეს პარლამენტში არის მისამი ძალა — „თავისუფალი დემოკრატია“, რომელმაც ვთვლი, რომ იჩაბრა, როცა წავიდა. არ მგონია, რომ ღღეს ისინი სახარბიელო სიტუაციაში იყვნენ. პრინციპში, ისინი ჩვენს დაგვაკლდნენ, რადგან მთელი საგარეო ფრთა მათ ჰქონდათ ჩაბარებული და ღღეს, ატყობთ, თუ როგორ მოისუსტება ის მიმართულა. დარწმუნებაზე ლაპარაკი აღარაა, განცხადებების დონეზეც ვეღარ ახერხებთ დროულ რეაგირებას. აბვიანებს ოპიტიკური ინფორმაციის მიწოდებას.“**

სისხლისღვრის ინსცენირებას ცდილობდა. უნდა თქვან, ემიჯნებიან ამ პროცესებს თუ არა. თუ ისინი პოზიციას ამასთან დაკავშირებით არ გამოხატავენ, ესე იგი, გარკვეულწილად თანამონაწილენი არიან. ამიტომ, მათი მხრიდან პენსიების ზრდაზე, ეკონომიკასა და კეთილდღეობაზე ლაპარაკი ზედმეტია მანამ, სანამ არ მოახდენენ რეაგირებას ამ თემასთან დაკავშირებით.

— „ნაციონალები“ შეგედავებიან, როცა ამბობთ, თუ პენსიონერებისათვის რამის გაკეთება უნდოდათ, გაეკეთებინათო. დარწმუნებული ვარ, იტყვიან, ჩვენ პენსია 14-დან 150 ლარამდე გავზარდეთო. ამას რას უპასუხებთ, ბატონო ნუკრი?

— პენსია 150 ლარი ჩვენ გავხადეთ!

— კი, მაგრამ მათი დაგეგმილი ბიუჯეტი...

— მათ ბევრის გაკეთება შეეძლოთ, მაგრამ ეს არცაა სალაპარაკო. ის, რაც სოციალური დახმარების კუთხით მოხდა და ადამიანი უმთავრესი გახდა, ყველა გრძნობს. საავადმყოფოების კარი რომ გაიხსნა და

პრინციპში, ის უკვე წასულია და ეძებს დაბრუნების გზებს. „ნაციონალებმა“ იციან, რომ ვერასოდეს მოვლენ ხელისუფლებაში, ამიტომ ცდილობენ, გარკვეული სცენარებით მოახდინონ დაბრუნება. ეს გეგმა ჰქონდა სააკაშვილს, რომელიც აშკარად გამოკვეთა „რუსთავი 2“-მა, რომელმაც პერიპეტები გაააჟღავნა. უნდა ეთქვას, რომ ეს იყო არალეგიტიმური არჩევნები და მერე, გაემეორებინათ ის, რაც გააკეთეს თავის დროზე. ასეთი რამ, რა თქმა უნდა, არ მოხდება.

— ამბობენ, რომ თქვენი ხელისუფლება ხშირად იმეორებს იმ შეცდომებს, რომელიც „ნაციონალებმა“ დაუშვა...?

— შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა. შეცდომები იყო საკადრო პოლიტიკაშიც, პარლამენტშიც და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც. შეცდომები არის, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს, მიგბამოთ და თუნდაც ჩვენდაუნებურად გავიმეოროთ ის, რასაც „ნაციონალებმა“ აკეთებდა. მისთვის ადამიანი არ იყო პრიორიტეტი, მთავარი იყო ფასადი, რომელსაც კარგად გაყიდდა. ასე

**„რესპუბლიკური პარტია“ არაა ხალხისუფალი პარტია, მას ხალხთან არასოდეს ჰქონია თბილი დამოკიდებულება. ის შედეგადად პროფესიონალებისაგან, რომლებმაც კარგად იციან მუშაობა. ჩვენ კანდიდატი ხიდაშელი, ამ შემთხვევაში, აბსოლუტურად გამოუცდელი იყო ხალხთან ურთიერთობაში, მას არ შეეძლო ის, რასაც აკეთებდა ინაშვილი. ამიტომ ურთიერთზე რომ გასულყვიყვიყვი, აშკარა უპირატესობა იქნებოდა ინაშვილის მხარეს, მაგრამ ამ შემთხვევაში, გადაწონა კოალიციის რესურსმა და ამან გადამწყვიტა საქმე. კანონი არ დარღვეულა და თუ დაირღვა, არის სასამართლო და ის გაარკვევს.“**



საქართველოს იუსტიციის სისტემა

„შენ – უკვედგების ჩამონადენო, მშენებელი ხარ სხვა მშენებლისთვის“  
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო ლექსი

სამართლებრივი სისტემის ტრიბუნა

**„დღეს პარლამენტში არის მისამართი კლავი – „თავისუფალი დემოკრატიზმი“, რომელმაც ვთქვით, რომ იჩქარა, როცა წავიდა. არ გგონია, რომ დღეს ისინი სახარბიელო სიტუაციაში იყვნენ. პრინციპში, ისინი ჩვენც დაგვაკლდნენ, რადგან მთელი საბარეო ფრთხილად მათ ჰქონდათ ჩაბარებული და დღეს, ახლამდე, თუ როგორ მოსუსტდა ეს მიმართულება. დარწმუნებაზე ლაპარაკი ადარაბა, განცხადებების დონეზეც ვეღარ ახერხებს დროულ რეაგირებას. აბვიანებს ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას.“**

მე-10 გვერდიდან

ისუფალია და თავის თავზე თვითონ აგებს პასუხს. ბევრსაც ამბობენ, თუმცა დეპუტატი რომ ხარ, უნდა ფიქრობდე, რომ რადიკალური უნდა იყო, მაგრამ რაღაც საზღვრებში. არსებობს ზღვარი, რომლის იქით არ უნდა გადახვიდე.

– ასეთი ადამიანები საპარლამენტო სიაში კიდევ მოხვდებიან?

– ამაზე წინასწარ ლაპარაკი ზედმეტია. ვცდილობთ, რომ იმ რეალობაში, რაშიც ახლა ვიმყოფებით, ბუნების ხილზე გავიაროთ. გვერდით ჩრდილოელი მუხობელი გვყავს, აქვე ცეცხლის რკალია და ჩვენ მაინც მოვახერხებთ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში, მაქსიმალურად სტაბილური იყოს ქვეყანა. ბევრი კონფლიქტი ავიცილეთ თავიდან ასეთი პოლიტიკით და მგონი, ამას ხალხი ხედავს. სხვა შემთხვევაში, ყველა შეამჩნევდა, თუ როგორ აბრღვევადგებოდა ცეცხლის ალი ამ პატარა ქვეყანაში და ამის სურვილი ბევრს აქვს, როგორც შიგნით, ასევე გარეთ და ეს კარგად ვიცით.

– კიდევ გაქვთ კოალიციაში იმედი, რომ ხელისუფლებაში უმრავლესობით მოხვალთ? ანალიტიკოსები ძრულ პარლამენტს წინასწარმეტყველებენ...

– ღმერთმა დაიფაროს, რომ ჭრელი პარლამენტი მივიღოთ იმიტომ, რომ საკითხები აღარ მოგვარდება და იქნება ერთი დიდი დუქანი, სადაც ალბ-მიცემობა წავა და ეს საქმეს არ წაადგება. ამას ჩვენი ქვეყანა ვერ გაუძლებს, ამიტომ მგონია, რომ უნდა იყოს მყარი უმრავლესობა, თავისი მყარი ოპოზიციური პარტიებით.

– და ვინ იქნებიან სხვა პარტიები, რომლებიც პარლამენტში შევლენ?

– დღეს პარლამენტში არის მესამე ძალა – „თავისუფალი დემოკრატები“, რომელმაც ვთქვით, რომ იჩქარა, როცა წავიდა. არ გგონია, რომ დღეს ისინი სახარბიელო სიტუაციაში იყვნენ. პრინციპში, ისინი ჩვენც დაგვაკლდნენ, რადგან მთელი საგარეო ფრთხილად მათ ჰქონდათ ჩაბარებული და დღეს, ახლამდე, თუ როგორ მოსუსტდა ეს მიმართულება. დარწმუნებაზე ლაპარაკი ადარაბა, განცხადებების დონეზეც ვეღარ ახერხებს დროულ რეაგირებას. აბვიანებს ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას.

– კომუნიკაცია რატომ გიჭირთ?

– საზოგადოებასთან კომუნიკაცია არ გვიჭირს, აქ უფრო პარტნიორებზე მაქვს საუბარი. საჭიროა მეტის გაკეთება ჩვენს ევროპულ პარტნიორებთან. ლობისტებიც საჭიროა, ბევრი ინფორმაცია დროზეა მისაწოდებული. „ნაციონალური“ პარტია, იგივე სახალხო პარტიის თუ სხვა ლობისტების მეშვეობით, ამას გაცილებით უფრო ადრე ახერხებს.

– ამომრჩეველთანაც გაცილებით ადრე მიდის მათი მესიჯები, ვიდრე – თქვენი...

– მიდის იმიტომ, რომ ყველა ტელევიზიაზე უარი ვთქვით და ერთიც აღარ გვაქვს. პრესა ყოველთვის ხელისუფლების ჯიბეში იყო და ამაზეც უარი ვთქვით. ყველაფერი ეს იმას იწვევს, რომ ხშირად გვიჭირს ჩვენი მესიჯების საზოგადოებაზე მიტანა. გარდა ამისა, იცით, რომ მედია გადასულია ნე-გატივი და ეს იმიტომ, რომ ამას კარგად ყიდას. ესეც ბუნებრივია, სინყარეში არავინ გაიხედავს გარეთ, მაგრამ როცა ჩხუბი და გინებაა, ყველა გარეთ გარბის.

– სწორედ პრესის დამსახურებაა, რომ საზოგადოება კარგად ხედავს, რომელი პოლიტიკოსი რისი გამკეთებელია და რითი სუნთქავს?

– ყველა სახე გაცვეთილია, გინდა – არასაპარლამენტო, გინდა – საპარლამენტო ოპოზიციაში. ძირითადად, ყველამ იცის, ვინ რისი შემძლეა. ამიტომაც, რომ ახალი სუნთქვაა საჭირო. კი შეიქმნა ახალი ორგა-

ნიზაციები, მაგალითად, „გირჩი“, შეიძლება, მომავალში უფრო გასტრონომიისკენ წავიდეთ, ან ხილისკენ მაგალითად, როგორც არის „იაბლოკო“, მაგრამ არც ესენი არიან ახალი სახეები.

– საარჩევნო კანონზე რაღაც იტყვიან?

სტოკჰოლმი

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა, პარიზში მომხდარ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოში გახსნილ სამიმრის ნიგში ჩანაწერი გააკეთა. როგორც ქვეყნის პირველმა პირმა ჟურნალისტებს განუცხადა, მძიმე წუთებში ფრანგი ხალხის და საფრანგეთის სახელმწიფოს გვერდითაა. ამასთან, გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, ე.წ. ისლამური სახელმწიფო არის ერთი დიდი ტყუილი, ვინაიდან მას არც სა-

რატომ „განწყობთ“, როგორც თქვენ ამბობთ, გაცვეთილი კანონით არჩევნებზე წასვლა?

– წინასწარობა, რომელიც ამომრჩეველთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, აღდგება და ამაში ჩვენც ვეთანხმებით. მხედველობაში მაქვს მაჟორიტარების საკითხის ის ნაწილი, როცა ამომრჩეველის რაოდენობა არათანაბარი იყო. ბევრი რამ, მართლაც, გაკეთდა საარჩევნო თვალსაზრისით – უკვე ვირჩევთ მერებსა და გამგებლებს და ამისთვის ძალიან დიდი ხანი ვიბრძოდით, მაგრამ ის, რომ 2016 წელს გავაუქმეთ მაჟორიტარული არჩევნები, ამის რეალური საშუალება არ გვაქვს.

– რატომ?

– ამაზე ჩვენი შეთანხმება ძალიან ძნელად მოხდა, რომ 2020 წლისთვის გავაკეთოთ ასეთი სისტემა. კოალიციაში იყო დიდი სჯავ-ბაასი და 2016 წელს ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ხმას არ მოგვეცემს მაჟორიტარების დიდი უმრავლესობა და ეს უკვე დაშლის წინაპირობა იქნება. მაჟორიტარები ამას კატეგორიულად არ დაეთანხმებიან, საბოლოოდ კი, ის გამოვა, რომ ვერც ერთს მივიღებთ და ვერც – მეორეს. ხელმოწერები შემოიტანა არასაპარლამენტო ოპოზიციაში, კი ბატონო, განვიხილავთ, მაგრამ საქმე რაღაც იქით მიდის, რომ არც ერთი გამოვა და არც – მეორე, რადგან ჩვენ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ გვაქვს, თორემ კარგა ხანია, თბილისში ვიქნებოდით.

ესაუბრა ნათია შერძიანი

გიორგი მარგველაშვილი: „ისლამური სახელმწიფო ტერორისტული წარმონაქმნია!“



საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა, პარიზში მომხდარ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოში გახსნილ სამიმრის ნიგში ჩანაწერი გააკეთა. როგორც ქვეყნის პირველმა პირმა ჟურნალისტებს განუცხადა, მძიმე წუთებში ფრანგი ხალხის და საფრანგეთის სახელმწიფოს გვერდითაა. ამასთან, გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, ე.წ. ისლამური სახელმწიფო არის ერთი დიდი ტყუილი, ვინაიდან მას არც სა-

ხელმწიფოსთან აქვს რაიმე კავშირი და არც – ისლამთან. „ამ მძიმე წუთებში თანადგომას ვუცხადებ ფრანგ ხალხს და საფრანგეთის სახელმწიფოს. ფრანგ მოკავშირეებთან ჩვენი განსაკუთრებული ურთიერთობა მაშინაც გამოჩნდა, როცა ევროკავშირის ფარგლებში ქართველი მებრძოლები ფრანგ მებრძოლებთან ერთად დადგნენ აფრიკის ცენტრალურ რესპუბლიკაში და შეასრულეს მნიშვნელოვანი მისია. ამ რეალობაში ნათლად უნდა დავინახოთ, როგორი გამოწვევის წი-

ნაშე დგას კაცობრიობა. „ისლამური სახელმწიფო“ არის ერთი დიდი ტყუილი, რადგან არც სახელმწიფოსთან აქვს არანაირი კავშირი და არც ისლამთან“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. ქვეყნის პირველი პირის შეფასებით, ე.წ. ისლამური სახელმწიფო ტერორისტული წარმონაქმნია, „რომელიც დასრულდება ისე, როგორც ასრულდებენ ტერორისტები“.

„ინტერპრესნიუსი“

19 ნოემბერს საპროკურორო საბჭო მთავარი პროკურორის კანდიდატს შეარჩევს

საპროკურორო საბჭო 19 ნოემბერს მთავარი პროკურორის კანდიდატს შეარჩევს. არჩევნებზე დაკვირვების მსურველთა რეგისტრაცია დღესიდან დაიწყო და 19 ნოემბრის 10.00 საათამდე გაგრძელდება. არჩევნები იუსტიციის სამინისტროში გაიმართება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის სამინისტროდან აცნობეს, 19 ნოემბერს იუსტიციის მინისტრი იმ სამი კანდიდატის ვინაობას გაასაჯაროებს, რომლებსაც საპროკურორო საბჭოს წარუდგენს. გამოქვეყნდება მთავარი პროკურორის კანდიდატების შესახებ წარდგინება, რომლებიც, კანონის შესაბამისად, უნდა დასაბუთდეს. იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატიდან ერთს საბჭოს წევრები ფარული კენჭისყრით ხმათა 2/3-ით დაამტკიცებენ. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, მთავარი პროკურორის კანდიდატის არჩევნები ორგანიზაციების, აკადემიური და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებს. „მთავარი პროკურორის კანდიდატის არჩევნებზე დაკვირვების მსურველები 19 ნოემბრის 10.00 საათამდე უნდა დარეგისტრირდნენ. ამისათვის დაინტერესებულმა პირებმა (ორგანიზაციებმა) უნდა გამოგზავნონ ელექტრონული წერილი მისამართზე info@justice.gov.ge და განაცხადონ, რომ სურთ, დააკვირდნენ მთავარი პროკურორის კანდიდატის არჩევნებს; მიუთითონ დამკვირვებლის სახელი და გვარი, აგრეთვე, ორგანიზაცია, რომელსაც წარმოადგენენ. მთავარი პროკურორის კანდიდატთა არჩევნები საქართველოში პირველად ტარდება. კანონმდებლობის თანახმად, საპროკურორო საბჭო იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატიდან ერთს ხმათა 2/3-ით ფარული კენჭისყრით ირჩევს. სამივე კანდიდატს კენჭი ცალკე ცალკე ვერც ეყრება. საპროკურორო საბჭოს წევრებს დაურიგდებით სამი ბიულეტენი. თითოეულში მითითებული იქნება მთავარი პროკურორის ერთი კანდიდატი. საბჭოს წევრები თითოეულს ცალკე-ცალკე მისცემენ ხმას. არჩევანის გაკეთების შემდეგ საპროკურორო საბჭოს წევრები სამივე ბიულეტენს ერთ კონვერტში მოათავსებენ და საარჩევნო ყუთში ჩაუშვებენ. ხმის მიცემის მსგავსად, ღია ხმების დათვლის პროცესიც, საარჩევნო ყუთი კენჭისყრის დასრულებისთანავე გაიხსნება. დამტკიცებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ საპროკურორო საბჭოს წევრთა სრული შემ-

ადგენლობის 2/3-ისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის ხმა. თუკი ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო წარდგენილ ყველა კანდიდატთან გამართვა, ინფორმაცია იუსტიციის მინისტრისა და მთავარი პროკურორის კანდიდატების შეხვედრების შესახებ თითოეული შეხვედრის დასრულებისთანავე განთავსდება საპროკურორო საბჭოს საიტზე – pc.gov.ge“, – ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ინტერპრესნიუსი“



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კობედიანი

საქართველო  
საქართველო

მკვლევართი

„ტერორისტულ აქტს პისტოლეტით არავინ აწყობს“ — ასე გამოეხატა უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი ბესო ალადაშვილი სოციალურ ქსელში ატეხილ აქციას, ე.წ. იარაღის კანონი თითქოს ტერორიზმის პრევენციისთვის გამკაცრდა. ექსპერტი არც იმ მოსაზრებას იზიარებს, რომ საქართველო ტერორისტების მორიგი სამიზნეა. მისი აზრით, ამ მხრივ საფრთხე უფრო რუსეთს ემუქრება, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ პრევენციისთვის არაფერი უნდა გააკეთოს. „ხელისუფლებამ ბუნების ხილზე უნდა გაიაროს, რათა ტერორიზმი, რომელიც 21 საუკუნის ყველაზე საშიში მოვლენაა, თავიდან აიცილოს“ — აცხადებს ბესო ალადაშვილი.

— საფრანგეთის ტერაქტების სერია კარგად დაგეგმილი და მალე დონეზე იყო ორგანიზებული, რაც მოსალოდნელ საფრთხეს უფრო ზრდის, რადგან ტერორისტები თავიანთი არაადამიანური გეგმების განხორციელებისთვის, მრავალი წელია, მრავალფეროვან მეთოდებს მიმართავენ. ტექნიკის განვითარებასთან ერთად, ტერორიზმის მეთოდებიც უფრო გაფართოვდება და შესაბამისად, მისი თავიდან აცილება ძნელია.

— ამბობენ, რომ საფრთხე საქართველოსაც ემუქრება, როგორც ანტიტერორისტული კამპანიის ერთ-ერთ მონაწილე ქვეყანას....

— ერთი ექსპერტიც ვერ იტყვის, თუ ვინ იქნება შემდეგი. საერთოდ, ტერაქტი გლობალური მიზნის მისაღწევად ჩადენილი კანონდარღვევაა, თუმცა ამ ეტაპზე საქართველოს საფრთხე არ ემუქრება, რადგან ტერორისტულ ორგანიზაციებს ჯერჯერობით იმდენი რესურსი არა აქვთ, რომ ტერაქტები ერთდროულად რამდენიმე ადგილას განხორციელონ. თუ რამდენიმე დღის წინ, ეგვიპტეში რუსული თვითმფრინავის აფეთქებას და შემდეგ, საფრანგეთისა და ბეირუთის ამბებს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ტერორისტებს საკმარისი რესურსი არ აქვთ, თორ-



„ტერორიზმს ფესვები საქართველოშიც აქვს... ხელისუფლება ბუნების ხილზე გადის!“

ნიშნავს თუ არა იარაღის ფლობა ტერორიზმთან კავშირს

ვალისწინებით, რომ ფესვები საქართველოშიც აქვთ — პანკისა და აჭარის მაღალმთიანეთიდან რამდენიმე ათეული ადამიანი წასული და ტერორისტების გვერდშია.

მოკლედ, ჩვენი ხელისუფლება ორცეცხლშუა და „მეორე ცეცხლი“ რუსეთის ფაქტორია — რუსეთს იმის საშუალება არ უნდა მიეცეთ, რომ ჩათვალოს, თითქოს ტერორისტებს თავზე ხელს ვუსვამთ, რასაც ბოლო თხუთმეტი წელია, გვაბრალებს და ამბობს, რომ ჩვენ თითქოს ტერორისტებს ვამზადებთ. ჩემი აზრით, ხელისუფლებამ მაქსიმალური თავშეკავება უნდა გამოავლინოს და გინივრული გადამწყვეტილებები მიიღოს.

— ირაკლი ალასანიას განცხადებით, პრევენციისთვის, უსაფრთხოებისა და საზღვრის დაცვის სამსახურების დაფინანსება უნდა გაიზარდოს...

— საქართველოში ანტიტერორისტული მიმართულება პრინციპულად შესაცვლელი და გასაძლიერებელია. ჩვენთან ეს სამსახური რაღაცა სისტემის დანამატად ითვლება. არადა, აუცილებლად ცალკე სტრუქტურა უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, მისი დაფინანსება და რესურსები უფრო მაღალ დონეზე უნდა დაიგეგმოს. არ შეიძლება, ალასანიას საზღვართან დაკავშირებითაც არ დავეთანხმოთ, რადგან საუბარია ჩვენს ორციკალოურ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელია, საზღვრის მთელი პერიმეტრი ისე გავაკონტროლოთ, რომ ერთი ადამიანიც არ გადმოგვეპაროს. ამიტომ ვამბობ, რომ ანტიტერორისტული ღონისძიებები უფრო ეფექტური იქნება, თუკი მას ცალკე სტრუქტურა მოემსახურება, რომელიც აბსოლუტურად დამოუკიდებელი იქნება, თავისი ანალიტიკური სამსახურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. ეს უზარმაზარი მიმართულებაა და იმის გათვალისწინებით, რომ ტერორიზმი მომავალშიც აქტიურად პრობლემა იქნება, ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა განვიხილოთ.

„საქართველოში ანტიტერორისტული მიმართულება პრინციპულად შესაცვლელი და გასაძლიერებელია. ჩვენთან ეს სამსახური რაღაცა სისტემის დანამატად ითვლება. არადა, აუცილებლად ცალკე სტრუქტურა უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, მისი დაფინანსება და რესურსები უფრო მაღალ დონეზე უნდა დაიგეგმოს. არ შეიძლება, ალასანიას საზღვართან დაკავშირებითაც არ დავეთანხმოთ, რადგან საუბარია ჩვენს ორციკალოურ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელია, საზღვრის მთელი პერიმეტრი ისე გავაკონტროლოთ, რომ ერთი ადამიანიც არ გადმოგვეპაროს. ამიტომ ვამბობ, რომ ანტიტერორისტული ღონისძიებები უფრო ეფექტური იქნება, თუკი მას ცალკე სტრუქტურა მოემსახურება, რომელიც აბსოლუტურად დამოუკიდებელი იქნება, თავისი ანალიტიკური სამსახურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. ეს უზარმაზარი მიმართულებაა და იმის გათვალისწინებით, რომ ტერორიზმი მომავალშიც აქტიურად პრობლემა იქნება, ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა განვიხილოთ.“

„ერთია, ტერორისტები რას განაცხადებენ და მეორეა, მათ გავაზრდოთ რა შედეგს და რისი რესურსი აქვთ. თუ მათ მოქმედებას ლოგიკურად გავაანალიზებთ და გოლო დღეების ანტირუსულ განცხადებასაც გავიხსენებთ, ამ შემთხვევაში, ტერორისტების საშიშროება უფრო რუსეთშია, ვიდრე — საქართველოში. თუ მივხვებით ლოგიკას, რომ ჩემი მხრივ მძიმე მდგომარეობაა, უნდა ვიზარაუდოთ, რომ უსაფრთხოების საკითხებში მათი სამიზნე არ იქნება. ტერორისტები საქართველოში თუნდაც სხვა ფაქტორიდან გამომდინარე არ დაინტერესდებიან — რეალურად, საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა, სადაც საუკუნეებია, ყველა რელიგიის ადამიანი გვერდითგვედ და მათ შორის რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება არასოდეს ყოფილა, თუ არ გამოვირიცხავთ ბოლოდროინდელ დაგეგმილ პროვოკაციებს, რაც, ბუნებრივია, ტერორისტებისთვისაც ცნობილია.“

ვოდ გადასაწყვეტია.  
— პარიზის ტერაქტებამდე, საქართველოში იარაღის ტარების მსურველებისთვის კანონი გამკაცრდა, რასაც არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. სოციალურ ქსელში ზოგმა აშშ-ის მაგალითი მოიყვანა, სადაც იარაღის ტარებაზე მკაცრი კანონი არ მოქმედებს...  
— ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი არ გამოგვადგება იმიტომ, რომ იქ იარაღი, მათი მენტალობიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია. აშშ-ში, იარაღის ტარებასთან დაკავშირებით, შტატების მიხედვით, სხვადასხვა შეზღუდვაა. ასევეა სხვა ქვეყნებშიც — ვერ ვიტყვი, იქ ფლობა შენახვა გაიოლებულია, მაგრამ უფრო ხელმისაწვდომია.  
— რაც შეეხება იარაღის ფლობის მექანიზმის გათვალისწინებას, შეიძლება თუ არა, ეს ტერორიზმის წინააღმდეგ გარკვეულ პრევენციულ ღონისძიებად ჩაითვალოს?  
— მოდით, კანონს ჩავეხედოთ, სადაც საკმაოდ კარგადაა გამოკვეთილი, თუ ვის შეიძლება ჰქონდეს იარაღის ტარების უფლება. ეს ძირითადად იმ ადამიანებს ეხებათ, რომელთა ადრინდელი, ან ახლანდელი პროფესია იარაღს უკავშირდება. იარაღის ფლობა ხშირად აუცილებელია პირადი, ან ოჯახის უსაფრთხოებიდან გამომდინარე.  
რაც შეეხება კანონის გამკაცრებას, ეს,

ჩემი აზრით, აუცილებელი იყო.  
— რატომ?  
— როცა ადამიანს იარაღის შექენა-შენახვის უფლება აქვს, ეს ლოიალური გადაწყვეტილებაა, მაგრამ ამ დროს, შეიძლება, ეს უფლება ისეთმა, ასე ვთქვათ, მოიპოვოს, რომელსაც იარაღის ტარებაზე მასხასიათებლად და გამოყენებაზე წარმოდგენაც არ აქვს. ადამიანს მინიმალური ცოდნა მაინც უნდა ჰქონდეს, რათა თავისი და გარემომოყრდენის სიცოცხლე საფრთხეში არ ჩააგდოს. ავიღოთ უბრალო სანადირო თოფი და გავიხსენოთ, თუ რამდენი ტრაგიკული შემთხვევა მოხმდარა მისი არასწორად გამოყენებით.  
— კანონში შეტანილი ცვლილებით, გამოცდის გასაველეად, აუცილებელია, შემოწმდეს ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობაც. გამართული ფსიქიკა კი იმას სულაც არ ნიშნავს, რომ იარაღს ცუდი მიზნებისთვის არ გამოიყენებ...  
— ამ ორ ფაქტს ერთმანეთთან ნამდვილად ვერ დავაკავშირებ. ტერორიზმი მაღალ დონეზე ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებაა, რომლის სათავეში მაღალი ინტელექტის ადამიანები არიან გაერთიანებული და სისტემურ სხვადასხვა რესურსის, იდეოლოგიისა თუ შანტაჟის გამოყენებით მართავენ. კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება, იყოს გადახრა და სხვადასხვა ნიშნავს. ადამიანი, რომელიც ხალხს ხოცავს და თავსაც იკლავს, ფსიქიურად გამართული ვერ იქნება.  
— ანუ, იარაღის ფლობა ტერორიზმისკენ მიდრეკილებას სულაც არ ნიშნავს?  
— ეს ძალიან დიფერენციალური შეფასებაა. იარაღის შექენა კანონმდებლობით შეზღუდულია, ავტომატურ იარაღს კი, არავინ ყიდის. ტერორიზმის მთავარი მიზანი საზოგადოების დაშინებაა, რისთვისაც მრავალი დაზიანების იარაღს იყენებენ, რომელსაც დიდი ეფექტი და ლეტალური შედეგი ექნება. ტერაქტს არავინ აწყობს პისტოლეტით. სამწუხაროდ, ინტერნეტში გავრცელებული იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დაიბლოკა, ახლაც უამრავია მასალა, სადაც პირდაპირ გავრცელებულია, თუ როგორ გამოვიყენოთ მასიური განადგურების იარაღი. ეს საკითხი მოსაგვარებელია, თორემ იარაღის ფლობა ტერორიზმთან კავშირს სულაც არ ნიშნავს!

ესაუბრა ნათია პირაძე



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავე, ქართულო სიტყვავე!“

კარნეგის ლეონიძე

## სანიწორმაციო მხარდაჭერა

1) სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (9 კლასი) ატესტატი), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის სანაბრკლივობა მისამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1200 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მეოთხე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მესამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

კურსდამთავრებულს ენიჭება კრიმინალისტიკის შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

2) მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის მეოთხე (წინაპირობა: საშუალო განათლების დამატურებელი ატესტატი) და მეხუთე საფეხურზე (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის სანაბრკლივობა მეოთხე საფეხურზე 60 კრედიტი (ორი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მესამე საფეხურზე – 120 კრედიტი (ოთხი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი (წლიური).

კურსდამთავრებულს ენიჭება მცირე ბიზნესის მწარმოებლის შესაბამისად მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

საბუთები მიიღება 1 აპრისტოდან 25 სექტემბრამდე.  
სწავლა დაიწყება 28 სექტემბერს.

საბუთების ნუსხა: სკოლის ატესტატი, ვაჭებისათვის სამხედრო აღრიცხვის ბარათი,

2 ფოტო სურათი (3X4), დაბადების მოწმობა, განცხადება.

სურვილის შემთხვევაში გადახდის გრაფიკი შედგება ინდივიდუალურად სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე.


მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. 55

ტელ.: 2960104

tbuniver.edu@gmail.com



„თბილისის  
სასწავლო  
უნივერსიტეტი“  
აცხადებს  
სტუდენტთა  
მიღებას  
პროფესიული  
პროგრამების  
ფაკულტეტზე:



საქართველო. საქართველო. საქართველო.

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“

კონსტანტინე

ახალი სახე

# „ჩემი ოჯახი „ნაციონალთა“ აღვირახსნილ პოლიტიკას არ შეეგუა და დაისაჯა!“

„მინდოდა, დამენერა, მაგრამ ვერ ვპოულობ სიტყვებს — სამძიმარი, ბრძოლა ტერორიზმთან... რაზე ვისაუბროთ, სახელი არ აქვს ამ ტრაგედიათა სერიას... ზღვარგადასული არაადამიანობა...“ — ასე გამოეხატა სოციალურ ქსელში პარიზში დატრიალებულ ტრაგედიას თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე, ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, პროფესორი თამარ ტალიაშვილი... რა გამოწვევები აქვს საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას, როგორი იქნება საახალწლო ზეიმი თბილისში, როგორია სახლი, სადაც ელოდებიან და რატომ არ დაკიდებს კაბინეტში სტალინის პორტრეტს? — „ქართული სიტყვა“ თამარ ტალიაშვილს ესაუბრა.

— კრეატიული იდეებისთვის გახსნილი ვართ!  
— თამარ, ვინ არის კაცი, რომელიც თქვენი აზრით, თბილისქალაქს დააკლდა?  
— ახლა ვსხედვართ, ვსაუბრობთ, ვილატ იბადება, ვილატ კვდება. ნებისმიერი, ვინც ამ წუთას იმ ქვეყნად მიდის, მიმანჩია, რომ ქალაქს აკლდება.  
— თბილისის საკრებულოში ორი უდიდესი სამსახური გაბარიათ — განათლება და კულტურა. რთული არაა?

დი პოეტის შემოქმედება. ელექტრონული ხელსაწყოების მეშვეობით მოისმინონ პოეტის ლექსები, ნახონ მისი გამოსვლები, შეიძინონ სუვენიერები.  
— ახალგაზრდების წასახალისებლად განათლებისა და კულტურის კომისია სხვას რას აკეთებს?  
— ყურადღების მიღმა არც სოციალურად დაუცველ სტუდენტებს ვტოვებთ და სპეციალური ახალი პროგრამის ფარგლებში, ისინი 100%-ით დაფინანსდებიან, რაც

— თამარ, თბილისელი ხართ?  
— დიახ.  
— აღდგომის დღეებში, სოციალურ ქსელსა თუ ქუჩაში გესლიანი ხუმრობა ისმის ხოლმე, ქალაქი სოფლებებისგან დაიცალა და „კარენი“ თბილისელია დავრჩითო...  
— თბილისი საქართველოს დედაქალაქი და მისი გულია. აქ თავი ყველამ კომფორტულად უნდა იგრძნოს, მიუხედავად იმისა, ძირძველი თბილისელია თუ არა. მქონდა შესაძლებლობა, მესწავლა და მეცხოვრა დასავლეთში. ჩემი ცნობიერება ინტერნაციონალურ აკადემიურ და პროფესიულ წრეებში ჩამოყალიბდა, სადაც ყურადღებას რაიონულ წარმოშობას კი არა, იმასაც არ აქცევენ, თუ რომელი ქვეყნიდანაა ადამიანი. ეს ზოგადსაკაცობიო და ცივილური დამოკიდებულებაა, რომელიც პიროვნებას თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს.

## რატომ გაცვალა საერთაშორისო სააღმკაცრო საქმიანობა საჯარო სამსახურზე — საკრებულოელ თამარ ტალიაშვილის არაკომპრომიტიზირებული პორტრეტი



თბილისი მხოლოდ საქართველოს დედაქალაქი კი არაა, არამედ, განათლების, კულტურისა და ტურიზმის რეგიონალური ცენტრიც უნდა გახდეს.  
— ესე იგი, თქვენი გვარი ხოხობთან ერთად გაჩნდა?  
— (იციან) ხოხობთან ერთად არა, მაგრამ პაპაჩემი, პროფესორი გიორგი ტალიაშვილი თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი იყო. აკაკი შანიძესთან ერთად მოღვაწეობდა და ბევრი იმ ცნობილი ნაშრომის ავტორი გახლავთ, რომელიც სტუდენტებისთვის დღესაც სახელმძღვანელოდ ითვლება. შორს აღარ წავალ და მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენი ოჯახი თბილისქალაქს ემსახურებოდა და ემსახურებს.

ის პრინციპები არ დამო, არ შეეგუა „ნაციონალთა“ აღვირახსნილ პოლიტიკას და ამისთვის დაისაჯა. ამ თემაზე სალაპარაკო ბევრია, მაგრამ სხვა დროისთვის გადავდეთ.

— კეთილი... მოდი, წლევანდელ თბილისობაზე ვისაუბროთ. ეს ოდიოზური დღესასწაული სულ კრიტიკის ქარცეცხლშია: ზოგს რა არ მოსწონს, ზოგს — რა...  
— საერთოდ, დღესასწაული ადამიანებსა და მათ ინტერესებზე უნდა იყოს ორიენტირებული. როგორი უნდა ყოფილიყო წლევანდელი თბილისობა, ქალაქის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის კი არა, მოქალაქეთა გადასახვეტი უნდა გამხდარიყო. ამიტომ წინასწარ შევქმენით პორტალი, სადაც მოქალაქეები თავიანთ იდეებს აფიქსირებდნენ. გამოცხადდა კონკურსი, გამოვლინდა სამი გამარჯვებული. ასე მივიღეთ წლევანდელი ზეიმი ისეთი სახით, რაც იყო.

— წლევანდელი ზეიმი ნინა წლებისგან მაინც, რითი განსხვავდებოდა?  
— წლევანდელი „თბილისობის“ მამოძრავებელი ძალა გარემოს დაცვითი ღონისძიებები გახლდათ. ასევე, ჩვენთვის საამაყო კულტურული მენარმეობის ფესტივალი. ეს იდეა წინასწარჩვენოდ, მოქალაქეთა შეხვედრებისას გამჩინდა. ფესტივალი თავისი გამოვლენა-გაყიდვით უცხოელთათვისაც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. „თბილისობა 2015“ კულტურული ღონისძიებებით მაქსიმალურად დატვირთული ჩატარდა და არა — სანახევლო თანამდებობის პირების პერფორმანსებით. ზეიმის დღეებში, გლეხებსაც ხელი გაემართათ: საკუთარი ჭირნახული ქალაქში გასაყიდად ჩამოიტანეს. ეს იყო ქალაქისა და სოფლის ცხოვრების ერთ-ერთი შერწყმა, ქვეყნის კულტურისა და შემოღვაწის ზეიმი, რომელიც ტურისტთა მოზიდვაზეა ორიენტირებული.

— ისე, ჩემთვის „თბილისობა“ ტივზე მოქიფე კინტოები და შამფურების ტრიალი კი არა, უფრო ქალაქური ზეიმი...  
— „კულტურა“, ეტიმოლოგიურად, ძველსაბერძნეთში ჩამოყალიბდა, როგორც ფენომენი და ის ადამიანის ცნობიერების განვითარებას გულისხმობს. კულტურა, ანუ ადამიანის ინტელექტუალურ-ემოციურ-შემოქმედებითი სფერო ხალხის ცხოვრების უდიდეს ნაწილს მოიცავს. განათლება თავის მხრივ კულტურას ემსახურება და ამიტომაც, მათი გამიჯვნა არანორმალური იქნებოდა.  
— უფასო ელექტრონული ბიბლიოთეკის პროექტი მომენონა. ესეც თქვენი იდეაა?  
— ტრაბახში თუ არ ჩამომერთმევეა, ამ საქმეში წვლილი ნამდვილად მიმიძღვის. შარშან, წლის ბოლოს, ჩემი იდეა ტექნოლოგიური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელს გავუზიარე, რომელმაც გულისყურით მომიმინა და პროექტმაც ძალა შეიძინა, ჩვენს ბიბლიოთეკებში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა საგანმანათლებლო სისტემის ახალი სახეა. „ნაციონალის“ დროს მომაკვდავ ფაზაში გადასული მუნიციპალური საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებები უნდა გავაცოცხლოთ და ახალგაზრდებისათვის სასურველ ადგილებად ვაქციოთ!  
— როგორ ფიქრობთ, ნიგნი, თუნდაც ელექტრონული, ახალგაზრდებისთვის მოთხოვნადია?  
— ჩემი სასწავლო-სამეცნიერო გამოცდილების საფუძველზე, შემძლია ვთქვა, რომ ახალგაზრდობა ნიგნი ისე არ უყურებს, როგორც ფურცელზე დაბეჭდილ ინფორმაციას. პრაქტიკულად, შემეცნების ფორმა-მეთოდების მოდიფიცირება მოხდა. ეს იმას პგავს, საკვები დანა-ჩანგლები რომ უნდა მიირთვა და ყველა იცის, ამას ალტერნატივა არა აქვს. მცირე ზომის ელექტრონული ხელსაწყოებით ახალგაზრდები ინფორმაციას მათთვის საინტერესო სახით იღებენ. მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის სახელმუშეებში მისულეს ახალი მარკეტინგული ტექნოლოგიების დანერგვა საშუალებას მისცემთ, სულ სხვანაირად გაიცნონ დი-

ნიჭიერ და მონდომებულ სოციალურად დაუცველთა ოჯახების ახალგაზრდებს წინ წაწევის საშუალებას მისცემს. წარჩინებული მაგისტრანტების სტიპენდიებით წახალისება, ასევე, ახალი ინიციატივაა. ამავე მიზანს ემსახურება თბილისის სახელოვნობო სკოლებში საკრებულოს მიერ კომუნალური ხარჯების დაფარვა, რამაც სასწავლებლებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. მაგალითად, ერთ-ერთმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა ამ კომუნალური დანაზოგის ხარჯზე, სამზარეულო მოაწყო, სადაც სამომავლოდ კულინარიის შემსწავლელი კურსები გაიხსნება.  
— ბალებთან დაკავშირებით რა ხდება? — სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ბაგაბალებში ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა ორმოცს აღემატება, რაც უამრავ სირთულეს ქმნის, განსაკუთრებით, ინფექციების გავრცელების თვალსაზრისით...  
— მიიმე მემკვიდრეობა ჩავიბარეთ. 2003 წლიდან, თბილისში 47 ბაგაბალი გაუქმდა.  
— შენობებს რა ბედი ენია?  
— მაგალითად, კიევის ქუჩაზე მდებარე ბაბში „ნაციონალის“ ოფისი იყო გახსნილი. ბაგაბალების ეზოებში, მიტოვებულ ფლიგელებში, ამორტიზირებულ ნაგებობებში სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოები ჩავატარეთ, ვაშენებთ ახალ ბალებს, რამაც საშუალება მოგვცა, ბალებში ადგილების რაოდენობა, გასულ წელთან შედარებით, ათი ათასით გაგვეზარდა — ახალი წლიდან ქალაქში ფუნქციონირებას შეიძინა ახალი ბაგაბალი დაიწყებს. ახალი ჯგუფებთან და ბალებით ახალ სამუშაო აღდგენის საცემნით. მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ რეკონსტრუქციური ნაბიჯები გადავდგით.  
— ბაგაბალების შენობები, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ბევრგან ლტოლვილებს აქვთ დაკავებული.  
— ჩვენი მიზანი ერთი საქმის გაკეთება და მეორეს გაფუჭება კი არა, სტრუქტურულ შორის კოორდინირებული, შეთანხმებული აქტი დაკავებული.

— 2004 წლიდან, პრაქტიკულად, ოპოზიციამ ვიყავი — „ნაციონალის“ მიერ რეგულირებულ ოჯახს წარმოვადგენ: ჩემმა ოჯახმა სამართლიანობისა და კანონიერების



„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშენიერებას ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა.“

კარგა ლინა

ახალი სახი

მე-14 გვირგვინი

ლი მოქმედება.

**– თამარ, აუტისტური აშლილობის მქონე ბავშვებზე სკოლებსა და ბაღებში დაავადების შესახებ ნაკლებად ინფორმირებული აღმზრდელები და მასწავლებლები ზიანს ბავშვებსაც აყენებენ და მშობლების ფსიქიკასაც. ამ მიმართულებით არაფერს გეგმავენ?**

– სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ბავშვობის სერვისის ვადა შვიდ წლამდე გაგზავნილიყო. ფსიქოლოგისა და ლოგოპედის სპეციალისტების შტაბების დამატებაც ამ პრობლემის მოგვარებას ემსახურება. ქალაქის მუნიციპალიტეტმა აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის სპეციალური პროგრამა შეიმუშავა. რასაკვირველია, ყველაფერი ეს აღმზრდელთა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების პარალელურად ხდება. ინკლუზია იმას გულისხმობს, რომ ბავშვი ტოლერანტულ საზოგადოებაში გაიზარდოს.

**– ...თბილისელებს რა კულტურულ სიახლეებს სთავაზობთ?**

– მაგალითად, 19 ნოემბერს, მსოფლიო საოპერო ვარსკვლავი თამარ ივერი 19 საქველმოქმედო კონცერტს ჩაატარებს და შემოსული თანხა მთლიანად თამარ ივერის საქველმოქმედო ფონდის – „დაცული საზოგადოება“ მიერ შერჩეულ იმ ხუთ ოჯახს გადაეცემა, რომლებმაც სტიქიის დროს ოჯახის წევრი დაკარგეს.

საერთოდ, კონცერტებისადმი ახლებური მიდგომა გვაქვს და მიგვაჩნია, რომ ყველას გრძელვადიანი ეფექტი უნდა ჰქონდეს და არა – მხოლოდ ორი საათით თავის შექცევის. ამასთან, მსოფლიო დონის მუსიკოსების კონცერტებზე სახელოვნებო სასწავლებლების სტუდენტებს, სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებს, როგორც მასტერკლასზე, დასწრების საშუალება უნდა ჰქონდეთ.

**– საახალწლო ზეიმისთვის უკვე ემზადებით?**

– თბილისობის ზეიმი დავამთავრეთ თუ არა, მაშინვე საახალწლო სამზადისს შევუდექით. აღარ იქნება ქალაქის ქუჩებში საშინურად ჩამოკიდებული ჭალები, თანამედროვე ახალი წელი გვექნება, თუმცა წინასწარ დეტალებზე საუბარი არ მინდა, სიურპრიზად დავტოვებ.

**– თამარ, ზევრი თანამშრომელი გყავთ?**

– ცოტანი ვართ, მაგრამ მაქსიმალური ეფექტის მიღებას ვაპირებთ.

**– როგორ ასერხებთ, ადამიანებზე ზეგავლენა მოახდინოთ?**

– როგორი ხელმძღვანელი ვარ? – ძალიან მეხმარება აკადემიური მუშაობის გამოცდილება.

**– 2012 წლამდე სად მოღვაწეობდით?**

– თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის და კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში, სტას-ში, ჯიპაში, ეკონომიკური ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ვწყოდი. სხვადასხვა დროს დეკანის, კაიფის გამგის პოზიციები მიკავია. გერმანიაშიც გახლდით მრევული მეცნიერ-მკვლევარის, მაქს-პლანკის კვლევით ცენტრში, აშშ-ში კი, – იუსტიციის ასოციაციის დელეგატად.

რაც შეეხება კერძო იურიდიულ პრაქტიკას, მე და ჩემი მეუღლე, აშშ-ის წამყვანი იურიდიულ ფირმებთან ერთად, საერთაშორისო დავების წარმოებაში ვიყავით ჩართულები. 2011 წელს, აშშ საელჩოს მიერ წარდგენილი ვიყავი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ნომინაციაზე – „ქალები საჯარო სამსახურში“. უკანასკნელ პერიოდში, შსს-ს ადმინისტრაციის უფროსისა და შსს აკადემიის პროექტორის პოზიციები მიკავია.

**– თანამშრომლებს ჯადოსნური სიტყვებით ახლისებთ თუ პრემია-ჯილდოებით?**

– მიმაჩნია, რომ საჯარო სექტორში ყველა ადამიანის შრომა წასახალისებელი და დასაფასებელია, რათა საჯარო საქმიანობა მიმზიდველი გავხადდეთ. ბევრს არ აინტერესებს საჯარო სამსახური, მეც მქონდა ეს პერიოდი, როცა საჯარო სფეროს კერძო სექტორში საქმიანობას ვამჯობინებდი. როცა

პირადად ვიგრძენი, რომ პოლიტიკა ოჯახებში შედის, გადავწყვიტე, საჯარო სექტორში საქმიანობით სამართლიანი გარემოს შექმნეოდა მეზობელსა და პოლიტიკას ადამიანების დასახმარებლად წარგმართავდი.

**– პატიება შეგიძლიათ?**

– ვისაც პატიება არ შეუძლია, ცხოვრება გაუჭირდება, შეცდომას ყველა უშვებს, მაგრამ მისი გამოსწორების საშუალება უნდა მიეცეს. ჩვენი ოპონენტები ხშირად კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს მათ მიერ დაშვებულ შეცდომას ეძახიან. ამიტომ, სიტყვა „შეცდომის“ გაგებასაც გააჩნია.....

**– საკუთარ თავს აკრიტიკებთ ხოლმე?**

– კმაყოფილებაზე უკვე ვისაუბრეთ, თუკი ადამიანი ცდილობს, გაიზარდოს, აუცილებლად თვითკრიტიკული უნდა იყოს.

**– თამარ, ერთ-ერთი ორგანიზაციისგან ძუძუს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში სამადლობლო დიპლომი გაქვთ მიღებული, რაც თქვენს პროფესიულ საქმიანობას ვერაფრით დაუკავშირებ...**

– ამ თემაზე საუბარი არ მიყვარს ხოლმე, მაგრამ... ყოველთვის უნდა იყოს სარგოს 50%-ს ქველმოქმედებას ვახმარ, მათ შორის, იმ ორგანიზაციებს ვახმარებ, რომლებიც სიმსივნით დაავადებულებზე ზრუნავენ. ეს ჩემი მოკრძალებული წვლილია მათთვის, ვისაც დახმარება ესაჭიროებათ.

**– არსებობს თუ არა ქართველი ქალის ფენომენი? ხშირად ისმის – „ქალი ვიცი, კუნაშვილი“. ამ დროს, ქალები არიან პოლიტიკაში, საჯარო სფეროში, ბოლოს და ბოლოს, თავდაცვის მინისტრი ქალი გყავს.**

– ჩემი ცხოვრების განმავლობაში, შესაძლებლობა მომეცა, სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, ევროპის ქალაქებში შემუშავა და მესწავლა, სადაც საქმიანი ურთიერთობები წარმატებულ ქალბატონებთანაც მქონდა. ამ გამოცდილებამ მაჩვენა, რომ დიას, არსებობს ქართველი ქალის ფენომენი. მას აქვს განსაკუთრებული უნარი, არ დაკარგოს ქალური ხიბლი, იყოს დედა, კარგი მეუღლე, დიასახლისი და ამავე დროს, თავის პროფესიაზეც იზრუნოს. მქონდა შესაძლებლობა, მეთანამშრომელ ქალბატონ ერინ ბროკოვიჩთან, რომლის ბიოგრაფიაც საფუძვლად უდევს ოსკაროსან ფილმს – „ერი ბროკოვიჩი“. მას ფილმში ჯულია რობერტსი განასახიერებს. ამ ქალბატონმა, რომელიც ამავდროულად მცირეწლოვანი შვილების მარტოხელა დედა იყო, მსოფლიო სასამართლო პრაქტიკაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული დავა მოიგო და სამუდამოდ შეცვალა მსხვილი კორპორაციების მიდგომები ცალკეული ადამიანის პრობლემებისადმი. ასეთი ქალბატონები უცხოეთში გამოაკლისები არიან. მინდა, პარალელურად გავაწირო ამ ქალბატონებს და ქართველ ქალებს შორის. მაგალითად, ჩემი დიდი ბებია სამამულო ომის დროს დაქვრივდა და სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა გასაზრდელი. დღე და ღამე შრომობდა, თავისი ნახევარით კი კოკო შანელს არ ჩამოუვარდებოდა, სამივე შვილს უმაღლესი განათლება მიაღწევინა და ბრწყინვალე კარიერის გაკეთების საშუალება მისცა. იგი ღრმად მოხუცებულ ასაკში, თითქმის 100 წელს მიღწეული გარდაიცვალა... დიას, ქართველი ქალის ფენომენი არსებობს, სხვაგვარად ვერ ვგრძობავ!

**– თამარ, კოკო შანელს ახსენებთ და მოდის ქართულ სტილზე საუბრობთ. ისე, საბჭოთა სივრცეში ქართველი ქალები ყველაზე მოდურად ჩაცმულ ქალებად ითვლებოდნენ. მერე, წამოვიდა 90-იანები, როცა შავმა ფერადი ჩანაცვალა და დომინანტი გახდა. დღეს ქალებს როგორ აცვიათ?**

– ნელან, ახალ ინიციატივაზე – კულტურული მენარმობის ფესტივალზე ვსაუბრობდი. ეს ფესტივალი ხელს უწყობს ქართული ხალხური რენესის, დიზაინის, თეატრისა და თეატრის მინარქარი, ქედურობა, ქსოვილის წარმოებას. ამ საქმის ოსტატები ჩვენში უხვად არიან, უამრავი წარმატებული ქართველი დიზაინერი გყავს. ქართველებს გვაქვს ამის ნიჭი, რასაც ხელი საქართველოს როგორც ისტორიულად „აბრეშუმის გზის“ ქვეყნის სტატუსსა და კულტურათა გზაშესაყარზე მდებარეობამ შეუწყო. შემოსავლების რაოდენობით, მოდის ინდუსტრია მსოფლიოში ნავთობპროდუქტებისა და იარაღით ვაჭრობის ინდუსტრიას არ ჩამოუვარდება. მომავალ წელს კულტურული მენარმობის ფესტივალის ფარგლებში, გვენდა, ახალგაზრდა დიზაინერების ხელშეწყობა. საჭიროა რწმენა განვამტკიცოთ, რომ ქართული ნანარმი არაფრით ჩამოუვარდება უცხოურს, ამით ჩვენ პრემიერის ინიციატივას, სახელმწიფო პროგრამას – „ანარმოე საქართველოში“ სულისკვეთებას ვუერთდებით.

**– საკრებულოში ხმაურის სხომები ხშირია. ქალბატონები მოჩუბრებს შორის მანდილის ჩაგდებას ვერ ასერხებ?**

– ჩვენი ხელისუფლება შემრიგებლურ ნაბიჯებს დგამს, მაგრამ ასეთი საქციელი ორმხრივი უნდა იყოს. გვიკვირებენ, რომ მონინაღმდეგე ეთერიდან უნდა მოხსნა, გააჩუბო. ზოგჯერ ეს ხმაურის სხომები ჩატარებამდე დაანონსდება ხოლმე. ამას წინათ, ბავშვობაში ბავშვების მიღების წესის შესახებ უნდა შევკრებილიყავით, უწყინარი არაპოლიტიკური თემა იყო, მაგრამ მე დიასაშუალებებში წინასწარ დაძაბული სიუჟეტები გავიდა, თითქმის ხმაურის სხომის მოსალოდნელი. ასე იქმნება ხმაურისა და დაძაბულობის ილუზია, თუმცა დიდი უბედურების უარს, ივინისი, როცა წყალმა ვერეს ხეობა წაღვეა, ჩვენი საზოგადოება ერთიანი გახდა. საზოგადოებამ ხელისუფლების სერიოზულობის სულისკვეთება აიტაცა. ამ მხრივ ეს საოცარი დღეები იყო.

**– მოდი, რახან მდებარეობაზე გავსენებ, „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე მოვლენებსაც შევეხებით.**

– უკანასკნელმა მოვლენებმა „რუსთავი 2“-ის პროცესთან დაკავშირებით დაადასტურა, რომ სახელმწიფო არ ერევა მედიასივრცეში. მედიის და საერთოდ, გამოხატვის თავისუფლება, ჩემი აზრით, ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი საუკეთესო მონაპოვარია. ოპონენტების სპეკულაციები კი, უსუსურია, რადგან ჩვენს ხალხს კარგად ახსოვს, რას ნიშნავს და როგორ ხორციელდებოდა ხელისუფლების მიერ მედიის კონტროლი.

**– მიუხედავად ამისა, „ენ-დი-აი“ „ოცნების“ რეიტინგის დაცემაზე მიუთითებს.**

– სხვათა შორის, „ენ-დი-აი“ ძალიან საინტერესო ორგანიზაციაა, რომელიც მსოფლიოს ქვეყნებში ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა. უბრალოდ, საქართველოში, კონტრაქტორ ორგანიზაციისთან მიმართებაში, რომელსაც სავსე სამუშაოს ჩატარება და მონაცემების შეგროვება ევალება, არ გაუმარტობა

**– თამარ, 10-17 ნოემბერს მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული გაიხსნა. ღონისძიების გახსნისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: „განათლება არის ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, რადგან განათლებული თაობის გარეშე ჩვენთვის წარმოდგენილია, როგორ უნდა შევქოთ ისეთი სიმდიდრეების გადაღახვა, როგორც არის უმუშევრობა, ეკონომიკა. სწორედ ამიტომ, ჩვენი მთავრობა კიდევ უფრო აქტიურ-**

**ად გააგრძელებს მეცნიერების ხელშეწყობას“.**

– ეს პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთი მორიგი ბრწყინვალე ინიციატივაა. 21-ე საუკუნე მეცნიერებისა და ინოვაციების საუკუნეა. თანმიმდევრული საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმოებით, ჩვენს ქვეყანას წარმატებული მომავლის შანსი ეძლევა. ჩვენს წინაშე ნავთობპროდუქტებით არამდინარე ქვეყნისთვის ინოვაციური პროდუქტები ეკონომიკის წარმმართველია. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ გადადგა, ისაა, რომ ტექნიკური და საბუნებისმეტყველო დარგების შესწავლა უფასო გახდა. სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, მედიცინა და სხვა დარგები წარმოდგენილია მოწინავე ტექნოლოგიების გარეშე. წლების განმავლობაში, საქართველოში იურისტიებისა და ეკონომისტების ბუმი იყო, მაშინ უნდა გვეზოძოდა, რომ გლეხი თავისი ნაკვეთიდან არ წასულიყო, ახლა სანთლით საძებნია თუნდაც აგრარული სფეროს სპეციალისტი. როცა წარმატებულ ქართველ მეცნიერებზე ვსაუბრობთ, გავიხსენოთ შვეიცარიის ცერნის კვანტური ფიზიკის ლაბორატორია, სადაც ბევრი ქართველი მკვლევარი მუშაობს. უპრეცედენტოა ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა ტექნოლოგიური საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის შექმნის თაობაზე, გიორგი დვალის მონაწილეობით. ეს პროექტი მსოფლიო მნიშვნელობისაა, სადაც იგეგმება მედიცინა-სა და სხვა სფეროებში ახალ ტექნოლოგიებზე მუშაობა. ეს პროექტი რეგიონში წამყვანი ქვეყნის სატატუსს მოგვანიჭებს.

**– სახლი, სადაც გელოდებიან, როგორია?**

– როგორც იტყვიან, ოჯახი ჩემი ციხესიმაგრეა. მყავს მეუღლე და ვაჟიშვილი, მეორე შვილს დღე-ღამე ველოდები. ჩემი მეუღლე იურისტი და მისარია, როცა საერთაშორისო დავების წარმოებისას პროფესიულ რჩევას ამერიკელი და ევროპელი კოლეგები ეკითხებიან. მცდარია მოსაზრება, რომ ერთი პროფესიის მეუღლეების თანაცხოვრება თითქმის უინტერესო და მოსაწყენია.

**– მისტერ და მისის სმიტებიც საერთო საქმეს ემსახურებოდნენ...**

– (იცინის) დიას და ბოლოს ისევ ერთად დარჩენენ. ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. აქვე დავძენ, როცა ქალზე ვსაუბრობთ, უნდა ვაღიაროთ, რომ წარმატებული ის ქალია, ვინც კარგად ახერხებს ყურადღებას სწორად გადაანაწილოს.

**– გყავთ იდეალი, ვის პორტრეტსაც კედელზე დაკიდებდით?**

– სახლში ხატების კუთხე მაქვს. ისე, იდელების პორტრეტების კედელზე დაკიდების მომხრე ვარ ვარ, თუმცა თუ უდინეს ქართველ მოღვაწეებზე ვისაუბრებთ, პირველყოფისა, ეს ილია ჭავჭავაძე, ილია მართალია. ვამაყობ, რომ ახალ ინიციატივას დავეუდეთ საფუძველი – უმნიშვნელო ლოცვა-კურთხევით, მეორე წელია, საკრებულოში „ილიაობას“ განსაკუთრებულად აღვნიშნავთ. ნელს, საკრებულოში ილიას მკვლევობასთან დაკავშირებული ფილმის ჩვენებას ვავატარებთ.

**– ანუ, კაბინეტში სტალინის სურათს არ დაკიდებთ, არა?**

– ვვიქრობ, ეს ხუმრობა იყო. ზოგჯერ ინფორმაცია კონტრესტიდან ამოგლეჯილად ვრცელდება. სამწუხაროა, რომ ქართულ ერთან ასოცირდება იოსებ სტალინის, მიხეილ სააკაშვილის და ლავრენტი ბერიას სახელები.

**– დედაზე, ცისანა ჯოხაძეზეც მითხარით რამე.**

– დედაჩემი უნიკალური ადამიანია – შეძლო, ექიმის პროფესიული მიღწევები პოეზიის სიყვარულთან შეეთავსებინა, რაც მის შესანიშნავ სიღრმისეულ ლექსებსა და ჩანახატებში გამოიხატება.

**– დედის ლექსები ზეპირად იცით?**

– „ბუნებისას არ გაგიკვირდეს დღისა და ღამის წონასწორობა..... ისე გაგიკვირდეს მტერი თუ გყვარს, შენი ზეობა სხვას თუ ახარებს, იმედით, რწმენით თუ ხარ აღსავსე და თუ სიკეთეს გულით ატარებ“.

**„დიას, არსებობს ქართველი ქალის ფენომენი. მას აქვს განსაკუთრებული უნარი, არ დაკარგოს ქალური ხიბლი, იყოს დედა, კარგი მეუღლე, დიასახლისი და ამავე დროს, თავისი პროფესიაზე იზრუნოს... ჩემი დიდი ბებია სამამულო ომის დროს დაქვრივდა და სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა გასაზრდელი. დღე და ღამე შრომობდა, თავისი ნახევარით კი კოკო შანელს არ ჩამოუვარდებოდა, სამივე შვილს უმაღლესი განათლება მიაღწევინა და ბრწყინვალე კარიერის გაკეთების საშუალება მისცა. იგი ღრმად მოხუცებულ ასაკში, თითქმის 100 წელს მიღწეული გარდაიცვალა... დიას, ქართველი ქალის ფენომენი არსებობს, სხვაგვარად ვერ ვგრძობავ!“**




საქართველოს მთავრობის განცხადებით, გამოცემის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კობახიძე

ჩვენებურები



# როგორ იძია ბერიაშვილი შური ძალზე, როგორც სიყვარულზე უარი უთხრა

## სოსხელი მხატვრის ოჯახის სულიწმინდის ისტორია

**„ჩვენ უკვე ვგრძობთ, რომ ჩვენი დრო გასულია, ვეღარ ვგრძნობთ, რომ გვითხრან, დანებდნენ აფხაზეთში დაბრუნდებით თუ არა, ბარანტიას გაქვით, ჩვენ, ყველანი, სოსხელის სახლსაც ავაშენებთ, მუშაობდაც, აქედან საქმესაც წავიღებთ, იღებაც, მაგრამ თბილისი რომ შევინებოთ, ახლოს უნდა ვიჯიყნო. თბილისის ქუჩა-ბაზრის სიბერეა, ყველა ისტორიული ძეგლი მიწის ქვეშაა, მაგრამ იმ ჩემი ადგილი არაა, სხვისი ადგილის დაკავება კი არ მიწია. თბილისი ისედაც ბევრი გააძვირებს აფხაზეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს – კალთა გაუსხნა, შეიფარა. თუ დაბრუნდება, აფხაზეთში დაბრუნდება“**

საქართველოს გარეთ ბევრი წარმატებული ქართველი მოღვაწეობს. ერთ-ერთი მათგანი სოსხელი მხატვარი რევაზ ჟვანიანი, რომელიც „ხელოვნების მექა“ წოდებული სანკტ-პეტერბურგის ცნობილ გალერეა „დიდი“-ს ხელმძღვანელია. გალერეა „დიდი“ 2003 წელს გაიხსნა და ე.წ. მეორე ტალღის ავანგარდული ორიენტაციის, თუმცა ზოგჯერ სივრცის თანამედროვე ავტორებსაც უთმობს სივრცე. „დიდი“-ს მალაქმხატვრული კოლექციების ავტორები ხელოვნების ისტორიაში არიან შესული. ამასთან, მსოფლიოს წამყვან მუზეუმებსა და წამყვან აუქციონებზე, ევროპისა და აშშ-ის კერძო კოლექციებში არიან წარმოდგენილი. რევაზ ჟვანიანი 1962 წელს, აფხაზეთში, სოსხელში დაიბადა. ომის დღეებში, როცა სოსხელს ბომბავდნენ, ოჯახის რძალი მშობიარობდა – დედა დაიღუპა, ბებიამ ახალშობილი ქუბურის გზაზე ხელით ატარა... მერე, ოჯახმა სანკტ-პეტერბურგს მიაშურა, რადგან რევაზს იქ იცნობდნენ, როგორც კარგ მხატვარს, მეგობრებიც ეგულდებოდა. ქუბურის გზაზე სასწაულებრივად გადაარჩენილი გოგონა ბებიამ გაზარდა... ჟვანიანს სიცივე, რეკვირები და ცარიელი მალაზიები გათანგული „ბანდიტური პეტერბურგი“ დახვდა... საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთები არ ჰქონდა. დახმარებისთვის პეტერბურგის ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელობას მიმართეს... მერე, ბევრი იშრომა და დღეს სახელოვნებო წრეებში წარმატებული ადამიანია. „ქართული სიტყვა“ რევაზ ჟვანიანს ესაუბრა.

– ბატონო რევაზ, სოსხელიდან ომს გაქცეულმა საცხოვრებლად პეტერბურგი რატომ აირჩიეთ?  
– პეტერბურგი მხატვართა ქალაქია – მასში აქ მეგობრები მყავდა და, სოსხელში რომ ვცხოვრობდი, ვხატავდი და ნახატებს ერთ-ერთ გალერეას, აუქციონზე გასაყიდვად ვუზღავდი. ფული არ მიჭირდა და არც სურათების თანხას ვითხოვდი. როცა აფხაზეთიდან ლტოლვილი პეტერბურგმა შემიფარა, გალერეას ვთხოვე, ინფლაციის შედეგად, ის გაფუჭებული ფული მაინც მოეცა, რომელსაც ჩემთვის მსყიდველობითი უნარი აღარ ჰქონდა. ფული ავიღე და ამ დროს გვერდით აფხაზი მეზობელი მედგა, რომელსაც ცოლად ქართველი ქალი ჰყავდა. ძალიან საცოდავი და გაჭირვებული იყო, არც დაფიქრებულვარ და, თავდაც ხელმოკლე იყო, ფულის ნახევარი მას მივეცი – ჩვენ, ორივეს, სამშობლო ხომ ომმა, პოლიტიკოსთა უგუნურებამ დაგვაკარგინა. ორი ნამუშევარი, რომელიც არ გაიყიდა, უკან დამიბრუნეს... ნამუშევრით, ნების პროსპექტს გაუყვივით, იქ მხატვრები იდგნენ, ნამუშევრებს ჰყიდდნენ და ჩემი ნახატები მათ გვერდით დავდე.

უცერად, ერთი კაცი მომიახლოვდა, ნამუშევრები დათვალიერა და მკითხა, რამდენად ვინდი. დაუფიქრებლად ვუპასუხე, 8-8 ათას დოლარად-მეთქი. კარგ დროში, სოსხელში, ნახატებს სწორედ ამ ფასად ვყიდდით. უცნობა მითხრა, ნახევარ საათში

დავბრუნდები და თუ ორივეს 10 ათასად მომიყიდა, ავიღებო. მხატვრები დამესიენ, აქ ასეთი ფასი არ არსებობს, ნებისმიერ ნახატს 100-150 დოლარად ვყიდითო. მოგროვდა ხალხი, ილანდებო. ორმოცი წუთი გავიდა, კაცი არ ჩანს. იმედი რომ გადამეწურა, გამოჩნდა, სურათებში გერმანული მარკები გადამიხადა. მეგობრების დახმარებით, ფული ფარულად გადავხურდავ და ოჯახში საჭმელი მივიტანე. საღებავები, ტილოები, ჩარჩოებიც ვიყიდე, მეგობარმა ოთახი მომცა და სახელოსნო მოვანყვე, დედამაშს ბელორუსიაში სახლი ვუყიდე. სტიმული მომეცა – ხატვა დავიწყე, ქუჩაში ადგილიც მომიკცეს. ამასობაში, ზამთარი დაიწყო, რვა თვე ვიდექი სიცივესა და ყინვაში, მაგრამ მხოლოდ ერთი სურათი გაყვიდე. 8 თვის მერე, ამერიკელმა 20 დოლარი მომცა და სულ ეს იყო. დავრწმუნდი, რომ უფალმა ჩემსკენ ანგელოზი გამოუშვა, არ ვიცი, იქნებ იმიტომ, რომ აფხაზს ლუკმა გაუწვანა...  
დღესაც სანკტ-პეტერბურგში ვცხოვრობ და ეს ჩემი ბედისწერაა! რუსეთს არ ვაპირებო! მიმანია, რომ სადღაც კომპრომისა საჭირო, სადღაც – არა. ნანწყინი არავისზე ვარ, დრო მკურნალია, ცხოვრება გრძელდება. ჩემს ცხოვრებაში შეიძლება, ისევ ბედისწერის ხელით, ისეთი ცვლილებები მოხდეს, რაც სამშობლოსთან უფრო დამახლოვებს, მაგრამ უფრო დამახლოვდება, რომ ახლო ნათესავები იქ აღარ მყვანან.  
გული მწყდება მშობლების გამო – ბო-

ლო წუთამდე საქართველოში დაბრუნებას ნატრობდნენ. რამდენი შეურაცხყოფა მიუღიათ იმის გამო, რომ საქართველოს მოქალაქეები იყვნენ. პენსიაც არ ჰქონდათ... 74 წლის ასაკში, მოულოდნელად გარდაიცვალნენ. ომის დღეებში, მამა დახვრეტას ხუთჯერ გადაურჩა: რკინიგზაზე მუშაობდა, ადღერიდან სამტრედიამდე ყველა იცნობდა. აფხაზებს ქართველების წინააღმდეგ სჭირდებოდათ და თანამშრომლობას სთავაზობდნენ, არ თანხმდებოდა, ამის გამო ხუთჯერ დასახვრეტად გაიყვანეს, მაგრამ სხვას ხვრეტდნენ, მამას ცოცხალს ტოვებდნენ, მაინც ვერ გატყუეს. ბოლოს, გაუმართლა – სეპარატისტების შორის მამას ყოფილი თანამშრომლის შვილი აღმოჩნდა, რომელმაც გამოაპარა, თან დააფიქსირა, ვითომ დახვრიტა. მშობლები ბელორუსიაში გარდაიცვალნენ, იქ დაკრძალეს.  
– როცა გექვდით, სიტყვას – „დიდი, დიდი“ ვიმეორებდი. გალერეის სახელწოდება აშკარად ქართულია, არა?  
– ყველა ამას მეკითხება. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ მიყვარს, მაგრამ ჩემს განცდებს მაინც ვაგვიზიარებ. ბევრი ვიფიქრე და გალერეის სახელწოდებაში დიდი იმედი, მომავალი, მშვიდობა ჩავაქსოვე, თან ქუჩასაც, სადაც ვართ, „დიდი პროსპექტი“ ჰქვია. დიდი შრომის, წვალბების შემდეგ, საყვარელი საქმე ვიპოვე, თავიდან გალერეა დახურულ რეჟიმში ფუნქციონირებდა. დღეს კი, გალერეა „დიდი“ რუსეთის წარმატებულ გალერეათა ათეულშია, პეტერბურგის – ხუთეულში. აქ გამოფენილი ნებისმიერი მხატვარი მუდმივ ექსპოზიციაშია. სამწუხაროდ, ზოგს მხატვრობა და ხელოსნობა ერთმანეთში ერევა, ჩვენ კი, სიმაღლეებს ვეძებთ. პეტერბურგი ხელოვნების მექაა, ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები გამოვინახებ აქ უფრო ავითარებენ, ვიდრე რეგიონებში. ჩვენთან არ მუშაობს ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დედაშვილი, მხოლოდ ნიჭია დაფასებული.  
ერთხელ, ცნობილმა მსახიობმა, ოლეგ ბასილაშვილმა დამირეკა. განა, ზოგი ქართველივით მომხოვია, დაეხმარე? თავის ნათესავ მხატვარზე მოკრძალებულად მთხოვა, შეაფასეო. მართლაც, ნიჭიერი ხელოვ-

ანი გამოდგა – შევაფასეთ, გზა გაუხსენით...  
გალერეა „დიდი“-ს პირველ გამოფენაზე საზოგადოებას აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ქართველი მხატვრების ნამუშევრები ვაჩვენეთ: სანკტ-პეტერბურგის საქართველოს წარმომადგენლობა გვყავდა მონვეული... გული დამწყდა – საქართველოს ლტოლვილ მოქალაქეებს რატომ უნდა გადაეხადათ გამოფენის მოსაწყობი ხარჯი?! ცუდის თქმა არ მინდა, ქართული სათვისტომო ბევრ კარგ საქმეს აკეთებდა – აქ მცხოვრებ ქართველებზე ზრუნავდა, შეეძლო, არ გაეკეთებინა, მაგრამ აკეთებდა.  
საქართველოდან ბევრი წარმატებული მხატვარი დასავლეთში პოპულარული ხდება. ბევრი ნიჭიერი ხელოვანი კი, ერთ ოთახში ჩაიკეტა, ხატავს მდინარეებს, ძველ თბილისს, კინტოებს, სვანეთის მთებს და ჰგონია, რომ ეს ხელოვნებაა. ვეღარ ხვდებიან, რომ ეს მხატვრობა აღარ არის. როცა პიკასო პიკასო გახდა, ცარიელ ფურცელზე ხელს აწერდა და ისიც დიდ ფულად იყიდებოდა.  
ისე, ჩემს ცხოვრებაში ხელი ბედისწერასაც ურევია...  
– გალერეაში გამოფენილია ავანგარდში, არაფორმალური ხელოვნება... რამდენად ახლოსაა ეს მიმდინარეობები თქვენს გამოფენასთან?  
– გალერეა „დიდი“-ს კედლებზე მე-20 საუკუნის რუსეთის იმ დამსახურებული მხატვრების სახელებს ამოიკითხავთ, რომელთა ნამუშევრები რუსულ მუზეუმებშია შესული. დიას, ეს არის ავანგარდში, არაფორმალური ხელოვნება. მათ, ვისი ნამუშევრებიც აქაა, ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ხელს ჩამოვართმევდი, ან გამოფენას მოვუწყობდი.  
მე იმ დარგში ვმოღვაწეობ, რომელიც ყოველთვის წინააღმდეგობაშია თანამედროვე ხელოვნების პრინციპებთან და რომელსაც საბჭოთა ხელოვნება არ სცნობდა. საქართველოს მხატვართა კავშირში მიღების სურვილი რამდენიმეჯერ გამოვთქვი, მაგრამ ყოველთვის რალაც მიზეზს პოულობდნენ და უარს მეუბნებოდნენ. ბოლოს, თავად დამიძახეს. იცით, მათთვისაც მოულოდნელი ამბავი მოხდა – 80-იანი წლების ბოლოს, გერმანიიდან ქების სიგელი და შეტყობინება მოვიდა, რომ ჩემი ნამუშევარი გერმანიის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მიიღეს. გერმანელებმა ზუსტი მისამართიც არ იცოდნენ, რადგან ჩემს ნახატებს ვაწერდი – „სოსხელი“ და ასე მომძებნეს. ქების სიგელის მისაღებად თბილისში, საქართველოს მხატვართა კავშირში გამომიძახეს, მკითხეს, აქამდე რატომ იყავი გაჩუმებული? გაჩუმებული სულაც არ ვიყავი, რამდენიმეჯერ გთხოვეთ და უარს მეუბნებოდით-მეთქი, იქით შევეუფიქრე. რასაკვირველია, კავშირის წევრად მაშინვე მიმიღეს.  
– ბატონო რევაზ, რუსეთის ფედერაციის მხატვართა კავშირის წევრი ხართ?  
– საერთაშორისო მხატვართა ასოციაციის წევრი ვარ, სადაც თავისუფლად, სხვანაირად მოაზროვნე არიან გაერთიანებულნი.  
– მაინც, რას ხატავთ?  
– ვხატავ იმას, რაც შინაგან მოთხოვნილებას, ჩემს სულიერ სამყაროს აკმაყოფილებს და ამით ბედნიერი ვარ. ჩემი მხატვრობა პოსტიმპრესიონიზმია. ჩემს ბოლო ნამუშევარს „ალორდინება“ დავარქვი, მასში რელიგიური თემები შეინახე. ტილოზე აბსტრაქტული სახეები გადავიტანე, რომლებიც მოძრაობენ. ჩემი სულიერი განცდები, შინაგანი სამყარო, ანუ ყველაფერი წარსულიდან, რომელზეც ხშირად ვფიქრობ. უკრაინის მოვლენებს თვალს გულსტკივილით ვაღვივებდი და თვალწინ ჩემი ოჯახის ტკივილიანი წარსული მიდგება... სასოწარკვეთილი სახეები, დამშეული ბავშვები, სიცივე, გაურკვეველი მომავლის შიში – ყველაფერი ეს ჩვენც გავიარეთ, ჩვენ აფხაზეთი დავტოვეთ, ახლა ამ მოვლენებულ წრეს უკრაინელები გადაიან! საქართველოსთან შეხება აღარ მაქვს, მაგრამ ჩვენს კულტურას აქ ვინარჩუნებ და ვალორდინებ. 20 წელია, ამ ოხრობაში ვარ, ყველა ტკივილი

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“



ქართული სიტყვა. საქართველო

ჩვენებურები

მე-17 გვირგვინი

გადავიტანე და ეს მოგონებები ერთ ნახატში ჩავაქსოვე, მაგრამ აქამდე ყველა არ მისულა, გვირგვინი იქით სინათლე არ უნახავს.

– და გვირგვინის ბოლოს სინათლე მართლაც?

– იყო... ჩემი ნამუშევრები რუსეთის რეგიონებში იყო გამოფენილი, გამოფენა მოძრაობდა და ბოლოს, არხანგელსკში ჩავიდა. მუზეუმიდან დაგვირგვინს, მუზეუმისთვის ერთი სურათის შექმნა გვინდა, რათა მუდმივ ექსპოზიციაში იყოსო. წარსულისა და აწმყოს მოვლენების უცნაურმა დამთხვევამ გამაკვირვა.

ყველაფერი ჩემი ოჯახის სულის შემქმნელი ისტორიას უკავშირდება. ბაბუაჩემი და მისი ძმა გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. ამ უკანასკნელმა ცოლად ულამაზესი, დარბაისელი ქალი, მარო შეირთო, სულ ორი კვირის დაქორწინებულები იყვნენ, როცა ბაბუა ჩეკოსტემა დააპატიმრეს, „ტროცკისტობა“ დააბრალეს, „ტროიკამ“ გაასამართლა და არხანგელსკში გაასახლა. ოჯახში შეტყობინება მოვიდა, რომელიც იუნკებოდა, რომ ბაბუა პატიმართა ბანაკიდან უგზოუკვლოდ დაიკარგა. მარო ბებიაჩემს არ დაიჯერა, რკინის ქალაქში ჩაიხვეწა და ქმრის საძებნელად წავიდა, არხანგელსკამდე ჩავიდა, ბანაკში მიაკითხა და იქაურმა პატიმრებმა უამბეს, რომ ერთ დილას, ბაბუა სამუშაოზე არ გაჰყვა, უკან დაბრუნებულგამა კი ნახეს, რომ მის ნარზე სხვა კაცი იწვა, სხვა ნომრით. პატიმრები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფერი გაიგეს, თუ სად გაქრა ბაბუაჩემი, თუმცა ასეთი „გაქრობები“ კომუნისტური საპატიმროებიდან ხშირი იყო. დასაფლავება არავის უნახავს, ამიტომ მარო შინ იმ იმედით დაბრუნდა, რომ ბაბუა გაიქცა. მთელი სიცოცხლე მეუღლეს ელოდა, ბევრი მთხოველი ჰყავდა, მაგრამ არ გათხოვდა, კერა არ გააცია. ერთ ღამეს, კარზე ჩვილი მიუგდეს, პატარა ბიჭი, რომელიც ბაბუაჩემის სახელზე გაზარდა და გზაზე დააყენა. ბოლოს, ლოგინად ჩავარდა, მაგრამ სიკვდილის წინ წამოვადე, ბაბუას დაუძახა, აბრამ, შენთან მოვდივარო და გარდაიცვალა. ამ სიყვარულის ისტორიას ბავშვობაში ხშირად ვისმენდი, ეს მოგონება ჩემთვის ძვირფასია. რომ წამოვიზარდე, ისიც შევიტყვე, რომ მაროსა და აბრამის სიყვარულის უბედურების სათავე ადამიანური შური და ბოროტება იყო: თურმე, მარო სიყვანძილეში ლავრენტი ბერიას მოსწონდა, მაგრამ უარი უთხრა. გაბოროტებული დაექანდა ქალს, მაინც ვერ გაიხარებო და დანაპირები აუსრულა კიდევ. ბაბუა ინტრიგის მსხვერპლი გახდა, ეს ჩვეულებრივი ბოლშევიკური დროის ბოროტი ისტორიაა. ასე ხომ უამრავი ოჯახი გაუბედურდა. ნახატში სწორედ ეს მოგონებები, აზრები მქონდა ჩადებული. ბედისწერა: სწორედ იმ ქალაქის მუზეუმმა მოითხოვა ჩემი ნამუშევარი. ეს ისტორია არავისთვის მომიყვლია, ჩუმად ჩემთვის, გულში ვინახავდი. სურათიც მუზეუმს ვაჩუქე, არ გამიყვლია, ამით თითქოს მუხლი მოვიყარე ჩემი წინაპრის წინაშე, იმ დიდი სიყვარულის წინაშე, რომელიც ჩვენს ბავშვობას თავისი კეთილშობილებით ატობდა და რომლის მოსმენაც არასოდეს გვბეზრდებოდა.

სტიგმა

საქართველოში, მთელი მსოფლიოსი არ იყოს, ძალიან ბევრი მარტოხელა დედაა: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ყოველწლიურად, სამშობიაროდან 3 000 ჩვილი მხოლოდ დედას გაჰყავს. ამასთან, ყოველწლიურად უამრავი საჩივარი შედის სასამართლოში იმის თაობაზე, რომ მამა შვილს გვარს არ აძლევს... ასეა თუ ისე, ფაქტია: შვილის მარტო გაზრდა არაერთ ქალს უხდება და იმ შემთხვევაში, თუკი შვილი დედის გვარზეა, თავს კიდევ უამრავი პრობლემა იჩენს. სხვა თუ არაფერი, ასეთ დროს დედაც და შვილიც გარშემომყოფთა გაკიცხვის ობიექტები ხდებიან.



ქვეს, თუმცა მანქანაში ქართულ მუსიკას ვუსმენ. სხვა ეროვნების ადამიანები, განსაკუთრებით მუსულმანები, უცხო ქვეყანაში თემებად ცხოვრობენ, ნაციონალურის გარდა, სხვა სამოსს არ იცვამენ, მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ. ქართველები კი, ადვილად ინტეგრირებადი ვართ, თანამედროვე ხალხი – ჩემი აზრით, უფლება არ გვაქვს, ჩავიკეტოთ და მხოლოდ ქართველები ვიყოთ. უნდა ვეზიაროთ მსოფლიო ცივილიზაციას. ვიდრე ცოცხალი ვარ, ამ პრინციპებს შევინარჩუნებ.

ქართულ დიასპორაში ბევრი ჩემი ნათესავია. მოსკოვში, ნათესავის ქორწილში ვიყავი, ვუსმენდი, თუ როგორ ნუხდნენ შვილების გამო – ბევრი ხომ ვერ ახერხებს უცხო გარემოში შვილს ეროვნება შეუნარჩუნოს? ზოგი ამბობდა, ვიდრე პატარაა, უნდა დააბრუნო სამშობლოშიო, ზოგიც ზრდასრულის დაბრუნებას ამჯობინებდა. ჩემი ერთადერთი ქალიშვილი ინგლისში ციფრულ გრაფიკას სწავლობდა, ინგლისელზე გათხოვდა. ნათესავებმა მკითხეს, ქართველზე რატომ არ გათხოვდაო, მაგრამ როცა სიყვარულია, იქ ეროვნებაზე საუბარის ადგილი არაა!

ჩვენ უკვე ვგრძობთ, რომ ჩვენი დრო გასულია, ვეღარ ვბრუნდებით. რომ გვითხრან, დანგრეულ აფხაზეთში დაბრუნდებით თუ არაო, გარანტიას ვაძლევთ, ჩვენ, ყველანი, სოხუმში სახლსაც ავაშენებთ, მუზეუმებსაც, აქედან საქმესაც წავიღებთ, იდეებსაც, მაგრამ თბილისი რომ შემომთავაზონ, უარს ვიტყვი. თბილისის ქუჩებში სეირნობა მიყვარს, ყველა ისტორიული ძეგლი ვიცი, მაგრამ იქ ჩემი ადგილი არაა, სხვისი ადგილის დაკავება კი არ მინდა. თბილისმა ისედაც ბევრი გააკეთა აფხაზეთსა და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის – კალთა გაუხსნა, შეიფარა. თუ დაბრუნებაა, აფხაზეთში დავბრუნდები!

ესაუბრა ნათია შოგიტიძე

„უკანონო“ შვილები

ესიას, აქ დიდ როლს თამაშობს პედაგოგი, რომელმაც მოზარდებს უნდა უთხრას, რომ ბავშვს, რომელსაც ერთი მშობელი ზრდის, იგივე უფლებები აქვს, როგორც მას, ვისაც ორივე მშობელი ჰყავს. საერთოდ, მშობელმა ბავშვი უნდა დაარიგოს და ასწავლოს, რომ სხვისი დაცინვა მიზანშეწონილი არაა. საქართველოში ცოდნის, განათლებისა და მენტალობის პრობლემაა. არ არსებობს „უკანონო შვილი“. ბევრი წყვილია, რომელსაც ხელი არ აქვს მონერული და მისი შვილი უკანონოა? ვინ დაწესა „უკანონო“ ან „უკანონიერი“? ხალხს არ შეუძლია, განსაზღვროს, ვინაა კანონიერი და ვინ – უკანონო“, – მიიჩნევს გია ჯაჯანიძე.

ბობდა. ჯაჯანიძის განმარტებით, შვილს დედამ უნდა აუხსნას, რომ სიყვარულის ნაყოფია და არ აქვს მნიშვნელობა, მამას იცნობს თუ არა. „ჩვენ მართლმადიდებელი ქვეყანა ვართ. იბადება ახალი სიცოცხლე და როგორ შეიძლება, ამის გამო ოჯახმა ზურგი გაქციოს? მიუტყვე შენს შვილს, ასწავლე, რა არის მცდარი და რა – სწორი. რაც შეეხება სკოლაში გამოჩენილ აგრ-



პრინციპი ურთულიანი


საქართველოში, მთელი მსოფლიოსი არ იყოს, ძალიან ბევრი მარტოხელა დედაა: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ყოველწლიურად, სამშობიაროდან 3 000 ჩვილი მხოლოდ დედას გაჰყავს. ამასთან, ყოველწლიურად უამრავი საჩივარი შედის სასამართლოში იმის თაობაზე, რომ მამა შვილს გვარს არ აძლევს... ასეა თუ ისე, ფაქტია: შვილის მარტო გაზრდა არაერთ ქალს უხდება და იმ შემთხვევაში, თუკი შვილი დედის გვარზეა, თავს კიდევ უამრავი პრობლემა იჩენს. სხვა თუ არაფერი, ასეთ დროს დედაც და შვილიც გარშემომყოფთა გაკიცხვის ობიექტები ხდებიან.

ესე იგი, საქართველოსთან კავშირი არ გაქვთ, არა?

– საქართველოში ინვესტირები ჩამომიყვანია... იყო დრო, ქართველი ბიზნესმენები მუზეუმებში „ანტიკვარულ პადდელებს“ ყიდულობდნენ და ეკონათ, შინ, კედლებზე, ორიგინალები ეკიდათ. ხელოვნებას დამფასებელი და შემფასებელი სჭირდება, ხალხი სამხატვრო გალერეებში დადის, ეს თეატრალურ სანახაობას ჰგავს. თუ მედია-სამუშაოებით არ გაშუქდა ლონისძიებები და თუ მხაველს ალტერნატივა არ შესთავაზე, ხელოვნებაში ვერ გაერკვევა. როცა გამოფენის სტუმარი ხეებს, მდინარეებს, მარტივ სახეებს ხედავს, მხატვრობაც სწორედ ეს თვალწინა ნატურმოტივები ჰგონია, სინამდვილეში, მხატვრობა სულ სხვა რამეა. ხელოვნებით დაინტერესებულ ადამიანს თუ არ დაუტკიცე, რომ მისთვის გაუგებარი კომპოზიცია ნამდვილი ხელოვნებაა, ასეთ ხელოვნებას მომხრეები აღარ ეყოლება. ქართულთან შეხება ყოველ დღე არ მა-

მისივე თქმით, საქართველოში მარტოხელა დედაობა ძალიან ძნელია:

- „გამკლავება ბევრ პრობლემასთან მიხება. ერთ-ერთი დიდი პრობლემა კი, ბავშვის დაბადების მოწმობა იყო. ახლა, ჩემი შვილი 11 წლისაა... ერთხელ მითხრა, თანაკლასელმა „ნაბიჭვარი“ დამიძახაო. ბავშვთან ვერაფერს გავხდებოდი, ამიტომ მის მშობელს დავურეკე და გავვანძულე... – ქალბატონო, მამათქვენს შვილიშვილი არასოდეს უნახავს? – არა... – არ გიფიქრიათ, რომ ბავშვი ფსიქოლოგთან მიიყვანოთ? – ამაზე ძალიან ხშირად ვფიქრობ, მაგრამ დიდი ხნისაა ვეშაობ, რომ ჩემ შვილს საჭმელი და ჩასაცმელი ვუყიდო და დრო აღარაფრისთვის მრჩება. – ბავშვის მამა რომ გამოჩნდეს, რას იზამთ? – (ფიქრობს) ჩემს შვილს არ გავაკარებ! ფსიქოლოგ გია ჯაჯანიძის თქმით, ზემოხსენებული პრობლემა ადრე უფრო არსე-



„შენ — უკუდავების ჩამონადენი, მშვენიერებას სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“

კონსტანტინე ჯანაშია

**ბრედ პიტს სიენა მილერს „ეპურება“**

ბრედ პიტს ახალ ფილმში — „დაკარგული ქალაქი ზეტი“ იღებენ, თუმცა როგორც პოლიციის მეთაური იუნჯეა, გადაღებები ბრედისთვის, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს. საქმე ისაა, რომ ანჯელინა ჯოლი მსახიობ სიენა მილერზე, რომელიც პიტს ახალ ფილმში პარტნიორობას უწევს, ეჭვიანობს.

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ სიენა პიტს მართლა მოსწონს და, როგორც პროდიუსერმა, ფილმში ამიტომაც მიიწვია.

„ბრედმა ენჯის უთხრა, რომ მისთვის პროდიუსერულ საქმეში ხელი არ შეეშალა, ანჯელინა კი ყვიროდა, რომ არ სურდა მისი“

სიენას გვერდით ხილვა. მეორე დღეს ერთმანეთს თითქმის აღარ ელაპარაკებოდნენ“ — გამოუტყდა გლამურულ მედიას ანჯელინას ახლობელი.

შეგახსენებთ: ჯოლიმ და პიტმა ურთიერთობა ფილმის — „მისტერ და მისის სმიტი“ გადაღებებისას დაიწყო. მაშინ პიტს ეწინააღმდეგებოდა ენისტონის ქმარი იყო, რომელსაც ანჯელინას გამო გაშორდა.

სხვათა შორის, სიენა მილერი, როგორც ირკვევა, მარტოა და, შესაბამისად, თუკი პიტს რამეს შესთავაზებს, ალბათ, დასთანხმდება კიდევ, თუმცა ბრედთან ურთიერთობას ამ ეტაპზე უარყოფს და აცხადებს, ეს ქორი საფუძველსაა მოკლებული.

**78 წლის ალენ დელონის აღიარება**

მე-20 საუკუნის მსოფლიო სექსსიმბოლოდ აღიარებული ფრანგი მსახიობი ალენ დელონი 78 წლისაა. მართალია, ასაკმა თავისი გაიტანა, მაგრამ ალენს უწინდელი იერი, ასე თუ ისე, მაინც შერჩენილი აქვს. საერთოდ, დელონს ბოლოქარი პირადი ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ მრავალი რომანის მიუხედავად, საზოგადოებას მხოლოდ მისი და რომი შნაიდერის რომანი დაამახსოვრდა.

დელონი მარტოხელა მოხუცია და ამბობს, რომ რომი მისი ცხოვრების ერთადერთი სიყვარული იყო. ალბათ, ამიტომ, ყოველ წელს მასთან ნიშნობის თარიღს — 22 მარტს აღნიშნავს.

ალენი და რომი 1959 წელს დაინიშნენ, თუმცა დელონი მაინც „თავისუფალ მამაკაცად“ რჩებოდა და... რომანი გერმანელ მსახიობსა და მოდელ ნიკოსთან გააბა, რომელმაც 1962 წელს ვაჟი, კრისტიან აარონი (არი) გაუჩინა. დელონმა შვილი აღიარა და გვარიც მისცა.

ამის გამო, 1963 წელს, შნაიდერმა და დელონმა ნიშნობა გააუქმეს. ერთი წლის შემდეგ კი, დელონი ნატალი ბარტელემიზე დაქორწინდა. წყვილს ვაჟი შეეძინა, რომელსაც ენტონი დაარქვა.

1969 წელს ალენი და ნატალი განქორწინდნენ. 1987 წელს კი, ალენი პოლანდიელ მოდელ როსალი ვან ბრემენს შეხვდა, რომელთანაც ორი შვილი შეეძინა.

**რობი უილიამსის თვითგაკვლეობის ნაგდვილი მიზეზი ცნობილია**

„ჩემი მეუღლის თვითგაკვლეობის მთავარი მიზეზი დეპრესია კი არა, გონებასუსტობის გამომწვევი დაავადება გახდა, — აცხადებს პოლიციის უილიამსის ქვრივი და დასძენს, — რობი დეპრესიას არ მოუკლავს. დეპრესია 50-დან ერთ-ერთი სიმპტომი იყო, რაც აწუხებდა. მას ჰქონდა პალუცინაციები, შფოთვა, გამძაფრებული მგრძობელობა და ა.შ. ერთხელ, მასსოც, შუშის კარი ვერ დაინახა და თავით გაამტვრია“.

ცნობისთვის: შექმნილი გონებასუსტობის ამ ფორმას ლევის სხეულების დემენცია ეწოდება და ამ დაავადებით მსოფლიოში მილიონზე მეტი ადამიანი იტანჯება.

**არა-ჩვეულებრივი გვირდი**





„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას სომ შენით ითქვა;  
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ“

კარინა ლინჩი

საქართველო  
საქართველო

## არა-ჩვეულებრივი გვერდი



**მადონამ ფრანგებს  
თანადგომა გამოუცხადა**

სტოკჰოლმში, პოპვარსკვლავმა მადონამ კონცერტი პარიზში განვითარებული მოვლენებისადმი ემოციური გამოსვლით გახსნა და ფრანგ ხალხს თანადგომა გამოუცხადა.

შეგახსენებთ: 13 ნოემბერს, ღამე, საფრანგეთში მომხდარი ტერორისტული თავდასხმების შედეგად, 129 ადამიანი გარდაიცვალა, 352 კი დაშავდა.

**ქვემოთ პერი ყველაზე  
მდიდარ მოგზაურად  
აღიარეს**

გავლენიანმა გამოცემა „ფორბსმა“ შოუ-ბიზნესში მოღვაწე ყველაზე მაღალანაზღაურებადი ქალების სია გამოაქვეყნა, რომელსაც მომღერალი ქვემოთ პერი ლიდერობს. სიაში მეორე ადგილი ტელიორ სვიფტს უკავია.

გამოცემის ცნობით, ქვემოთ პერიმ, 2014 წელს, 126 კონცერტი ჩაატარა და მისმა შემოსავალმა 135 მილიონი დოლარი შეადგინა. ტელიორ სვიფტის შემოსავალი კი, 80 მილიონია.

„ფორბსს“ თუ დავუჯერებთ, წელს ლედი გაგამ, სულ რაღაც, 59 მილიონი დოლარი იშოვა. ბიონსე კი, – 54,5 მილიონი.

**ქართველი სპორტსმენის  
ქალიშვილი რუსული  
ტელეარხის სახე გახდა**

რუსეთში სპორტულმა ტელეარხმა „მატჩ ტვ“-მ დაიწყო მაუწყებლობა, რომელსაც თინა კანდელაკი ხელმძღვანელობს და რომელსაც ამბიციურ პროექტად მოიხსენიებენ. არხის წამყვანები, ძირითადად, ლეგენდარული სპორტსმენები არიან. ტელევიზიის ერთ-ერთი სახე კი, ცნობილი სპორტსმენისა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის, მიხეილ მამიაშვილის შვილი, ტატიანაა, რომელიც ცნობილი რუსი რეჟისორისა და პროდიუსერის, ფიოდორ ბონდარჩუკის რძალია.

ტატიანა არსზე საბავშვო გადაცემას წაიყვანს.

**კიგოს 5 სიმბტომი**

ბრიტანელი მკვლევარების მონაცემებით, თინეიჯერობის ასაკში სიმსივნის დადგენა არცთუ ადვილია, რადგან მოზარდები, მშობლები და, სხვათა შორის, არც ექიმები ყურადღებას არ აქცევენ შემდეგ სიმბტომებს:

ხანგრძლივ ტკივილს, რომელიც რამდენიმე დღე გრძელდება და რომელსაც ტკივილგამაყუჩებლები არ შეეღობის.

წარმონაქმნებს, კოპებს და ლაქებს.

„თუკი კანქვეშ რამე უცნაური შენიშნეთ, ეს შეიძლება ძალიან ცუდი ამბავის მაუწყებელი იყოს, რადგან სიმსივნე თავს ხშირად ისე ავლენს, როგორც უცნაური და უმტკივნეულო გამკვრივება. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს“, – ურჩევენ მკვლევარები მოზარდებს. ექსტრემალური დაღლილობაც, წონის კლებასთან ერთად, როგორც ბრიტანელებმა დაადგინეს, შესაძლოა, სიმსივნის სიმბტომი იყოს.

ხალის ფორმების ცვლილება მელანომას ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმბტომია. თუ ერთ-ერთი ხალი მოულოდნელად შეიცვალა – ფერი, ან ფორმა იცვალა, აუცილებელია ონკოლოგთან ვიზიტი.



ზურა მებრელიშვილის ფოტო

ჯანსუღის სიცილნათელაბი

**სანდო კადრები**  
ღმერთო, მოგვმადლე,  
ღმერთო, მოგვმადლე  
სახელმწიფოში  
სანდო კადრები.  
როგორ მომრავლდენ,  
როგორ მომრავლდენ  
ადვო-ბატები,  
ადვო-კატები.

**მოდის ფაზიზმი**  
ვაი, ჩვენს გამჩენს,  
ვაი, ჩვენს გამჩენს,  
მარად ძმია  
ქმის მტერი,  
ნაგვეკუზეს და  
ღმერთმა უწყის,  
უკანალში  
ვინ გვტენის,  
საქართველოს  
გადაარჩენს  
ისევ ადოლფ  
ჰიტლერი.

**იგაღი**  
უკან რუსის ნიხლი მიზის,  
წინ – აშშ-ს ნიპილიზმი,  
რის იმედი, რა იმედი,  
დამარწმუნეთ რაიმეთი.

**მოაოთოს!**  
აუ, ბიჭო,  
არ მსურს შენი დანახვა,  
ვინ ოხერმა  
შეგასხა ნაფტალინი,  
კარგად იცი,  
რომ პოეტი არა ხარ,  
ლექსებს წერ და  
წერას ხარ ატანილი.

**მოლაღაბა**  
ალიარე, დრო განმარტე,  
ნუ იქნები  
თვითნებურად მკაცრი,  
მაშ, ვინ არის მოლაღაბე? –  
რა თქმა უნდა,  
შურიანი კაცი!



**თბილისის  
პირველი  
კლინიკური  
საავადმყოფოს  
(ყოფილი „არამიანცის“)  
ვიღაბი –  
„ეპერჯენსი“**



ღიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024



მთავარი რედაქტორი: **ჯანსუღ ჩარკვიანი**  
მთ. რედაქტორის მოადგილე: **ვანო პავლიაშვილი**  
სარედაქციო კოლეგია:  
**ჭაბუა ამირეჯიანი**, **მერაბ ბარძინაშვილი**,  
**ბაჩანა ბრეგვაძე**, **თაბო გოცაძე**, **ეზარ კვიციანი**,  
**არმაზ სანაშვილი**.

მედია-ჯგუფი: მერიკა კახაძე,  
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძელი.  
ღიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:  
ზურა მებრელიშვილი.

გაზეთი  
რეპროდუქციული  
რეპროდუქციული  
ცენტრის  
(საბალანსალო  
ინსაფქცია) მიერ.  
რეპროდუქციის №22851

მისამართი:  
26 მანის  
მოედანი. №1  
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulicityva@gmail.com  
გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით